

"ქართული სუპერკლასიკოს" დინამიურიდასარული

B4



სამხრეთმა ჩრდილოეთი დაიპყრო

B5



საიდუმლო წვეულება გარიყულ ქალაქში

B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 7 მარტი, 2005 წელი. №51 (911)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### გადავიტანოთ თუ არ გადავიტანოთ?



ქუთაისის დეპრესიიდან გამოყვანის მიზნით განხორციელებულმა მთავრობის ახალმა ინიციატივებმა, შეაძლოა, თბილისი ჩააგდოს მძიმე დეპრესიაში, თუ, რა თქმა უნდა, ეს ინიციატივები ნაჩქარევად, წინასწარი გათვლების გარეშე განხორციელდება. ამის ნათელი მაგალითია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ატეხილი აჟიოტაჟი: გადავიტანოთ თუ არ გადავიტანოთ...

A3

## ეკონომიკა

### საქართველოს მთავრობა "რაოს" "სტრატეგიულ დოკუმენტზე" მოუწერს ხელს



უშუალოდ მას შემდეგ, რაც სემეკ-მა "თელასს" სატარიფო ომი მოუგო, საქართველოში "თელასის" მეპატრონე რუსული ენერგოგიგანტის "რაო ეეს როსიის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი რაპოპორტი ჩამოდის.

A4

იურიდიული ოფისი ,,გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 7/3 | 8/3 | 9/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 13 | 13 |
| ქუთაისი | 18 | 17 | 9 |
| ბათუმი | 17 | 17 | 9 |
| სოხუმი | 16 | 14 | 6 |
| ფოთი | 17 | 17 | 9 |
| თელავი | 14 | 12 | 12 |
| ზუგდიდი | 18 | 17 | 9 |
| გორი | 12 | 11 | 4 |
| ახმეტა | 15 | 12 | 11 |
| ჭიათურა | 15 | 13 | 7 |
| გაგრა | 14 | 13 | 2 |
| სამტრედია | 18 | 17 | 9 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8375 |
| ევრო | 2.4095 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.5022 |
| რუბლი | 0.0662 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | მეცნიერება | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# მოტყუებული უპასპორტოები

## რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტი აფხაზეთში მხოლოდ რამდენიმე ათეულ ადამიანს აქვს

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

*აფხაზეთის მოსახლეობაზე რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტის გამცემ სტრუქტურებში სკანდალია. ამის პარალელურად გაისმის ხელისუფლების განცხადებები ეროვნული პასპორტების გაცემისთვის მოუმზადებლობის შესახებ.*

2003 წლის ზაფხულიდან სოხუმის მიერ ოფიციალურად ანონსირებული ეროვნული პასპორტების გაცემის პროცესი კვლავ გადაიდო. ამჯერად, სერგეი ბაგაფშის განცხადებების თანახმად - მიმდინარე წლის მაისამდე.

2003 წლის ზაფხულში მართლაც გამოცხადდა მზადყოფნა აფხაზური პასპორტების გაცემის დაწყების თაობაზე. თუმცა შემდგომ, ქართულმა სამხედრო ხომალდმა დააპატიმრა თურქული გემი, რომელსაც ოცი ათასზე მეტი პასპორტის ბლანკი გადაჰქონდა. ფული ტყუილუბრალოდ დაიხარჯა და პასპორტიზაციის თაობაზეც დროებით დაივიწყეს. პასპორტიზაცია უკვე 2004 წლის ზაფხულის

გაგრძელება A3 გვერდზე




# არასაწესდებო ურთიერთობები სამხედრო აკადემიაში

ვერიკო თევზაძე
პაატა ცნობილაძე

*"რაც არ უნდა ახალი ტანსაცმელი იყიდოს ადამიანმა, უჭირს ძველ აზროვნებასთან განშორება. აქ ბევრი ძველ აზროვნებას ვერ შეელია... გადაცდომებზე და არასაწესდებო ურთიერთობებზე შეიძლება ადამიანებს თავიანთი სუბიექტური და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული აზრები ჰქოდეთ, მაგრამ მთავარი არის ის მოთხოვნები, რომელსაც ნატო-ს სტანდარტები ითვალისწინებს. ამასთანავე, კურსანტი, რომელიც სარგებელს არ მოუტანს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, უნდა გაირიცხოს," – ამბობს თავდაცვის ეროვნული (სამხედრო) აკადემიის პრორექტორი, სასწავლო პოლკის მეთაური, შტაბის პოლკოვნიკი იბრაგიმ უსტუნი, რომელიც ქართულ-თურქული პროგრამის თურქული მხარის წარმომადგენელია და აკადემიის "გვერდიდან" დანახვის ყველაზე კარგი საშუალება ეძლევა. პოლკოვნიკი უსტუნი აკადემიაში კურსანტთა გარიცხვის ფაქტებს პრინციპულ და სამართლიან გადაწყვეტილებად მიიჩნევს. "თუ ადამიანს სხეულის რომელიმე ნაწილი დაუავადდა, იმისათვის, რომ მთლიანი სხეული გადაარჩინო, დაავადებული ნაწილი უნდა მოკვეთო," - ასეთია თურქი პრორექტორის მკაცრი გადაწყვეტილება.*
*"მე არ მინდა, აკადემია გამოსასწორებელი კოლონია იყოს," – ეს აკადემიის რექტორის გიორგი თავდგირიძის განაცხადია. აქ სამხედროების სიტყვას წონა აქვს: კურსანტი, რომელიც აკადემიიდან გაირიცხება, ვერასოდეს აღიდგენს თავს.*

გაგრძელება A2 გვერდზე







იხილეთ B3 გვერდზე

## აშშ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას მოითხოვს

ნინო გომართელი

*რამდენიმე დღის წინ, ამერიკელმა სენატორებმა ჯონ მაკკეინმა და ჯო ლიბერმანმა, შეერთებული შტატების კონგრესში კანონპროექტი შეიტანეს, სხვა სახელმწიფოებში დემოკრატიის მხარდასაჭერად.*
*"დემოკრატიისა და თავისუფლების მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების საკითხიცაა" – განაცხადა მაკკეინმა.*
*იმის დასტურად, რომ დემოკრატიის დამკვიდრების ხელშეწყობა არა მხოლოდ აშშ-სთვის არის მნიშვნელოვანი, სენატორებს მოყვანილი აქვთ საქართველოში, უკრაინაში, ერაყსა და პალესტინის ავტონომიაში განვითარებული მოვლენები.*
*ამის პარალელურად სენატში კიდევ ერთი რეზოლუცია შედის, რომელიც საქართველო-რუსეთის საზღვარზე ეუთო-ს მონიტორინგის შეწყვეტას, ასევე, საქართველოსა და მოლდოვადან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანის აუცილებლობას ეხმიანება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## მოლდოვის არჩევანი პროდასავლურ კომუნისტებსა და პრორუსულ "დემოკრატებს" შორის

ნიკა თარაშვილი

*მიმომხილველები მოლდოვაში გუშინ გამართულ საპარლამენტო არჩევნებს პოსტსაბჭოთა სივრცეში კრემლის გავლენის შესუსტების კიდევ ერთ ეტაპად აღიქვამდნენ. ასეთ შეფასებას მიხეილ სააკაშვილის ბოლო განცხადებაც უწყობდა ხელს. "ერთად ჩვენ შევძლებთ აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიზაციის მესამე ტალღის რეალობად გადაქცევას," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა კენჭისყრამდე ოთხი დღით ადრე, კიშინიოვში მოულოდნელი ვიზიტისას. რითაც, ფაქტობრივად, მოლდოვას კომუნისტ ლიდერთან "დემოკრატიული" ალიანსის შექმნაზე მიანიშნა. შეგახსენებთ, ასეთივე მოულოდნელი ვიზიტით, წინა დღეს თავად ვორონინი ეწვია კიევს. ასე რომ, აშკარა იყო - მოლდოვა "დემოკრატიზაციის ტალღას" საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებულად, "ხავერდოვანი რევოლუციის" გარეშე გააგრძელებდა.*

მოლდოვის პარლამენტში მოხვედრის სურვილს 23 საარჩევნო სუბიექტი გამოთქვამდა. მათგან 9 პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, ორი საარჩევნო ბლოკი და 12 დამოუკიდებელი კანდიდატი იყო. საერთო ჯამში, 101 ადგილის დასაკავებლად 1123 კანდიდატი იბრძოდა.

პრეზიდენტ ვორონინისა და კომუნისტური პარტიის ძირითადი კონკურენტი ბლოკი "დემოკრატიული მოლდოვა" იყო, კიშინიოვის მერის სერაფიმ ურეკიანის ხელმძღვანელობით. წარმატების სერიოზული შანსი ჰქონდა (თუმცა, მხოლოდ გამარჯვებულთა სამეულში მოხვედრის), ასევე, "ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას" და მის ლიდერს იური როშკას.

გაგრძელება A3 გვერდზე

მოკლედ

# პატრული ექსმიტანილთა დაკავების დროს ზეწოლას ახდენს

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა 4 მარტს თბილისის შს მთავარი სამმართველო შამოწმეს. მონიტორინგის ჯგუფმა სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში აღმოაჩინა დროებით დაკავებული ლაშა ცხოვრებაძე, რომელსაც პატრულმა დაკავების დროს თავში ხელკეტი ჩაარტყა და თავი გაუტეხა. ლაშა ცხოვრებაძემ მოითხოვა სასწრაფო დახმარების გამოძახება, რაზეც პატრულისგან უარი მიიღო, რითაც დაირღვა დაკავებულის უფლებები. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა აღნიშნული დარღვევა აღრიცხეს და ოქმი შეადგინეს.

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფის წევრები დროებითი მოთავსების იზოლატორში შეხვდნენ დაკავებულ არასრულწლოვანს გ. ასანიშვილს, რომელის შესახებაც დაკავების ჟურნალში აღნიშნულია, რომ იგი ქურდობის მუხლით დააკავეს. მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან საუბარში დაკავებულმა განაცხადა, რომ პატრულმა იგი მეტროს სადგურ "300 არაგველის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა. მისი დაკავების დროს და ასევე დაკავების შემდეგ, პატრულმა საპატრულო მანქანაში მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელა. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ეს დარღვევაც დააფიქსირეს, შედგა ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა და დაეთანხმა დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსიც. *24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** "ჯორჯ მარშალის სახელობის ფონდის" მიწვევით ქართველ პარლამენტართა ჯგუფი ევროსაბჭოში დაგეგმილ სემინარზე დასასწრებად გაემგზავრა. სემინარზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტების წევრები გაემგზავრნენ. ქართველი დეპუტატები სამოქალაქო ინტეგრაციისა და თავდაცვისა და უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით ერთკვირიან სემინარს მოისმენენ, რომელშიც ევროსაბჭოს ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებიც მიიღებენ მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის "ლილოს" სასწავლო ცენტრში ქართველი მესაზღვრეებისათვის სამკვირიანი სასწავლო კურსი ჩატარდება. როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, ქართველი მესაზღვრეების სწავლება საქართველოს სასაზღვრო უწყებასა და თურქეთის გენერალურ შტაბს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება.

სწავლებაში, რომელიც 7 მარტს დაიწყება და სამ კვირას გასტანს, 16 ქართველი მესაზღვრე ოფიცერი მიიღებს მონაწილეობას. ტრეინინგები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის და მომარაგების თემაზე ჩატარდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გერმანიაში ვიზიტისას ახალ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. მხარეთა შეთანხმების თანახმად, უახლოეს მომავალში ქართულ-გერმანული პოლიტიკური ფორუმი ჩამოყალიბდება, რომელიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით წელიწადში ორჯერ საქართველოსა და გერმანიაში შეხვედრებს გამართავს.

გარდა ამისა, შემოდგომაზე საქართველოს გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარე ვოლფგანგ თიერზე ეწვევა. ქართული მხარის ინიციატივითა და გერმანული მხარის თანხმობით საქართველოს პარლამენტი მზადაა, მიიღოს საქართველოში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებულ გერმანელ პარლამენტართა ჯგუფი, რომელიც ადგილზე გაეცნობა არსებულ ვითარებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის ახალმა რწმუნებულმა გიორგი ხაჩიძემ მუშაობა ოფიციალურად დაიწყო. იგი სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ წარუდგინა. პრემიერ-მინისტრმა რეგიონის ახალ რწმუნებულთან ერთად დახურული თათბირიც გამართა. იგი რეგიონში არსებულ პრობლემებს მიეძღვნა. თავად გოგა ხაჩიძე რეგიონში არსებული სიტუაციის გასაცნობად და სამომავლო პრიორიტეტების დასახვის მიზნით რამდენიმედღიან ინტერვალს ითხოვს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იტალიის სამხრეთ ტიროლის ავტონომიის მაგალითი საქართველომ შესაძლოა „სამხრეთ ოსეთის" და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისას გამოიყენოს.

იტალიაში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი სამხრეთ ტიროლის ავტონომიის მოდელს გაეცნო. მისი თქმით, იტალიის ეს რეგიონი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ ცხოვრობენ ერთიან სახელმწიფოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. სამხრეთ ტიროლის ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამს, საკუთარი გამოცდილება საქართველოს გაუზიაროს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საქართველოში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის კონცეფცია შეიმუშავა.

"ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია ითვალისწინებს მათ აქტიურ და ეფექტურ ჩართვას ქვეყნის ცხოვრებაში. ამ სფეროში პოლიტიკის განხორციელების უმთავრესი პირობაა მოქალაქეობრივი შეგნების მქონე სოციალური სუბიექტის ფორმირება, რომელიც მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ეფექტურად იქნება ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა შეინარჩუნებს სრულ ეთნიკურ, კულტურულ და ენობრივ თვითმყოფადობას" - აღნიშნა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ თევდორაძემ. მისი თქმით, კომიტეტის მიერ შემუშავებულ კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის ქართული ენის სწავლების პოლიტიკაზე, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ და შემადგენელ ნაწილზე.

კონცეფციისა და მასში მოცემული პროგრამების მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებების ფარგლებში განხორციელდება. პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ პირობას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებაც წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

# არასაწესდებო ურთიერთობები სამხედრო აკადემიაში

პირველი გვერდიდან

დაახლოებით ერთი თვის წინ 14 კურსანტი გაირიცხა არასაწესდებო ურთიერთობებისთვის. ერთი წლის წინ აკადემიის კედლები 37 კურსანტს დაატოვებინეს. "ისინი სისტემატურად იპარებოდნენ აკადემიიდან, შეინიშნებოდა ლოთობის ფაქტები... პირველი, რაც აკადემიის სათავეში მოსვლისთანავე თვალში მეცა, ეს იყო დაუსჯელობის სინდრომი. შეინიშნებოდა ჩხუბები, კონფლიქტები კურსანტებს და ადგილობრივ მოსახლეობას შორის," – ამბობს გიორგი თავდგირიძე. მისი აზრით, გარიცხვის ორი ეტაპის დასრულების შემდეგ, აკადემიამ ოდნავ ამოისუნთქა, შვება იგრძნო ყველამ, დაწყებული კურსანტებით, პედაგოგებით და სასადილოს თანამშრომლებით დამთავრებული... "მათთვის ახლობელი ქურდული გაგება, ქუჩურ-კრიმინალური მენტალიტეტი უფრო იყო, ვიდრე ოფიცრის ღირსება!" – შენიშნავს რექტორი.

არაოფიციალურ საუბრებში, აკადემიასთან დაახლოებული პირები, ხშირად მიუთითებენ ამ სასწავლებელში წლების განმავლობაში "ფრთებგაშლილ" და გაპარპაშებულ ერთ-ერთ კუთხურ დაჯგუფებაზე, რომელიც სისასტიკით გამოირჩეოდა. ეს დაჯგუფება ზოგჯერ აკადემიის სივრცესაც არ სჯერდებოდა და მოსახლეობას უტეხდა აყალ-მაყალს. არაოფიციალური ინფორმაციით, ერთხელ, როცა ამ დაჯგუფების წევრი ადამიანის დაჭრაზეც კი წავიდა, აკადემიის იმდროინდელი რექტორატი "ზემოდან" დარეკილმა ზარმა აიძულა, ხულიგანი კურსანტისთვის ხელი არ ეხლო. იმავე არაოფიციალური ინფორმაციით, მაშინდელ აკადემიაში ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით თაევზაძის და კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის სატელეფონო ზარებს კანონის ძალა ჰქონდა.

ახალ რექტორატს რადიკალური ზომების დაჩქარებისკენ ერთმა ტენდენციამ უბიძგა: კურსანტებმა მასობრივად დაიწყეს აკადემიის დატოვება. ექვსი თვის განმავლობაში აქ 30-მა კურსანტმა თქვა უარი სწავლის გაგრძელებაზე. ბუნებრივია, რექტორატს ეჭვი შეეპარა, რომ მათი წასვლის ნამდვილი მიზეზი მარტოოდენ მკაცრი სასწავლო რეჟიმი არ იყო. ეჭვები დაადასტურეს დაჩაგრული კურსანტების მშობლებმა. როგორც გიორგი თავდგირიძე შენიშნავს, მშობლები თა- [illegible] "ჩემს შვილს სახელი გაუფუჭდება."

გარდა ჩხუბებისა, აკადემიაში არასაწესდებო ურთიერთობებიდან ყველაზე ცნობილია ფულის აკრეფის "ადათი". იგი უშაულოდ უკავშირდებოდა ე. წ. ღამის ცხოვრებას. ერთ-ერთი კურსანტის ბიძა იხსენებს: **"ჩემს ძმისშვილს აკადემიის "ყოჩები" ორი წლის განმავლობაში უბაგუნებდნენ იმის გამო, რომ იგი "ხარკს" პრინციპულად არ აბარებდა. ახლახან ჩემი შვილებისთვის, ანუ თავისი ბიძაშვილებისთვის უთქვამს, ამ გარიცხვების წყალობით, ორი წლის შემდეგ ძლივს ამოვისუნთქეო."** ხსენებული კურსანტი სახმელეთო ფაკულტეტზე სწავლობს.

აკადემიის რექტორატს დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ არასაწესდებო ურთიერთობების აღმოჩენილ ფაქტებს იურდიული ძალა მიანიჭოს და სისხლის სამართლის საქმე აღძრას, მაგრამ ამაზე დღემდე ვერც ერთი "დაჩაგრულის" მშობელი ვერ დაიყოლია. ისინი უარს ამობებენ ოფიციალური ჩვენებების მიცემაზე.

აკადემიის რექტორმა დაადასტურა ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გარიცხვების შემდეგ, საკუთარი სურვილით წასულ კურსანტებს სასწავლებელში დაბრუნების სურვილი გაუჩნდათ. **"დიახ, არის ასეთი ზარები, თუმცა იურიდიულად მათი აღდგენა, ალბათ, შეუძლებელია. ახლა აქტიურად ვმსჯელობთ ამ პრობლემაზე..."** რექტორატი ცდილობს, ისარგებლოს ასეთი კონკრეტული შემთხვევებით და კიდევ ერთხელ წავიდეს მოლაპარაკებებზე მშობლებთან: **"ჩვენ გვინდა, მშობლებმა საზოგადოებრივი თვითშეგნება გამოიჩინონ და დაგვეხმარონ, ღიად განაცხადონ იმის შესახებ, რის გამოც დატოვეს მათმა შვილებმა აკადემია."**

როცა კურსანტი მიდის, ოფიციალური მოტივაცია არ კონკრეტდება. აკადემია ორი სახის ზოგად ფორმულირებას ცნობს: ერთია, "საკუთარი სურვილით", მეორე - "გაირიცხა დისციპლინარული საბჭოს გადაწყვეტილებით." დისციპლინარული საბჭოს გადაწყვეტილება ახალ დროებაში კასაციას არ ექვემდებარება. გიორგი თავდგირიძის განმარტებით, მისი რექტორობის პერიოდში, "ზემოდან" ერთი სატელეფონო ზარიც კი არ დარეკილა. რექტორატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასჯის ბოლო ეტაპზე, როცა კურსანტის გადაცდომას დისციპლინარული საბჭო განიხილავს, კურსანტს თავის დაცვის საშუალება ეძლევა.

საზოგადოებაში არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია, თითქოს თურქი მეთაურები (განსაკუთრებით კი ქართულ-თურქული პროგრამის ამოქმედების პირველ ეტაპზე) ქართველ კურსანტებს ჩაგრავდნენ. კულუარებში რამდენიმე ვერსიად ჰყვებიან თურქი მეთაურისა და ქართველი კურსანტის ინციდენტს, რომლის დროსაც მესამე "დამხმარე პერსონაჟად" საფერფლეც სახელდება... ზოგი იქვე იმასაც შენიშნავს, რომ თურქი მეთაურის უხეშობას ქართველი კურსანტის ყოჩური მონაცემები განაპირობებდა. სხვათა შორის, ამგვარი მინიშნება, საკმაოდ დელიკატური ფორმით, თურქი პრორექტორის კომენტარშიც იგრძნობა. **"ამ თემაზე მეც მსმენია,** - განაცხადა პოლკოვნიკმა უსტუნმა, - **თუმცა უშუალოდ ჩაგვრის ამბებს არ მოვსწრებივარ და მართებული არ იქნება, თქვენს შეკითხვას პასუხი გავცე. მე ვთვლი, რომ თუ თურქ ოფიცრებსა და ქართველ კურსანტებს შორის რაიმე ხარვეზები არსებობდა, შეიძლება, გამომდინარე ყოფილიყო ჩვენი განსხვავებული ტრადიციებისაგან."** აღნიშნულ თემაზე საუბრისას ინკოგნიტო სამხედრო პირმა გვითხრა, რომ ქართველ კურსანტს ზოგჯერ ეჩოთირება ზემდგომის სიტყვის შესრულება, რაც მის პიროვნულ და პროფესიულ სისუსტეზე მიუთითებს. იმასაც ამბობენ, რომ ზოგჯერ აკადემიაში ერთი და იმავე რანგის, ერთი და იმავე ჩინის ზემდგომს კურსანტები განსხვავებულად მორჩილებენ. კერძოდ, თურქ მეთაურს უფრო მეტი ძალა და გავლენა აქვს. სხვათა შორის, მსგავსი რამ, ნიუანსის დონეზე, აკადემიის პლაცზეც შევნიშნეთ ჩვენი ხანმოკლე სტუმრობისას. დასკვნა მარტივია: თურქები კი არ ჩაგრავენ, გასაქანს არ აძლევენ ქართველ კურსანტებს. ეს უკანასკნელებიც ძლიერს უფრო უწევენ ანგარიშს. პოლკოვნიკი უსტუნი შენიშნავს: **"ჩვენ აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ ქართველ კურსანტებს ყველაფერი ვასწავლოთ..."** რექტორი თავდგირიძე თურქების მხრიდან კურსანტების ჩაგვრას კატეგორიულად გამორიცხავს: **"ინციდენტი შეიძლება მომხდარიყო რაღაც გაუგებრობის გამო. ქართულ-თურქული სწავლების პროექტი პირველ ეტაპზე ქართული მხრიდან მიშვებული იყო. ნერვულ ფონზე, არ გამოვრიცხავ, კურსანტი ყოფილიყო ინციდენტის გამომწვევი და შემდეგ ოფიცერსაც სათანადოდ ეპასუხა. ცალსახად ვაცხადებ: მიზანმიმართული უხეშობა თურქების მხრიდან გამორიცხულია."**

გიორგი თავდგირიძის თქმით, აკადემიის სინამდვილისთვის ქართველი კურსანტის მხრიდან ქართ- [illegible] **"ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ვთქვა, რომ აკადემიაში ამ მხრივ არასაწესდებო ურთიერთობები მართლაც შეინიშნებოდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ კურსანტმა აგინა ოფიცერს. ხმები მომდიოდა, რომ იარაღით დახვედრის შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. დიდი დრო დაგვჭირდა, რათა ჩვენი ოფიცრებისთვის ჩაგვენერგა, რომ მათ უკან დგას სახელმწიფო, რომელიც თითოეულ პიროვნებას დაიცავს, თუკი ეს უკანასკნელი პრინციპულობას გამოიჩენს. უკვე ათმეთაურებმა და ოცმეთაურებმა გამოიჩინეს ხერხემალი. ამ ეტაპზე პრობლემა ისაა, რომ მათ უნდა ვასწავლოთ კურსანტებთან რაფინირებული, ზრდილობიანი ურთიერთობა."**

სამხედრო აკადემიაში სტუმრობისას აკადემიის ხელმძღვანელობამ კურსანტებთან სასაუბროდ მარტო დარჩენის შესაძლებლობა მოგვცა, თუმცა ამ ფუფუნებას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. კურსანტები იშვიათი სიტყვაძუნწობით გამოირჩევიან. გარიცხული კურსანტის მეგობარმა, რომელმაც თურმე ამ ფაქტის გამო ცხარე ცრემლები ღვარა, "არ იცის", რატომ გარიცხეს მისი ძმაკაცი. **"მას შემდეგ არ მინახავს და როგორ გავიგებდი!"** - ცრუობს კურსანტი (ჩვენი ინფორმაციით, იგი ხშირად ხვდება გარიცხული მეგობრის ძმას). საზღვაო სასწავლებლის მესამეკურსელი ალექსანდრე ბაბუნაშვილიც დელიკატურ უარს ამბობს არასაწესდებო ურთიერთობების შესახებ საუბარზე. ჩვენ შევხვდით ცხინვალელ ზურა სივუკაევსაც, მოსამზადებელი ფაკულტეტიდან. **"აკადემიის გარემო ჩემთვის ყოველმხრივ მისაღებია,"** – საუბრის თავიდან აცილების ტონით განაცხადა ზურამ, რომელსაც ნამდვილად გაუმართლა - იგი მოწყობაზე გამოიძახეს.

რამდენიმე შეკითხვა იმ კურსანტსაც დავუსვით, რომელსაც, აკადემიის ხელმძღვანელობის ინფორმაციით, დღესაც ჩაგრავენ. რა თქმა უნდა, მან ამის შესახებ არაფერი გვითხრა.

კერძო საუბრისას ერთ-ერთი კურსანტის უახლოესმა ნათესავმა, სამხედრო პირმა, აგვიხსნა, რომ კურანტები ბოლომდე მშობლებთანაც კი არასოდეს იხსნებიან. დაჩაგრულები თავიანთ გულისტკივილს, ტრადიციულად, უახლოეს მეგობარს და თანატოლს უზიარებენ.

ჩვენთან საუბრის დასაწყისში აკადემიის რექტორმა გიორგი თავდგირიძემ საბჭოთა ჯარიდან მემკვიდრეობით მიღებულ ისეთ მავნე ტრადიციებზე ჩამოაგდო სიტყვა, როგორიც არის "დედოვშჩინა" და კუთხურობა. ჩვენს შეკითხვაზე - "შეგიძლიათ, თქვათ, რომ გარიცხვების და კუთხური დაჯგუფებების აღკვეთის შემდეგ აკადემიაში "დედოვშჩინა" აღარ არსებობს?" - პასუხი ასეთია: **"ჩათვალეთ, რომ ეს პრობლემა 90 პროცენტით აღმოფხვრილია".** თავდგირიძე შენიშნავს, რომ აუცილებელია, ძირფესვიანად შეიცვალოს აკადემიის გარემო, ანუ, მოისპოს ის ნიადაგი, რომელიც "დედოვშჩინას" და სხვა არასაწესდებო ურთიერთობებს წარმოშობს.

დღეისათვის აკადემიაში მოქმედებს სპეციალური პროგრამა, პირობითი სასწავლო პოლკის სახით. აქ უფროსკურსელები ვირტუალურად ასრულებენ ათეულების და ოცეულების მეთაურების ფუნქციას. ვირტუალურ პოლკში კურსანტები რეალურად ახორციელებენ გადაადგილებებს, გასცემენ სხვადასხვა ბრძანებებს, ანუ ისინი ენერგიას აქტიურად ხარჯავენ და ლიდერობის ჟინსაც იკლავენ საჯაროდ, თავიანთი თანატოლების თვალწინ. რექტორს სჯერა, რომ **"ასეთ ვითარებაში მათ ნაკლებად გაუჩნდებათ შინაგანი სურვილი იმისა, ვინმე დაჩაგრონ. პირიქით, როცა უკვე სხვების მეთაური ხარ, შენში პასუხისმგებლობის გრძნობა იზრდება და შენზე მინდობილ ადამიანებზე ზრუნვის მომენტი ძლიერდება... როცა კურსანტები ხუთ დღეს ყაზარმაში, მამაკაცურ გარემოში იმყოფებიან, მათ პატარ-პატარა ფსიქოლოგიური სტრესები აქვთ. გამოსავალი თანამედროვე ტრენინგებია. ვირტუალური პოლკის გარდა, ჩვენ სხვა ტრენინგებსაც გამოვიყენებთ."**

პოლკოვნიკ უსტუნის ინფორმაციით, დღესდღეობით თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში არასაწესდებო ურთიერთობებიდან ყველაზე ხშირად შეინიშნება დაგვიანებები და კურსანტებს შორის ერთმანეთის ჩაგვრა. სხვათა შორის, გამოცდაზე გადაწერა აქ საკმაოდ მკაცრად ისჯება. ჩვენი ინფორმაციით, იდეაში არსებობს რექტორატის "შავი სია", რომელშიც გარიცხვის კანდიდატი კურსანტების გვარ-სახელებია დაფიქსირებული.

**"საზოგადოებრივი აზრის არაერთგვაროვნებას ამ შემთხვევაში ანგარიშს ვერ გავუწევ. აკადემია აკადემიას უნდა დაემსგავსოს,"** - აცხადებს რექტორი გიორგი თავდგირიძე. ეს იმას ნიშნავს, რომ წმენდის პროცესი გაგრძელდება და არასაწესდებო ურთიერთობებში მხილებულ კურსანტებს სამხედრო სიმკაცრითა და პრინციპულობით მიუთითებენ სასწავლებლის შენობიდან ქუჩაში გასასვლელი კარისკენ. სასწავლებელში დარჩენილებს კი აკადემიის პირველი პრორექტორი, სამხედრო სასწავლებლების უფროსი, პოლკოვნიკი ტარიელ ლონდარიძე კიდევ ერთხელ შეახსენებს ხუთ ძირითად პრინციპს, [illegible] სიჭკვიანე, პატიოსნება, სამართლიანობა, სიმკაცრე, ჰუმანურობა.

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 8 მარტს, გამოტანილ იქნება N7 აუქციონზე, რომელიც შედგება 2005 წლის 9 მარტს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2005 წლის 9 მარტის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი




მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), [illegible] (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), [illegible]. სტილი: [illegible]. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## გადავიტანოთ თუ არ გადავიტანოთ?

### საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში ნაჩქარევად გადატანა დაუშვებელია

ვერიკო თევზაძე

*ქუთაისის დეპრესიიდან გამოყვანის მიზნით განხორციელებულმა მთავრობის ახალმა ინიციატივებმა, შეაძლოა, თბილისი ჩააგდოს მძიმე დეპრესიაში, თუ, რა თქმა უნდა, ეს ინიციატივები ნაჩქარევად, წინასწარი გათვლების გარეშე განხორციელდება. ამის ნათელი მაგალითია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ატეხილი აჟიოტაჟი: გადავიტანოთ თუ არ გადავიტანოთ...*

ამ დღეებში მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოკლე ვადებში ქუთაისში გადატანას ითვალისწინებს. იურიდიულმა კომიტეტმა კანონპროექტი დაიწუნა, თუმცა არ არის გამორიცხული, იგი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მაინც გაიტანონ.

დეპუტატების უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა საკონტიტუციო სასამართლოს დედაქალაქიდან გადატანის იდეას, ცალსახად აცხადებს, რომ ამ პროექტის ნაჩქარევად განხორციელება დაუშვებელია.

იურიდიული კომიტეტის წარმომადგენელი ნიკა გვარამია: **"ზოგადად, ეს პროექტი განხორციელებადია, მაგრამ არა იმ სახით, როგორიც კომიტეტში შემოვიდა. მას არ ახლავს ეკონომიკური გათვლები. არ არის გარკვეული, რომელ შენობაში უნდა გადავიდეს სასამართლო, დაუზუსტებელია ამ საქმისთვის საჭირო ხარჯები... შედეგად მივიღებთ იმას, რომ საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლი შეჩერდება, სტაგნაცია შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს... ჩვენ გაუთვლელი პერსპექტივის მხარდაჭერას არ ვაპირებთ"**.

ნიკა გვარამიასთვის კონკრეტული გათვლების არსებობა მხოლოდ იმისთვისაა საკმარისი, რომ **"კაცმა ამ საკითხზე ფიქრი დაიწყოს"**. თანაც, ეს ფიქრი მაინცდამაინც ოპტიმიზმით აღსავსე არ არის: **"არ მაქვს ისეთი განცდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანა ქუთაისს პრობლემებს მოუხსნის. შეიძლება ამ ფაქტმა ქალაქს სტატუსი აუწიოს. ჩემი აზრით, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება ბევრად უფრო დიდი სიკეთეა ქვეყანაში, ვიდრე რომელიმე ქალაქისთვის სტატუსის აწევა,"** - განაცხადა გვარამიამ ჩვენთან საუბარში.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ეტაპზე ქუთაისში გადატანა არც რესპუბლიკელ ლევან ბერძენიშვილს მიაჩნია მართებულად: **"სასამართლო დატვირთულია საქმეებით და ქუთაისში გადატანის შემთხვევაში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა წაერთმევა."** ბატონი ბერძენიშვილი ამ იდეის ინიციატორებს შეახსენებს, რომ საქართველო გერმანია არ არის და ურჩევს, იმ "კარგ დროს" დაელოდონ, როცა ერთი ქალაქიდან მეორეში გადაადგილება, გერმანიის დარად, ჩვენშიც ადვილი და იაფი იქნება.

ბატონი ბერძენიშვილი იხსენებს, რომ თავდაპირველად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაადგილების მარშრუტი თბილისი-მცხეთა იყო და არა თბილისი-ქუთაისი. მცხეთა, ქუთაისისგან განსხვავებით, ბუნებრივია, ძალიან ბევრ პრობლემას და ბარიერს მოხსნიდა. ბერძენიშვილის დარად, სხვებისთვისაც გაურკვეველია, რატომ არ მიეცა მწვანე შუქი მცხეთის ვარიანტს.

ელენე თევდორაძე იმ დეპუტატთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც იურიდიულ კომიტეტში განხილულმა კანონპროექტმა ვერ გაარკვია მოტივაციაში, რისთვის გადააქვთ საკონსტიტუციო სასამართლო ქუთაისში. **"ეს სიახლე არ შეცვლის ინფრასტრუქტურას ქუთაისში, რაზეც არის აქცენტი გაკეთებული კანონპროექტში,"** - დასძენს თევდორაძე.

მიუხედავად იმისა, რომ ელენე თევდორაძეს კანონპროექტის აქცენტებისა არ სჯერა და, იმავდროულად, უპასუხო კითხვებიც აწუხებს, დანარჩენი დეპუტატებისგან განსხვავებით, მორჩილებას იჩენს: **"თუ ეს არის საქართველოს პრეზიდენტის, ქვეყნის უმაღლესი პირების გადაწყვეტილება, მე მაინცდამაინც წინააღმდეგი არ გამოვალ. მით უფრო, რომ, რამდენადაც ვიცი, ამ პროექტს არ ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი."**

ჩვენი ინფორმაციით, ბატონ ხეცურიანს დედაქალაქის დატოვების იდეა დიდად არ აღაფრთოვანებს, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არ არის. საკონსტიტუციო სასამართლოს პრესსამსახურში განგვიცხადეს, რომ აღნიშნული უწყება არ ეწინააღმდეგება ქუთაისში გადასვლას, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ ნიადაგი მომზადდება და საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირების საშუალება მიეცემა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ჯონი ხეცურიანმა ხსენებული საკითხის შესახებ "24 საათთან" კომენტარისაგან თავი შეიკავა.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.

### 3 და 8 მარტის დღესასწაულების სასამართლო პროცესი

ბრალდებული
უდის დღე (3მარტი) და ქალთა საერთაშორისო დღე (8 მარტი)



ბრალდებული — ეკა ბესელია

ადვოკატი — ანა კორძაია-სამადაშვილი

ბრალდებულის მოთხოვნა
გაუქმდეს 3 მარტისა და 8 მარტის დღესასწაულები

ვერდიქტი
12 ნაფიცი მსაჯულის გადაწყვეტილებით (9 ხმა 3-ის წინააღმდეგ)
3 და 8 მარტი დარჩა დღესასწაულად

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.გიორგი მღეჯანი | (არა) | 7.ქეთინო | (არა) |
| 2.ნუგზარ ყარამაშვილი | (დიახ) | 8.ლალი ებანოიძე | (დიახ) |
| 3.ანუკა მინდიაშვილი | (არა) | 9.დიტო ქართველი | (დიახ) |
| 4.ანონიმი | (დიახ) | 10.ნინო ბერიძე | (დიახ) |
| 5.თემურ სულხანიშვილი | (დიახ) | 11.ნინო ჩიტაიშვილი | (დიახ) |
| 6.მაგა ღლონტი | (დიახ) | 12 მზია მიქრიაული | (დიახ) |

## მოტყუებული უპასპორტოები

პირველი გვერდიდან

მიწურულს, წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაიხსენეს. გაჩნდა გაცხადებები, რომლის თანახმადაც, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხმის მიცემის უფლება ამომრჩეველს მხოლოდ ეროვნული პასპორტით უნდა შეძლებოდა, რადგან აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას ერთმანეთისაგან განსხვავებული პირადობის მოწმობები აქვს და გაურკვეველი იყო, რომელი დოკუმენტით შეიძლებოდა არჩევნებში მონაწილეობა და რომლით - არა. თუმცა მაშინ ეს განცხადებები საზოგადოებამ უარყოფითად მიიღო. ნათელი გახდა, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის ეროვნული პარსპორტების მიცემა შეუძლებელი იყო. შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ "რჩეულები" მოახერხებდნენ.

ეროვნული პასპორტების გაცემის პროცესის დაწყების თაობაზე საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში მეორედ, უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა არძინბამ განაცხადა. მან გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, პასპორტიზაციის პროცესი 2004 წლის პირველი ნოემბრიდან უნდა დაწყებულიყო. ბრძანებულება მოსახლეობამ ისევე აღიქვა, როგორც წინა გადაწყვეტილება - მათი აზრით, ხელისუფლებას სურდა, არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ მას მიეღო, ვისაც ეროვნული პარსპორტი ექნებოდა. გასაგები იყო, რომ აფხაზეთის მოქალაქეობის მქონეთა კატეგორიაში მხოლოდ ისინი შევიდოდნენ, ვინც საჭირო იყო. ექვსი დეკემბრის შეთანხმებამ და პოლიტიკური უთანხმოების მოწესრიგებამ აზრი დაუკარგა სასწრაფო პასპორტიზაციას.

განმეორებითი არჩევნების დასრულებისთანავე, ბაგაფშმა განაცხადა, რომ ეროვნული პასპორტების გაცემა პირველი მარტიდან დაიწყებოდა. ახლა უკვე ნათელია, რომ ამ პროცესის დასაწყებად შესაბამისი პირობები შექმნილი არ არის. მთავარი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის მოსამზადებელ სამუშაოებს, ფინანსების უქონლობაა. ხელისუფლებას სურს, თავიდან აიცილოს საუბრები ამ პროცესისთვის საჭირო თანხების შესახებ და იმაზეც, თუ საიდან მოიტანენ ფულს. სავსებით შესაძლებელია, რომ ისინიც, ვინც ამით უშუალოდ არის დაკავებული, არ იციან, მთლიანობაში რა დაჯდება ეს პროცესი, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ერთი ბლანკი, დაახლოებით, ათი ამერიკული დოლარი ღირს. ხელისუფლება კი პირობას დებს, რომ მოსახლეობა დოკუმენტებში ფულს არ გადაიხდის.

პარლამენტარებთან შეხვედრის დროს ბაგაფშმა განაცხადა, რომ აფხაზეთში უკვე შემოტანილია 120 ათასი ბლანკი და კიდევ საჭიროა 100 ათასზე ნაკლები. თუმცა პრობლემა ეს არ არის. არავის ძალუძს, გასცეს პასუხი კითხვას - კონკრეტულად, ვინ შეძლებს ეროვნული პასპორტის აღებას, რომელი დოკუმენტების საფუძველზე გასცემენ ამ პასპორტებს და შეძლებენ თუ არა მის აღებას საქართველოსა და რუსეთის მოქალაქენი, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ. ყველა ამ საკითხის მოსაგვარებლად ხელისუფლებამ თვენახევარი მოითხოვა და მოსახლეობას არწმუნებს, რომ პასპორტების გაცემა მაისიდან დაიწყება.

ეროვნულ პასპორტებთან დაკავშირებით შექმნილი გაუგებრობის ფონზე, აგორდა მორიგი სკანდალი, რომელიც რუსეთის მოქალაქეობის გაფორმებასა და რუსეთის საზღვარგარეთული პარსპორტების გაცემას უკავშირდება. აფხაზეთის მოსახლეობაზე რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების დაუსრულებელი ეპოპეა რამდენიმე სკანდალისაგან შედგება, რომელიც იმ საშუამავლო კანტორებს უკავშირდება, რომლებიც მსურველებს აუცილებელი დოკუმენტების გაფორმებაში ეხმარებიან. მათი საქმიანობა დოკუმენტების შეგროვებითა და მათი სოჭში გადაგზავნით შემოიფარგლება. ეს საქმიანობა სარფიან ბიზნესად გადაიქცა. ამიტომაც, პერიოდულად წარმოიქმნება კონფლიქტები, რომელიც ფუნქციების განაწილებასა და კლიენტებისათვის ბრძოლას უკავშირდება.

ახალი სკანდალი, თავისი ფესვებით, წინასაარჩევნო პოლიტიკურ კრიზისს უკავშირდება. მაშინ რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტების განხილვის ვადა გააგრძელეს. დღემდე რუსეთის მოქალაქეობა მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო. დანარჩენები კვლავ აგრძელებენ საპასპორტო კანტორებისა და ჯიხურების კარების ატალახებას, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში შესაძლებელი ხდება იმის გაგება, მიიღეს თუ არა მათ რუსეთის მოქალაქეობა, აგრეთვე - საზღვარგარეთის პასპორტი. ბევრმა რუსი ჩინოვნიკების ასეთი შენელებული ქმედებები აღიქვა, როგორც სადამსჯელო ღონისძიება პრეზიდენტის არასწორად არჩევის გამო. მაგრამ გაირკვა, რომ რუსი ჩინოვნიკები იმიტომ არ ამუშავებენ ჩაბარებულ დოკუმენტებს (განსაკუთრებით, საზღვარგარეთის პასპორტის მისაღებად ჩაბარებულ საბუთებს), რომ პასპორტების გასაფორმებლად აუცილებელი ოფიციალური გადასახადი გადარიცხული არ არის. თავის მხრივ, ის ადამიანები, ვისაც საზღვარგარეთის პასპორტის მიღება სურთ, გადასახადს თავის დროზე იხდიდნენ, რადგან ბანკიდან შესაბამისი ქვითრის გარეშე დოკუმენტებს არ იბარებდნენ. გამოდის, რომ კომერციული "გარანტი - ბანკი", რომლის მეშვეობითაც წარმოებდა გადახდები, არ რიცხავდა ფულს რუსეთში.

რამდენიმე დღის წინ, ერთერთი ყველაზე მსხვილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, "რუსული სათვისტომოების კონგრესის" თავკაცმა (ეს ორგანიზაცია შუამავლის როლს ასრულებს და ეხმარება მსურველებს რუსეთის მოქალაქეობისა და საზღვარგარეთის რუსული პასპორტების აღებაში) გენადი ნიკიტჩენკომ "გარანტ-ბანკის" ხელმძღვანელობა საჯაროდ დაადანაშაულა სხვისი თანხების მითვისებასა და მათ არამიზნობრივ ხარჯვაში. ნიკიტჩენკოს მიერ დასახელებულმა თანხამ ბევრი განაცვიფრა - დაახლოებით, სამი მილიონი მანეთი.

ოთხ მარტს ეს სკანდალი ხელისუფლების მსჯელობის თემა გახდა. მიიწვიეს "გარანტ-ბანკის" თავკაცი მიხეილ ჩალმაზი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ჩალმაზმა განაცხადა, რომ ნიკიტჩენკომ ტყუილი თქვა. მისი თქმით, საქმე ეხებოდა არა სამ მილიონ მანეთს, არამედ სულ რაღაც 246 ათასს და ეს ფული არ გაიგზავნა მხოლოდ იმიტომ, რომ დოკუმენტები არასწორად იყო შედგენილი და ამის თაობაზე ბანკმა უკვე აცნობა ორგანიზაციებს, რომლებიც ამ საქმიანობით არიან დაკავებული. ჩალმაზმა ისიც განაცხადა, რომ, როგორც კი დოკუმენტები სწორად გაფორმდება, მთელი თანხა დაუყოვნებლივ იქნება გადარიცხულიო. მას ირიბად დაუჭირეს მხარი რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლებმაც. მათი უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ნიკიტჩენკომ, განცხადებების გაკეთებისას, საკუთარი სიტყვების დასტურად საგარეო უწყების წარმომადგენლების ნათქვამი გამოიყენა. თუმცა, როგორც მათ განაცხადეს, სამი მილიონი რუბლის თაობაზე მათ არსად არაფერი უთქვამთ.

ამ კონფლიქტის შედეგი კი ასეთია: რუსული მხარე მზად არის, გახსნას აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეობის გაფორმებისა და საზღვარგარეთის პასპორტების გაცემის ერთიანი ცენტრი, რომელიც შეასრულებს ყველა აუცილებელ ფუნქციას და გაწყვეტს თანამშრომლობას ამ საქმით დაკავებულ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან.

## აშშ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას მოითხოვს

პირველი გვერდიდან

რეზოლუციის სათაურია "სენატის მოსაზრება რუსეთის ქმედებებზე მოლდოვასა და საქართველოს მიმართ". ინიციატორი არის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი, რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი.

**"რუსეთმა დაასრულა მოლდავადან სამხედრო ტექნიკის გაყვანა, თუმცა დღემდე არ გაუყვანია ტერიტორიიდან საკუთარი სამხედრო ძალები, რის შესახებ პირობაც 1999 წელს, სტამბულში ეუთო-ს სამიტზე დადო,"** – ნათქვამია რეზოლუციაში.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ **"2004 წლის განმავლობაში, რუსეთს არანაირი პროგრესი არ ჰქონია მოლდავადან სამხედრო ძალების გაყვანის თაობაზე აღებული ვალდებულების შესრულების კუთხით"**.

რეზოლუციის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ გადაუწყვეტელია საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანის საკითხი.

**"რუსეთმა დაასრულა საქართველოდან სამხედრო ტექნიკის ნაწილის გაყვანა, რაც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების არსებობის ლიმიტს აღემატებოდა, თუმცა, დღემდე არ აქვს მიღწეული შეთანხმება საქართველოსთან გუდაუთას სამხედრო ბაზაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის სტატუსის თაობაზე, არ არის შეთანხმება ახალქალაქსა და ბათუმში რუსეთის სამხედრო ძალების არსებობის ვადებზე,"** – ნათქვამია დოკუმენტში.

ამასთან, რეზოლუციაში გამოთქმულია შეერთებული შტატების უარყოფითი პოზიცია საქართველო-რუსეთის საზღვარზე ეუთო-ს მონიტორინგის მისიის შეწყვეტის თაობაზე, რაც რუსეთის მოქმედებამ განაპირობა.

სენატი **"რუსეთის მიერ მოლდოვასა და საქართველოსადმი, 1999 წელს, სტამბულში, ეუთო-ს სამიტზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნას"** აუცილებლად მიიჩნევს.

ამერიკელი სენატორის მიერ ინიცირებულ რეზოლუციაში გამჟღავნებულია შეერთებული შტატების განზრახვა, **"ევროპელ მოკავშირეებთან ერთად, მტკიცე დიპლომატიური ზეწოლა განახორციელოს საქართველოს საზღვარზე ეუთო-ს მონიტორინგის აღსადგენად"** და იქვე აღნიშნულია, რომ ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის შეწყვეტის შემთხვევაში, შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები აპირებენ **"საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ინგუშეთის მონაკვეთებზე, ობიექტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სხვა საერთაშორისო მისიის არსებობა მოითხოვონ."**.

რესპუბლიკელ სენატორ ლუგარის განცხადებით, **"უსაფრთხოების კუთხით, ვითარება რეგიონში გაუარესდება, თუ რუსეთი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს მოლდოვას და საქართველოს ტერიტორიებიდან სამხედრო ძალების გაყვანის თაობაზე და თუ ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის მისია ფუნქციონირებას შეწყვეტს"**.

**"შეერთებული შტატები ვალდებულია ამ საკითხებში საკუთარი ლიდერობის დემონსტრირება მოახდინოს,"** – ხაზგასმით აღნიშნა მან.

რეზოლუციის მოსმენა აშშ-ს სენატში ხვალ გაიმართება.

## მოლდოვის არჩევანი პროდასავლურ კომუნისტებსა და პრორუსულ "დემოკრატებს" შორის

პირველი გვერდიდან

ჩამოყალიბებული სტერეოტიპის მიხედვით, კომუნისტ ვორონინს უფრო მეტი საერთო უნდა ჰქონდეს რუსეთთან, ვიდრე მის "დემოკრატ" ოპოზიციას. მაგრამ 2003 წლის შემდეგ, მოლდოვის დღევანდელ ხელისუფლებასა და კრემლს შორის ურთიერთობები სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. უკანასკნელ ხანებში მოლდოვას და რუსეთს შორის კი აშკარა დაპირისპირებაც შეიმჩნევა. კრემლი თავისი უკვე გამოცდილი "პოლიტტექნოლოგიური დახმარების" სახით ვორონინის ოპოზიციის გვერდში აღმოჩნდა, და არა ხელისუფლების, როგორც აქამდე ხდებოდა, თუნდაც, უკრაინის შემთხვევაში.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ გუშინ კომუნისტების მხარდამჭერები სწორედ პოსტსაბჭოური მემკვიდრეობისგან გათავისუფლებას, სხვა სიტყვებით რუსეთის გავლენის შემცირებას აძლევდნენ ხმას, ხოლო ოპოზიციური "დემოკრატიული მოლდოვას" და მისი ლიდერის ურეკიანის მომხრეები პროევროპული ორიენტაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ოპოზიციის ამ ნაწილის სიძლიერე სწორედ რუსული მხარდაჭერითაა განპირობებული,

მოლდოვას საპარლამენტო არჩევნები იმითაც იყო განსაკუთრებული, რომ იგი, ფაქტობრივად, ქვეყნის მომავალი მეთაურის ვინაობასაც განსაზღვრავდა. მოლდოვაში პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს 3/5-ის უმრავლესობით. ანუ ნებისმიერ პოლიტიკურ სუბიექტს უპირობო გამარჯვებისთვის 101 საპარლამენტო მანდატიდან მინიმუმ 61 უნდა მოეპოვებინა. დღემდე კომუნისტებს პარლამენტში 71 ადგილი ეკავათ. ვლადიმირ ვორონინი იმედოვნებდა, რომ წინა არჩევნების შედეგების განმეორებას შეძლებდა (რის შესახებაც გაკეთებული პროგნოზებიც მეტყველებდნენ) და, თუ მაშინ რუსეთთან კარგი ურთიერთობების დაპირებით მიაღწია წარმატებას, დღეს,– ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მოწოდებით გაიმარჯვებდა.

პარლამენტში მოსახვედრად სხვადასხვაგვარ სუბიექტებს განსხვავებული ბარიერი აქვთ დაწესებული. მაგალითად, პოლიტიკური პარტიის ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციისთვის ბარიერის გადასალახად ექვსპროცენტიანი მხარდაჭერაც საკმარისი იქნება. ორი სუბიექტისგან შემდგარი საარჩევნო ბლოკისთვის – 9 პროცენტი, ხოლო ბლოკისთვის, რომელშიც სამი ან მეტი სუბიექტია გაერთიანებული – 12 პროცენტი. ყველაზე დაბალი – სამპროცენტიანი – საარჩევნო ბარიერი დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის არის დაწესებული.

არჩევნების წინასწარი შედეგები დღეს გახდება ცნობილი. ხოლო ოფიციალურ შედეგებს ცენტრალური საარჩევნო კომისია ორი კვირის ვადაში გამოქვეყნებს.

## იტალიის გამოცდილი აგენტი მოკლეს. შეცდომით?

*იტალიაში ანტიამერიკული განწყობა იზრდება. იტალიელები, მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტი კარლო ჩამპი, აშშ-სგან განმარტებას მოითხოვენ – როგორ მოხდა, რომ გასულ პარასკევს ამერიკელმა ჯარისკაცებმა ბაღდადში დაცხრილეს ერთთვიანი ტყვეობიდან ახლად გათავისუფლებული იტალიელი ჟურნალისტი ქალის, ჯულიანა სგრენას მანქანა. სროლის შედეგად ჟურნალისტი მხარში დაიჭრა, ხოლო მისი თანმხლები იტალიის სპეცსამსახურის აგენტი ნიკოლა კალიპარი, რომელიც სგრენას გადაეფარა და ამით გადაარჩინა კიდეც, დაიღუპა.*

კოტე ელიზბარაშვილი

თეთრი სახლი ერაყში მომხდარი ინციდენტის გამო სინანულს გამოთქვამს. ამერიკელი სამხედროების შეცდომაზე ბოდიშის მოხდა ჯორჯ ბუშს მოუწია. თეთრი სახლიცა და პენტაგონიც ოფიციალურად ადასტურებენ იტალიელთა მანქანის დაცხრილვის ფაქტს. გუშინ ჯორჯ ბუშსა და იტალიის პრემიერ-მინისტრს, სილვიო ბერლუსკონის შორის დაახლოებით ხუთ წუთიანი საუბარი შედგა. აშშ-ის პრეზიდენტმა პირადად უთანაგრძნო იტალიელ ჟურნალისტს, გამოჯანმრთელება უსურვა და ინციდენტის დეტალურ გამოძიებას დაჰპირდა.

როგორც ცნობილია, ჟურნალისტის მანქანას ბაღდადში დისლოცირებული მესამე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცებმა გაუხსნეს ცეცხლი. ამერიკელი სამხედროების ვერსიით, ვითარება შემდეგნაირად გამოიყურებოდა: აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე ბლოკ-პოსტი დგას; ამერიკელმა სამხედროებმა დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანა შენიშნეს; ამერიკელები სიბნელეში გამაფრთხილებელ გასროლას ახდენენ; მანქანა არ ჩერდება, ამის შემდეგ უკვე მანქანას ესვრიან, ძრავაზე დამიზნებით; შედეგად იტალიის სპეცსამსახურის ოფიცერი დაიღუპა და მანქანაში მჯდომი კიდევ ორი ადამიანი, იტალიელი ჟურნალისტის ჩათვლით, დაიჭრა. თუმცა, მანქანის დაცხრილვის შემდეგ გადარჩენილმა მგზავრებმა, რომში ჩასვლისთანავე იტალიელ გამომძიებლებთან დაკითხვის დროს განაცხადეს, რომ ამერიკელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი მოულოდნელად, გაფრთხილების გარეშე გახსნეს და ახლომახლო არავითარი ბლოკ-პოსტი არ იყო.

51 წლის იტალიელი სპეცაგენტი ნიკოლა კალიპარი გამოცდილი თანამშრომელი იყო და მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებებში, რომლის შედეგად ორი იტალიელი ერაყელთა ტყვეობიდან გაათავისუფლეს. ჟურნალისტის გათავისუფლების საქმეზე კალიპარი მანამდეც იყო ერაყში ჩასული, რადგან სწორედ ის ხელმძღვანელობდა ჯულიანა სგრენას გათავისუფლების ოპერაციას, თუმცა პირველ მცდელობაზე მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა. ჯულიანა სგრენა თვლის, რომ თვითონ იყო ამერიკელი სამხედროების სამიზნე. "ცნობილია, რომ ამერიკელებს არ სურთ მოლაპარაკების წარმოება მძევლების გათავისუფლების შესახებ. ამიტომ არ მესმის, რატომ უნდა გამოვრიცხო ვერსია იმის შესახებ, რომ სწორედ მე ვიყავი მათი სამიზნე?" - განაცხადა ჟურნალისტმა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ არ იცის, გადაიხადეს თუ არა მის სანაცვლოდ გამოსასყიდი თანხა, თუმცა იქვე დაუმატა, რომ გათავისუფლების წინ, ერაყელება მას მოუბოდიშეს. გაზეთ "კორიერე დელა სერას" ინფორმაციით, ერაყის პარლამენტის დეპუტატმა იუნადამ კანამ განაცხადა, რომ იტალიის სპეცსამსახურებმა ჯულიანა სგრენას გათავისუფლებისათვის ერთი მილიონი დოლარი გადაიხადეს, რომლებიც მოლაპარაკების ბოლო ეტაპს ერაყელი და ამერიკელი შუამავლების გარეშე აწარმოებდნენ. ოფიციალურ დონეზე ეს ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ დასტურდება და არც საწინააღმდეგოს ამბობენ რამეს. მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოები აცხადებდნენ, რომ სგრენას გატაცება თავის თავზე "მოჯაჰედების ბრიგადამ ერაყში" აიღო, რომელმაც ჟურნალისტის გათავისუფლების პირობად ერაყიდან იტალიელი სამხედროების გაყვანას მოითხოვდა. თუმცა, ერაყელი დეპუტატის ინფორმაციით, სგრენა მძევლად სადამ ჰუსეინის მომხრეებმა აიყვანეს, რომლებსაც თავიდანვე არ წაუყენებიათ პოლიტიკური მოთხოვნები და მხოლოდ გამოსასყიდ თანხას მოითხოვდნენ.

პენტაგონი აცხადებს, რომ ამერიკელი ჯარისკაცები ინსტრუქციის თანახმად მოქმედებდნენ. ჩნდება კითხვა: რატომ არ იყო ამერიკისა და იტალიის სპეცსამსახურებს შორის შეთანხმებული კოორდინირებული მოქმედება? როგორ გავლენას მოახდენს აღნიშნული ინციდენტი ერაყში ამერიკულ-იტალიური თანამშრომლობის განვითარებაზე? იტალია ხომ პრეზიდენტ ბუშისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი პარტნიორია.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯანფრანკო ფინიმ გაზეთ "კორიერე დელა სერასთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ტრაგიკული ინციდენტი იტალია-აშშ-ს მეგობრულ ურთიერთობას არ შეცვლის. მანვე გააკეთა ერთგვარი მინიშნება იმის შესახებ, რომ არ აპირებს ამერიკელი სამხედროებისადმი ბრალის წაყენებას და იტალიელი მზვერავის სიკვდილს ტრაგიკულ შემთხვევითობას უკავშირებს. "ეს ბედის უბოროტესი ირონია, შემთხვევითობით განპირობებული ტრაგედია გახლდათ. მე ანტიამერიკული რეაქციის არ მეშინია. იმედი მინდა ვიქონიო, რომ მსგავსი რეაქცია არ იყოს. ასეთი რეაქცია ამ გმირის (ნიკოლა კალიპარი, რედ.) ხსოვნისადმი ყველაზე მზაკვრული საშუალებით დარტყმა იქნებოდა," - განაცხადა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯანფრანკო ფინიმ.




# ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია მძიმდება

თამარ ივანიძე

ახალი საგადასახადო კოდექსი უკვე ორი თვეა, მოქმედებს. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მას სიგარეტის მწარმოებლებისგან მოჰყვა, რომლებიც ამბობენ, რომ ახალმა კოდექსმა სიგარეტის კონტრაბანდის ზრდას და ადგილობრივი წარმოების შეჩერებას დაუდო საფუძველი.

სიგარეტის ბაზარზე შექმნილი რეალური პრობლემების გამოძახილი გახლდათ ის გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ბაზრობებზე სიგარეტით ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით მიიღო. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე კი იუწყება, რომ ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა კიდევ დამატებითი ზომების მიღებას გეგმავს.

სხვათა შორის, გასულმა კვირამ აჩვენა, რომ აღნიშნული ზომები ნამდვილად ვერ ჩაივლის უმტკივნეულოდ. ამაზე მეტყველებდა რამდენიმე ხმაურიანი აქცია, რომელიც ბაზრებზე მოვაჭრეებმა გასულ კვირას მინისტრების გადადგომის მოთხოვნით მოაწყვეს.

გუშინ კი ზუგდიდში, სიგარეტით მოვაჭრეებს ბაზარში დახლები აშლილი დახვდათ. მოვაჭრეებმა, რომლებიც სიგარეტით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ ბრძანების თაობაზე საპროტესტო აქციებს პირველი მარტიდან მართავდნენ, აქცია გუშინაც განაახლეს.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, თუ ხელისუფლება მათ "ლუკმა-პურის" შოვნის საშუალებას წაართმევს, ისინი პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართავენ.

ეს აქციები დღეს, შესაძლოა, საკმაოდ დიდი მასშტაბის არ არის, თუმცა ის, რომ ქვეყნის ხელისუფლებას მიმდინარე რეფორმების ნუსხაში პრაქტიკულად არ აქვს გათვალისწინებული დასაქმების რეალური პოლიტიკის წარმოება, ერთხელაც იქნება და, ამ ხელისუფლებას საკმაოდ ცუდად შემოუბრუნდება.

საგადასახადო კოდექსით მხოლოდ სიგარეტის ბაზარზე არსებული სიტუაცია არ გამწვავებულა - სიგარეტის მწარმოებლების პარალელურად, ნავთობპროდუქტების იმპორტიორები დიზელის საწვავზე აქციზის განაკვეთის შემცირებას ითხოვენ. კომპანია "კანარგო სტანდარტ ოილის" გენერალურმა დირექტორმა სოსო ფხაკაძემ განაცხადა, რომ აქციზის დაწევა კონტრაბანდული საწვავის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური ეკონომიკური ბერკეტია, რომელიც მთავრობამ ადმინისტრირების გამკაცრების პარალელურად უნდა აამოქმედოს.

მისი ინფორმაციით, მიმდინარე წელს საქართველოში ნავთობპროდუქტების გაძვირება მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდამ განაპირობა და დიზელის საწვავის ღირებულება თითქმის ბენზინის ფასს გაუთანაბრდა, რაც მძიმე ტვირთად აწვება გლეხობასა და ფერმერულ მეურნეობებს.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაცია გამოსავალს აქციზის დაწევაში ხედავს, რაც დიზელის საწვავს გააიაფებს და კონკურენციას გაუწევს კონტრაბანდულ საწვავს.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა წინადადებას არ იზიარებს ფინანსთა სამინისტროს აქციზის გადამხდელთა ინსპექცია. ინსპექციის უფროსმა დავით გიორგაძემ განაცხადა, რომ საქართველოში ერთი ლიტრი დიზელის საწვავის ფასი 1,20 ლარს შეადგენს, სადაც აქციზის წილი მხოლოდ 12 თეთრია, რომლის მთლიანად მოხსნაც კი ვერ გადაჭრის პრობლემას, რადგან მეზობელ აზერბაიჯანში ერთი ლიტრი დიზელის საწვავის ფასი აქციზთან ერთად 30 თეთრს არ აღემატება.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაცია სულ უფრო და უფრო მძიმდება. ამას ემატება ენგურჰესის გაჩერება, რაც ქვეყანას, მიუხედავად იმპორტის გაზრდისა, სავარაუდოდ, ზაფხულშიც ჩააბნელებს.

ხელისუფლების რეაქცია კი შექმნილ სიტუაციაზე საკმაოდ არაადეკვატურია. არაადეკვატურობა კი პოლიტიკაში, ყველასათვის ცნობილია, როგორი შედეგებითაც მთავრდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** იანვარ-თებერვლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 117.2%-ით შესრულდა. როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, ოპერატიული ინფორმაციით, 2005 წლის იანვარ-თებერვლის თვეების საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში სულ შემოსავლების სახით მობილიზებულია 303.7 მლნ. ლარი, რაც გეგმის (259.2 მლნ. ლარი) 117.2%-ია და 34.7%-ით აღემატება 2004 წლის შესაბამის პერიოდში მობილიზებულ თანხებს. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** ეკონომიკის ექსპერტი ნიკო ორველაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის უცხოელი ბიზნესმენებისადმი მოწოდება, რომ ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციები ჩადონ, არაეფექტურია. "იტალიაში სააკაშვილის ვიზიტის კადრებში ბევრ ისეთ ადამიანს მოვკარი თვალი, ვინც საქართველოში უკვე იმყოფებოდა და კარგად იცის, რა მდგომარეობაა ქვეყანაში. ბიზნესმენები ყველაზე რაციონალურად მოაზროვნე და ეჭვიანი ხალხია და მხოლოდ ლირიკული მიმართვებით არაფერი გამოვა", - განაცხადა "მედიანიუსთან" საუბრისას ორველაშვილმა. **მედიანიუსი**




# საქართველოს მთავრობა "რაოს" "სტრატეგიულ დოკუმენტზე" მოუწერს ხელს

## რაპოპორტი-ნოღაიდელის შეხვედრაზე საუბარი ენერგოობიექტების პრივატიზებასაც შეეხო

მაია ურუშაძე

*უშუალოდ მას შემდეგ, რაც სემეკ-მა "თელასს" სატარიფო ომი მოუგო, საქართველოში "თელასის" მეპატრონე რუსული ენერგოგიგანტის "რაო ეეს როსიის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი რაპოპორტი ჩამოდის და "თელასის" გენერალური დირექტორის შეცვლაზე საუბრობს. მისი თქმით, "რაო" ამ პოსტზე ახალ კანდიდატურას – ანდრეი კაპლიას განიხილავს. ახალი კანდიდატურა რაპოპორტმა "თელასს" უკვე წარუდგინა. სავარაუდოდ, კაპლია მუშაობას ზაფხულის დასაწყისში შეუდგება. ის, თუ სად გადაიყვანს და რა თანამდებობას ჩააბარებს "რაოს" ხელმძღვანელობა თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანიის ამჟამინდელ მენეჯერს დანგირას მიკალაიუნასს, ჯერჯერობით, უცნობია.*

საქართველოს ხელისუფლება "რაო ეეს როსიის" საქართველოში "სასათბურე პირობებს" ჰპირდება. ანდრეი რაპოპორტის ვიზიტის მთავარი მიზანი დანგირას მიკალაიუნასის გადაყენება კი არა, საქართველოს მთავრობასა და "რაო-ეესს" შორის ახალი ხუთწლიანი "სტრატეგიული" კონტრაქტის გაფორმება იყო. ამ თემაზე სასაუბროდ "რაოს" მაღალჩინოსანი შაბათს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს შეხვდა.



როგორც შეხვედრის შემდეგ ნოღაიდელმა და რაპოპორტმა ჟურნალისტებს განუცხადეს, საქართველოს მთავრობა და "რაო ეეს როსიი" ერთობლივი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებაზე შეთანხმდნენ, რომელსაც, სავარაუდოდ, კონტრაქტის ფორმა უნდა ჰქონდეს და მას ხელი ივნისის დასაწყისში უნდა მოეწეროს.

ზურაბ ნოღაიდელმა განმარტა, რომ ამ დოკუმენტში "რაო ეეს როსიის" საქართველოსთან დაკავშირებული სტრატეგია "გაიწერება". "სტრატეგიას" ახალი კონტრაქტის პირობები განსაზღვრავს, რომელთაც ქართულ-რუსული ერთობლივი სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს.

სავარაუდოდ, ეს დოკუმენტი დაარეგულირებს პირდაპირი ურთიერთობის შესაძლებლობას "რაოს" ქართულ აქტივებს – "თელასსა" და "მტკვარი-ენერგეტიკას", ანუ, იგივე მეცხრე ბლოკს შორის. როგორც ცნობილია, დღემდე ეს ორივე კომპანია საბითუმო ბაზარზეა დამოკიდებული, რაც რუსული კომპანიის მენეჯერებს საკმაოდ დიდ თავის ტკივილს უჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს და-ძმა კომპანიები საბითუმო ბაზართან, როგორც წესი, ჩათვლების პრინციპით ურთიერთობენ, ფინანსური დოკუმენტაციების გაფორმება მაინც ბაზრის გავლით უხდებათ. ენერგეტიკის მინისტრის წინასწარი განმარტებით, ახალმა დოკუმენტმა, სავარაუდოდ, ამ კომპანიების საურთიერთობო სქემიდან საბითუმო ბაზარი უნდა ამოაგდოს.

"ჩვენ არ ვაპირებთ სირთულეები შევუქმნათ რუსულ კომპანიას საქართველოში. გვინდა, რომ სამომავლო მუშაობის სტრატეგია ორივე მხარეს ჰქონდეს გააზრებული," – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. "გაწერილია" თუ არა ამ "სტრატეგიაში" ენერგოობიექტების რუსული ენერგოგიგანტისთვის გადაცემის გეგმა-გრაფიკი, არ დაკონკრეტებულა. თუმცა, რაპოპორტს არ დაუმალავს, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან საუბრისას "რაო ეეს როსიი" თავის მუდმივ და ბუნებრივ ინტერესს – საქართველოს ენერგოსისტემაზე უპირობო გავლენის მოპოვების სურვილსაც არ ივიწყებს: რაპოპორტის თქმით, პრემიერთან შეხვედრაზე საუბარი ენერგოობიექტების პრივატიზებასაც შეეხო, რომელთა შესყიდვითაც "რაო" უკვე დიდი ხანია, დაინტერესებულია. "ჩვენ არ ვმალავთ, რომ დაინტერესებულები ვართ საქართველოს ენერგოობიექტებით, მაგრამ გვესმის საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რომელსაც სურს, რომ ენერგოსექტორში სხვა, ჩვენგან დამოუკიდებელი კომპანია გაჩნდეს," – განაცხადა რაპოპორტმა. მისაღებია თუ არა "რაოსთვის" საქართველოს მთავრობის მხრიდან ვაჭრობის ასეთი მეთოდი, რაპოპორტს არ დაუკონკრეტებია.

სამაგიეროდ, რაპოპორტის განცხადებით, ნოღაიდელთან ერთობლივი განხილვის საგნად, მთავარ თემასთან ერთად, ენგურჰესის სამთვიანი რეაბილიტაციის პერიოდში თბილისის ელექტრომომარაგების საკითხებიც იქცა.

# უკრაინის მთავრობა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევას ცდილობს

დიანა ჩაჩუა

*პარასკევს უკრაინამ და პოლონეთმა შეთანხმებას მიაღწიეს ნავთობსადენ ოდესა-ბროდის გდანსკამდე გაგრძელების შესახებ. რამდენიმე დღით ადრე, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ და მისმა ქართველმა კოლეგამ ნავთობის მიწოდების გაზრდის შესახებ მოილაპარაკეს. უცხოური პრესა წერს, რომ მსგავსი ქმედებებით უკრაინა რუსულ ნედლეულზე საკუთარი დამოკიდებულების შემცირებას ცდილობს.*

უკრაინის მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა ვიქტორ იუშენკოს წინასაარჩევნო დაპირება, უკრაინის "ევროპის უმსხვილეს ტრანზიტულ სახელმწიფოდ" გადაქცევის შესახებ, რეალობად აქციოს. გასული კვირა ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის უკრაინაში ვიზიტის განმავლობაში, უკრაინის და საქართველოს პრემიერ-მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ოდესა-ბროდის ნავთობსადენს "პირდაპირი მიმართულებით" გამოიყენებენ. საქართველომ უკრაინას პირობა მისცა, რომ ბაქო-სუფსას ნავთობსადენით წელიწადში ნავთობის მიწოდების 1-2 მილიონი ტონით გაზრდის საკითხს გადახედავს. საქმე იმაშია, რომ მომავალში ამ ნავთობის ოდესა-ბროდის ნავთობსადენით ევროპაში ტრანსპორტირება იგეგმება.

უკვე შაბათს აღნიშნული ხასიათის განცხადებებით ქვეყნის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო გამოვიდა. იგი აცხადებდა, რომ უკრაინა მზადაა, ევროპაში ირანული ნავთობის ტრანსპორტირება დაიწყოს.

ამ განცხადებებმა საკმაოდ გააღიზიანა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური წრეები. რუსი ექსპერტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ამ განცხადებას არაფერი აქვს საერთო ეკონომიკასთან, რადგან მსგავსი ტრანზიტი ნაკლებად მოსალოდნელი და ეკონომიკურად დაუსაბუთებელია. მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო საშუალებები იმასაც აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტის ამ განცხადებაში აშკარად იკითხებოდა უკრაინის "ნარინჯისფერი" მთავრობის ახალი პოლიტიკა.

პარასკევს უკრაინაში უფრო საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. პოლონეთის პრემიერთან შეხვედრისას იულია ტიმოშენკომ მიაღწია შეთანხმებას, რომ უკრაინიდან კასპიის ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირებისთვის, ოდესა-ბროდის მშენებლობა პოლონეთის პლოცკის გავლით გდანსკამდე გაგრძელდება. ტიმოშენკოს თქმით, უკრაინაში ალარაფერი უშლის ხელს უკრაინიდან და პოლონეთიდან ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირებას. პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელმა კი, თავის მხრივ განაცხადა, რომ პოლონეთი სერიოზულადაა დაინტერესებული "ოდესა-ბროდი-პლოცკი-გდანსკის" პროექტით.

ექსპერტების გათვლებით, ოდესა-ბროდის ევროპის მიმართულებით გაგრძელებას სამი წელი და 500 მილიონიანი ინვესტიცია დასჭირდება.

უკრაინის მთავრობა იმედოვნებს, რომ ეს პროექტი არა მარტო შეამცირებს უკრაინის დამოკიდებულებას რუსული ენერგომატარებლების მიმართ, არამედ ნავთობდოლარების შემოდენებასაც გაზრდის. აქ რუსი და უკრაინელი ექსპერტების მოსაზრებები რადიკალურად სცდება უკრაინის მთავრობის შეხედულებებს. როგორც უკრაინული კომპანია "კონკორ-კაპიტალის" წარმომადგენელი ანდრეი გოსტიკი აღნიშნავს, უკრაინის მთავრობის ქმედებებში გაცილებით მეტი პოლიტიკაა, ვიდრე ეკონომიკა. **"ოდესა-ბროდის ნავთობსადენი რევერსულ რეჟიმში მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში იქნება მომგებიანი. ამასთან, ისიც გაურკვეველია, თუ რა რაოდენობის ნავთობი გაივლის მასში,"** – განაცხადა უკრაინელმა ექსპერტმა. მისივე თქმით, უცნობია ისიც, თუ რამდენად იქნება მოთხოვნა ამ ნავთობზე. **"არსებობს ინფორმაცია, რომ ევროპიდან ჯერ ერთი შეკვეთაც არ შემოსულა,"** – განმარტა ანდრეი გოსტიკმა.

**"ოდესა-ბროდის ექსპლუატაციის საკითხი ძალიან პოლიტიკური საკითხია. ამ ეტაპზე, უკრაინას ევროპის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ჩვენება აწყობს. ამ შემთხვევაში უკრაინისთვის პოლიტიკურ სარგებელს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეკონომიკურს,"** – განაცხადეს ერთ-ერთ უკრაინულ კომპანიაში.

რუსი ეკონომისტები გვირჩევენ, რომ არ შევხედოთ უკრაინის მთავრობის ქმედებებს ისტერიკით, რადგან **"თუ უკრაინა მართლაც განახორციელებს ამ პროექტს, რუსეთი ამით არაფერს დაკარგავს, შეიძლება მოიგოს კიდეც. ჩვენ მშვენიერი პერსპექტივა გვეძლევა "ლუკოილის" მიერ მოპოვებული ნავთობისთვის გაცილებით მომგებიანი გზა ვიპოვოთ,"** – განაცხადა კომპანია "სოვლინკას" ანალიტიკოსმა ლევ სნიკოვმა.

## ენერგოსექტორის მონიტორინგი

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

# მთავრობის ახალი კონცეფცია საბითუმო ბაზარს "თამაშგარე მდგომარეობაში" ტოვებს

## ბაზრის ესპანელი მენეჯერები კი ბაზრის დატვირთვის გაზრდაზე ალაპარაკდნენ

*რეფორმის კონცეფციასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გააჩნიათ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში 5-წლიანი მართვის უფლებით მყოფ კონსორციუმის წარმომადგენლებსაც. როგორც ბაზრის ოპერაციების მენეჯერი ჯონ სვისკოუ აცხადებს, მთავრობის კონცეფცია მისაღებია, თუმცა რეფორმასთან დაკავშირებით მოსაზრებები მათაც გააჩნიათ. საუბარი იმის შესახებ, რომ მთავრობის ახალი კონცეფციის თანახმად, ბაზარს საქართველოს ენერგეტიკულ სივრცეში ადგილი აღარ დარჩება, უკვე ხმამაღლა ისმის. ბაზრის ესპანელი მენეჯერები, რომლებიც ენერგოსექტორის რეფორმირების აუცილებლობას ეთანხმებიან, შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს მიმდინარე მოვლენებს და აცხადებენ, რომ საბითუმო ბაზრის გაუქმების შემთხვევაში საქართველოს ენერგეტიკა თხუთმეტწლიანი ნახტომით დაიხევს უკან.*

ბაზარში აცხადებენ, რომ საქართველოს ელექტროენერგეტკულ სექტორში კონკურენტუნარიანი და მდგრადი გარემოს შექმნის მიზნით რეფორმების გატარებას მხოლოდ მიესალმებიან. "სექტორის სტრუქტურული რეორგანიზაცია, მისი ოპტიმიზაცია და მოდერნიზება აუცილებელი პირობაა სექტორის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანისთვის," – ამბობენ ბაზარში. თუმცა, დასძენენ, რომ ეს რეფორმები კომპლექსურ ხასიათს უნდა ატარებდეს და არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ ერთი რგოლის რეფორმირებაზე, ან, თუნდაც, მის ლიკვიდაციაზე. "ენერგეტიკა სტრატეგიული დარგია და მისი სტრუქტურული რეორგანიზაცია ეტაპობრივად, გაწერილი ღონისძიებებითა და ვადებით უნდა მოხდეს," – ამბობენ ბაზარში.

ელექტროენერგეტიკული სექტორის ნგრევის 10 წლიან პერიოდში დარგში 500 მილიონ ლარზე მეტი დავალიანება დაგროვდა, რაც განპირობებული იყო რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების უაღრესად დაბალი მაჩვენებლით, აფხაზეთის, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის, აჭარისა და კახეთის გამანაწილებელი კომპანიების მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულების საფასურის სესბის სატრანსფერტო ანგარიშზე გადაუხდელობით, აღრიცხვიანობის სისტემის მოუწესრიგებლობითა და კორუფციით. ბაზარში "იბერდროლას" შემოსვლიდან სამი წლის მანძილზე დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელი გაიზარდა, ფინანსური ნაკადების მოძრაობა კი გამჭვირვალე გახდა.

ახლა ბაზრის ესპანელი მენეჯერები ბაზრის რეორგანიზების აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. "საბითუმო ბაზარს შემუშავებული აქვს ბაზრის რეფორმირების კონცეფცია, რომელიც მთლიანად ელექტრობაზრის დერეგულირებას ეყრდნობა. თუმცა, რეორგანიზაცია მისი უმტკივნეულოდ გატარების მიზნით ეტაპობრივად უნდა გატარდეს. სესბ-ი აღნიშნულ კონცეფციას ბაზრის წევრებს, მთავრობასა და საზოგადოებას 10 მარტს სპეციალურ შეხვედრაზე წარუდგენს," – ამბობენ ბაზარში.

ესპანური კონსორციუმის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სექტორში, სადაც რამდენიმე დამოუკიდებელი სტრუქტურა არსებობს, ელექტრობაზარი აუცილებლად უნდა არსებობდეს, რადგან წარმოების, გადაცემა-დისპეტჩერიზაციისა და განაწილების სუბიექტების არსებობის პირობებში მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი სავაჭრო ელექტროენერგეტიკული ბაზრის ან ბირჟის არარსებობა სისტემაში უმართავ პროცესებს გამოიწვევს.

იმ შემთხვევაში თუ, წარმოებისა და განაწილების, ან თუნდაც "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემის" გაერთიანება მოხდება, საქართველოს ელექტრობაზარზე სხვა კერძო სუბიექტებიც დარჩებიან ("თელასი", კახეთის გამანაწილებელი ენერგოკომპანია, რომელიც უკვე კერძო საკუთრებაა, აჭარის ენერგოკომპანია, რომლის პრივატიზება დღის წესრიგში დგას, "ენგურჰესი" და "ვარდნილჰესი", რომლებიც სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში რჩებიან).

შესაბამისად, ბაზარში აცხადებენ, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე დამოუკიდებელ სტრუქტურებს შორის თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებს დარეგულირება და დაბალანსება დასჭირდება და ამიტომ მსჯელობა მხოლოდ ბაზრის მოქნილი მოდელის შექმნისა და არა მისი გაუქმების შესახებ უნდა მიმდინარეობდეს.

"მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ელექტრობაზარი მხოლოდ ვერტიკალურად ინტეგრირებულ მოდელშია ზედმეტი. საქართველოში კი ამ მოდელის დანერგვა ვერ მოხერხდება, ვინაიდან რამდენიმე კერძო და დამოუკიდებელი მოთამაშე ყოველთვის დარჩება. ამასთან, ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან 10 წლის წინ საქართველოს "საქენერგოს" სახით სწორედ ვერტიკალურად ინტეგრირებული მოდელი ჰქონდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროსტრუქტურებში სრულფასოვანი ინტეგრირება გამორიცხულია, ქვეყნის ინსტიტუციონალური მოწყობის ევროპულ მოდელებთან დაახლოების გარეშე. ელექტრობაზრები არსებობენ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში, ასევე რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში, მათ შორის მცირე ენერგეტიკის მქონე სახელმწიფოებშიც: უნგრეთში, ბულგარეთსა და ბალტიისპირეთში. სომხეთში ელექტრობაზრის შექმნის პროცესი ახლა მიმდინარეობს. ასევე, მიმდინარეობს ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ელექტრობაზრების ინტეგრაციის პროცესიც. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსა და ამ გაერთიანებაში ინტეგრირების მსურველი ქვეყნის ენერგეტიკას ელექტრობაზარი უნდა გააჩნდეს. ეს ევროკავშირის რეკომენდაციების ნუსხის ერთ-ერთი შემადგენელი ფაქტორია.

ამ ფონზე, სრულიად გაურკვეველია საქართველოს მთავრობაში გაჟღერებული პოზიცია ელექტრობაზრის გაუქმების შესახებ. სინქრონიზაცია, ევროპის ელექტროენერგეტიკულ სივრცეში ინტეგრაცია ენერგოკრიზისში მყოფი საქართველოს ენერგეტიკის აღმშენებლობის წინაპირობაა. "ევროპისა და აზიის ენერგობაზრების დაკავშირების პროცესში, გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ხომ სტრატეგიული ფაქტორი გახლავთ, ელექტრობაზრის გაუქმებით კი ქვეყანა მასშტაბურ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შანსს კარგავს," – ამბობენ ბაზარში და მიიჩნევენ, რომ მთავრობამ ბაზრის გაუქმებაზე კი არა, მისთვის ახალი ფუნქციონალური დატვირთვის მინიჭებაზე უნდა იფიქროს.

"სპეციალურ დოკუმენტს ვამზადებთ, რომელსაც ამ კვირაში ენერგეტიკის სამინისტროს განსახილველად წარვუდგენთ. პრეზენტაციის შემდეგ უკვე შენიშვნებსა და მოსაზრებებსაც მოვისმენთ. მთავრობა ენერგეტიკაში კონკურენტული ბაზრის განვითარებას გვთავაზობს, ანუ ფასების დერეგულაციის მომხრეა. ეს იმისთვს კეთდება, რომ უკრო მეტი კონკურენცია იყოს და ენერგოობიეტების პრივატიზაციის საშუალება გაჩნდეს. კონცეფცია ითვალისწინებს, რომ კერძო კომპანიებს შორის ურთიერთობები კომერციულ საწყისებზე უნდა წარიმართოს. ასეთი ხედვა (კომპანიების მხრიდან ორმხრივი ყიდვა-გაყიდვა) ჩვენთვისაც მისაღებია, ეს მოდელი ბევრ ქვეყანაში მუშაობს და ამართლებს კიდეც, მაგრამ როცა საქმე საქართველოს ეხება, შეიძლება სერიოზული პრობლემები გაჩნდეს." - განაცხადა საბითუმო ბაზრის ოპერაციათა მენეჯერმა ჯონ სვისკომ.

მისი თქმით, ენერგოსექტორში თავისუფალი ვაჭრობა პრობლემებთან იქმება დაკავშირებული, ამიტომ საბითუმო ბაზარი, რომელიც ამჟამად ანგარიშსწორების სააგენტოს წარმოადგენს, მზად არის გარდამავალ პერიოდში პრობლემების მოგვარების მიზნით ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის პასუხისმგებლობა იკისროს.

"თუ საქართველოში ელექტროენერგიის ღირებულების გადახდის მაჩვენებლებს გავითვალისწინებთ, ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურების გამკაცრება საქართველოში ძნელად განსახორციელებელი იქნება. ეს კომპლექსურად ეტაპობრივად უნდა მოგვარდეს. გარდამავალი პერიოდი, ჩვენი აზრით, შეიძლება ორ წელიწადს გაგრძელდეს. ბაზარმა კომპანიებს შორის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნა-მიწოდების დროს წარმოქმნილი დეფიციტის დაბალანსება უნდა განახორციელოს. ამას შესყიდული ელექტროენერგიით გააკეთებს. დეფიციტი ყოველთვის იქნება, რადნაც შეიძლება ხელშეკრულებაში 1 მილიონი კილოვატსაათის შესყიდვა იყოს გათვალისწინებული, რეალურად კი კომპანიამ 1,2 მილიონი კილოვატსაათი მოიხმაროს."- განაცხადა სვისკოუმ.

ბაზრის ოპერაციების მენეჯერი მიიჩნევს, რომ პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს მხოლოდ პიკური ელექტროენერგიის ფასების დერეგულირება, მეორე ეტაპზე დერეგულაცია მთლიანად უნდა განხორციელდეს. "გარდამავალ პერიოდში ბაზრის როლი ფაქტობრივად შეიცვლება, შესაძლებელია, ბაზარმა ელექტროენერგიის გაცვლა-გამოცვლის ფუნქციაც შეითავსოს. რაც შეეხება ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვას. ეს ოპერაციები ბაზარმა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში უნდა განახორციელოს."- განაცხადა სვისკოუმ.

**BR ბანკი რესპუბლიკა**




# ბანკი "რესპუბლიკა" ყველაზე ეფექტური ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

# მარტივი და გენიალური გამოცდილება

*დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლით საქართველო მსოფლიო სამეულში შედის. 1989 წლიდან მშობიარეთა რიცხვის შემცირების ფონზე ძალზე გახშირდა გართულებების რისკიც. თუ მსოფლიოში დედათა სიკვდილიანობის მიზეზებში თრომბოემბოლია და სისხლდენები პრივალირებს – საქართველოში თავს იჩენს ინფექციური პათოლოგიების სიმრავლე. აღმოჩნდა, რომ საქართველოს რეალობა ძალიან ჰგავს გასული საუკუნის 60-იანი წლების იაპონიის მდგომარეობას. დღეს იაპონია ის ქვეყანაა, სადაც დედათა და ბავშვთა სამსახური სახელმწიფო პრიორიტეტებს განეკუთვნება. იაპონელები დღეს საკუთარ გამოცდილებას განვითარებად ქვეყნებს უზიარებენ. სწორედ ამ მიზნით ამომავალი მზის ქვეყანაში იაპონიის საბიუჯეტო ორგანიზაცია "ჯაიკამ" მიიწვია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის დედათა და ბავშვთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი, გინეკოლოგი ვერა ბაზიარი.*

თამარ ჭაჭანიძე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად გაპარტახებული იაპონია 30-40 წელიწადში მსოფლიოში ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყნად იქცა. ყველა სფეროსთან ერთად საოცარი ტემპით განვითარდა ჯანდაცვაც. იაპონელებს არა მხოლოდ მსოფლიო მიღწევები აქვთ აპრობირებული, არამედ საკუთარ დიდ აღმოჩენებს სთავაზობენ სხვა ქვეყნის მედიკოსებს.

**ვერა ბაზიარი:** " იაპონიაში ერთთვიანი ვიზიტის დროს დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყნის წარმატება განპირობებულია გლობალური, სკრუპულოზური და საქმიანი ანალიზით, რომელიც ეფუძნება სწორად განსაზღვრულ სტრატეგიას და ტაქტიკას.

იაპონელებმა ჯანდაცვის მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემების გაცნობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს. თითოეული ათწლეულის გრაფაში წარმოდგენილია მოსახლეობის საერთო რაოდენობა, ჯანმრთელობის სამი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, მოსახლეობის სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზები, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შობადობის კოეფიციენტი, მკვდრადშობადობა, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში იაპონიის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 50 მილიონი იყო, შობადობის კოეფიციენტი – 32.4, მამაკაცთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 43.94, ქალების – 44.85. 1900-1945 წლები ხასიათდებოდა ქრონიკული ინფექციებით (ტუბერკულოზი, ვენ-სნეულებები და ა.შ.). სიკვდილის ძირითად მიზეზს კი წარმოადგენდა ფილტვების ანთება და ბრონქიტები. ამ დროისთვის ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი იყო 186, ხოლო ზოგადად სიკვდილიანობის კოეფიციენტი – 17.6, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი – 160.1.

ასე, რომ ომის შემდგომი იაპონია არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც იაპონიის ერთ-ერთი საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელმა თავის ლექციაში მოგვახსენა, იაპონიას დიდი დახმარება აღმოუჩინა აშშ-მ, რომელმაც მას კოლოსალური თანხებიც გამოუყო და სპეციალისტებითაც დაეხმარა. მოგეხსენებათ იაპონელები კანონმორჩილი და მშრომელი ხალხია და შედეგმაც არ დააყოვნა. იაპონია ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა და მისი მოსახლეობა 2003 წლის მონაცემებით 127 მილიონია. მამაკაცთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 78.7 წელია, ქალებისა კი – 84.5.

ბოლო სამი წლის განმავლობაში დედათა სიკვდილიანობის მინიმალური მაჩვენებლით (3 დედის სიკვდილი 100.000 მშობიარობაზე) და ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებლით (1.7 ყოველ 1000 ცოცხალ შობილზე) იგი მსოფლიოს ერთპიროვნული ლიდერია.

ასეთი მდგომარეობა განაპირობა იმან, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტი და განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. ჯანმრთელი ქალი ჯანმრთელი შთამომავლობის საწინდარია, ჯანსაღი მოსახლეობა კი ქვეყნის მთავარი სიმდიდრეა. თითოეული ჯანმრთელი ადამიანი ქვეყნისთვის მინიმალური დანახარჯი და მაღალპროდუქტიული რესურსია.

დღევანდელი საქართველოს დედათა და ბავშვთა დაცვის სამსახურების მდგომარეობა ძალიან ჰგავს 1960-70 წლების იაპონიის მდგომარეობას. ძალიან მაღალია დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი – 44, პერინატალური სიკვდილიანობის მაჩვენებელი – 28, წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობა –18,5. საგანაგშოა ის ფაქტი, რომ 2004 წელს დედათა სიკვდილიანობის მიზეზებში 40% ლოგინობის ხანის სეფსისზე მოდის, რაც ორსულობის მართვის და სტაციონარული მომსახურების სერიოზულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

ბოლო 15 წლის მანძილზე შობადობის მკვეთრი კლების ფონზე წელს პირველად აღინიშნა მშობიარეთა რიცხვის მატება. ეს, ალბათ უკავშირდება იმ იმედის ნაპერწკალს, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ გაჩნდა".

ქალბატონი ვერა ბაზიარი იაპონური გამოცდილების გაზიარებას და შეძლებისდაგვარად იქაურ მოდელთან ადაპტირებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სტატისტიკის თანახმად, ბოლო 50 წლის განმავლობაში მოსახლეობამ 38 მილიონით მოიმატა, თუმცა იაპონელები მატების ტემპს მაინც უჩივიან და საგანგებო მდგომარეობა აქვთ გამოცხადებული. იაპონიაში ცხოვრების ჯანსაღ წესთან ერთად ინფორმირებულობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის მუდმივი მონიტორინგის შედეგად საგრძნობლად გაზრდილია სიცოცხლის ხანგრძლივობა.

**ვერა ბაზიარი:** "საინტერესოა ის, რომ იაპონიის ჯანდაცვის სისტემა მაღალ ტექნოლოგიებზე კი არ არის ორიენტირებული, უბრალოდ საზოგადო ჯანდაცვის სისტემაა მოწყობილი კარგად. პრეფექტურებმა ზუსტად იციან რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობა. თითოეულ მათგანს აქვს პირადი ანკეტა, სადაც დეტალურად არის აღწერილი ჯანმრთელობის ისტორია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გოგონების ინფორმირებულობას ქორწინებამდე, მათ უტარდებათ სისტემატური კონსულტაცია და კვლევა".

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა იაპონელების მეთოდი – მუდმივი მეთვალყურეობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ეს ერთი შეხედვით რთული საკითხი მათ ძალზე მარტივად და გენიალურად გადაჭრეს. ეს არის დედათა და ბავშვთა პირადი ანკეტების არქივი. დოკუმენტი დედის პირველი ვიზიტის დროს, დაორსულებიდან პირველი თვის განმავლობაში ივსება. მასში დეტალურადაა აღწერილი მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათი სამუშაო ადგილი, მისამართი, საცხოვრებელი პირობები და რაც მთავარია – 10 სამეანო თვის განმავლობაში ორსულობის მიმდინარეობის მონიტორინგი (10-15 ვიზიტი). შემდეგ მოცემულია მშობიარობის მსვლელობა, ახალშობილის მდგომარეობა, ბავშვის განვითარების პირველი წელი, აცრები, კვლევები, ყველაფერი რაც კი ჯანმრთელობას უკავშირდება. ასე გრძელდება 7 წლამდე. სამახსოვრო რჩება მფლობელთან, რომელიც მითითებულ ვადაში აკითხავს ექიმს. ამრიგად ყველა ექიმმა, თუნდაც პირველად ხედავდეს პაციენტს, იცის მისი ავადმყოფობის ისტორია.

ინფორმაცია თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შეტანილია კომპიუტერულ ქსელში და ამგვარად ქვეყანამ იცის საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. იცის, როგორი ახალი თაობა მოდის, როგორია ადამიანური რესურსები, ჯანმრთელობის მხრივ რა პრობლემებია და სწორ აქცენტებს აკეთებს. ყოველ წელს კეთდება ასეთი სრულფასოვანი ინფორმაციის დეტალური ანალიზი. ამიტომ ძალიან ზუსტად ხდება პრობლემების კვლევაც და მათი მოგვარებისთვის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრაც.

**ვერა ბაზიარი:** "ვფიქრობ, დღეისათვის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება რეალური სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება-მოწესრიგება, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, ძირითადი პრიორიტეტების გამოკვეთა და მათი განხორციელებისთვის ზუსტი ღონისძიებების გატარება. იაპონური გამოცდილებიდან ბევრი კარგის გაზიარება შეგვიძლია. თავის მხრივ იაპონელებიც მზად არიან დახმარებისთვის".

სამწუხაროდ ჩვენთან ის პრობლემაც არის, რომ უსახსრობისა და გაუნათლებლობის გამო ორსულები ხშირად კონსულტაციაზე ვერ მიდიან.

**ვერა ბაზიარი:** " გაჭირვების მიუხედავად ჩვენ საქართველოში მშობიარეთათვის ვახერხებთ 4 უფასო ვიზიტს კონსულტაციისთვის (შემდეგ, მოგეხსენებათ, ვაძლევთ მათ ვაუჩერს, რომ უფასოდ იმშობიარონ), მაგრამ ორსულების უმეტესობა ექიმთან არ მიდის. იაპონიაში, სადაც სახელმწიფო ძალიან ძლიერია, 16 ვიზიტიდან მხოლოდ ორი ფინანსდება".

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები: თეორია და პრაქტიკა".**

კურსი ჩატარდება 2005 წლის 2 მაისიდან 15 მაისამდე ერევანში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 6 აპრილი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**http://hei.unige.ch/psio/outreachactivities/capacitybuilding.html**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ახიმ ვენმანს ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com

# სოფლისთვის ისევ არავის სცალია

*მოსახლეობის 70 პროცენტი სოფლის მეურნეობასა და მიწადმოქმედებას მისდევს, მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობები კი წლების მანძილზე ერთ ადგილზეა გაყინული. სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსის ნოდარ კაპანაძის თქმით, თუ უახლოეს მომავალში რეგიონების მოსახლეობის დასაქმებაზე არავინ იზრუნა, მალე ისინი უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდებიან.*

ნინო ბერელიძე

არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სხვაობა დღეისათვის მიღებულ საარსებო მინიმუმს, მოსახლეობის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის უცვლელია. საშუალო შემოსავლები და ხარჯები აღემატება უკიდურეს სიღარიბის ზღვარს, მაგრამ განსხვავება ისეთი უმნიშვნელოა, რომ საქმე, პრაქტიკულად, შიმშილის ზღვართან გვაქვს.

სოციალური სტატისტიკის სამმართველოს უფროსი ნოდარ კაპანაძე: **"აღნიშნული დინამიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ფონზე, რაც გამოიხატება მთლიანი შიდა პროდუქტის საკმაო ზრდაში, საქართველოს საშუალო მცხოვრების მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. გამოკვლევების თანახმად, ბოლო წლებში სოფლად მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. იქ დასაქმების ერთადერთი ადგილი საკუთარი მიწაზე შრომაა. ამიტომ, საკვები არის მაქსიმუმი, რაც შეიძლება გლეხმა დღეს მიიღოს. თუ არაფერი შეიცვალა, 2005 წლისთვის მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურეს სიღატაკეში აღმოჩნდება. აქედან გამოსავალი არც ისე უიმედო და რთულია - უბრალოდ, საქმე იმ ხალხმა უნდა აკეთოს ვისაც ეს ესმის. ვერანაირი უცხოელი და მისი ტრეინინგი ვერ გვიშველის, თუ ჩვენ არ ვუშველეთ საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, პაპავაზე და გოცირიძეზე არაა დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკა და მისი მომავალი. რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მოხდეს მოსახლეობის დასაქმება პროდუქტიულ და შემოსავლიან დარგებში; ასეთებია - სხვადასხვა სახის წარმოება, წიაღისეული და მისი მოპოვება, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის წარმოება, კომუნიკაციები (აგება, მშენებლობა), უძრავი ქონების დაქირავება, საქმის წარმოება და აშ. ".**

ასევე აღსანიშნავია, რომ გლეხს ხელი არ მიუწვდება ტექნიკაზე, სასუქსა და შხამქიმიკატებზე. მათი კეთილდღეობა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე.

გლეხი მიხეილ გობეჯიშვილი, სოფელი სორი: **"ყველა სოფელს ერთნაირი პრობლემა აქვს. არ არის გზა, დენი, ტელევიზია. თუ კი ამინდმაც არ გაგვიმართლა, იმ წელს გამოუვალი სიტუაცია იქმნება. შიშით შევყურებთ გაზაფხულის წყალდიდობას, რომ სათიბებთან და საძოვრებთან დამაკავშირებელი ხიდი არ წაგვართვას. გამკეთებელი სოფელში აღარავინაა. ყველა საკუთარ გასაჭირს ჩაღრმავებია. წერაქვებით და ნიჩბებით ვაკეთებთ მეწყერის მიერ ჩაწყვეტილ საურმე გზას. არასოდეს დაგვხმარებია არც სოფლის და არც რაიონის ხელისუფლება. იმედით შევყურებდით ახალი ხელისუფლების მოსვლას, მაგრამ ჩვენთვის არავის სცალია. ახალგაზრდები არიან მძიმე დღეში, აღარაფრის ხალისი აღარ შერჩათ და უსაქმურობისგან ალკოჰოლს ეძალებიან. მათი დასაქმება აუცილებელია, რადგან სოფელი მათ ელემენტარულ მოთხოვნებს ვერასოდეს დააკმაყოფილებს. ხანდახან ისე გავა დრო, რომ ოჯახში ლარიც ძნელი მოსაძებნია. თუ გაგვიმართლა და მოსავალი მოვიდა, მერე მისი გაყიდვაა პრობლემა და ვტრიალებთ ასე გაჭირვებულ წრეზე".**




Ambassade van het Koninkrijk der Nederlanden

## მცირე გრანტების კონკურსი

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში აცხადებს კონკურსს მცირე პროექტების დასაფინანსებლად. პროექტების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ქართული საზოგადოების მდგომარეობაში დადებითი ცვლილებების შეტანას. კერძოდ, კონკურსი ცხადდება იმ პროექტებისათვის, რომელთა მიზანია:

■ სიღარიბის დაძლევა მდგრადი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის შექმნა, რაც სარგებლობას მოუტანს ადგილობრივი მოსახლეობის სამიზნე ჯგუფებსა და მათ გარემოს; ყურადღება ექცევა ამ საქმიანობაში თანასწორ გენდერულ მონაწილეობას.

დასაფინანსებლად პროექტების შერჩევისას მდგრადობა (ანუ ღონისძიებების გაგრძელება, ანდა მათი შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ადგილობრივ, სათანადოდ რეგისტრირებულ, არა-სამთავრობო, არა-მომგებიან ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და სათანადო შესაძლებლობები. ნიდერლანდების სამეფოს საელჩო არ გასცემს გრანტებს კერძო პირებზე, მომგებიან ან სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებსა და პოლიტიკურ პარტიებზე.

ინგლისურ ენაზე დაწერილი პროექტი შემოტანილ უნდა იქნეს **2005 წლის 29 აპრილამდე**. კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება ივნისის შუა რიცხვებში. დაფინანსების მაქსიმალური თანხა თითო პროექტზე შეადგენს 18.000 ლარს. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებს მხოლოდ კონკრეტული საპროგრამო ღონისძიებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციები განაცხადის ფორმას მიიღებენ შემდეგ მისამართზე (ან ელექტრონულად):

**ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში**
**სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი**
**თელავის ქ. N 20, თბილისი 0103**
**ტელ.: (995 32) 77 45 04**
**ფაქსი: (995 32) 77 45 24**
**ელ. ფოსტა: TBI@minbuza.nl**

## BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტი

საქართველოში "ბი-პი"-ს საქმიანობის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს **BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის** თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**
BP-ს გენერალური მენეჯერის აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობას შეადგენს BP-ს გენერალური მენეჯერის საქართველოს ოფისის ადმინისტრირება და კომპანიის შიდა და საგარეო კავშირების მართვის უზრუნველყოფა.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
აღმასრულებელი ასისტენტის მოვალეობები მოიცავს (არ შემოიფარგლება რა ამით):
■ უზრუნველყოფს გენერალური მენეჯერის შეხვედრების, საქმიანი მიღებების და სხვა საქმიანობის, მათ შორის, მივლინებების დაგეგმვას, ორგანიზებას და კოორდინირებას;
■ ამზადებს გენერალური მენეჯერის სამუშაო პროცესში საჭირო წერილებს, დოკუმენტებს, პრეზენტაციებს;
■ ადმინისტრაციულ დახმარებას უწევს გენერალურ მენეჯერს და უზრუნველყოფს ყველა საოფისე ფუნქციის - მათ შორის როგორიცაა სატელეფონო ზარების მიღება, კორესპონდენციის და დოკუმენტაციის მომზადება, აღრიცხვის სისტემის წარმოება - ეფექტურად წარმართვას;
■ ასრულებს გენერალური მენეჯერის თარჯიმნის მოვალეობას საქართველოს სამთავრობო უწყებებთან და სამინისტროებთან, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციასთან და სხვა მხარეებთან გამართულ შეხვედრებზე, აგრეთვე პრეს-კონფერენციებსა და სხვა საჯარო ღონისძიებებზე.
■ საჭიროებისამებრ ასრულებს სხვა მოვალეობებს.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
■ უფროს სამდივნო ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
■ უმაღლესი განათლების დიპლომი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
■ ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
■ კომპიუტერულ პროგრამებთან (MS Word, Excel, PowerPoint) მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 9 მარტი, ოთხშაბათი.**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტი
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38

# საპროცესო კოდექსი კვლავ მუშავდება

*ქართული მართლმსაჯულება მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინშია. სისხლის სამართლის რეფორმის ჩასატარებლად შექმნილი ჯგუფის მიერ შემუშავებულ ბევრ სიახლეს შორის, ალბათ, უმნიშვნელოვანესი ის გახლავთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საბოლოო ვარიანტი მალე მზად იქნება.*



*სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საბოლოო ვარიანტი მალე მზად იქნება.*

რამდენიმე თვის წინ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ იუსტიციის მინისტრს გიორგი პაპუაშვილს "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" ახალი პროექტი გადასცა და როგორც მაშინ ითქვა ამით კომუნისტური სამართალწარმოების ნგრევისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა. ითქვა, ისიც, რომ საქართველოში საბჭოური გამოძიება საბოლოოდ, მას შემდეგ დასამარდება, როცა კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს და კანონის სახით დაამტკიცებს.

"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" კანონპროექტი სამართალდამცველი და უშიშროების სტრუქტურების რეფორმირების უწყებათაშორისი კომისიის თითქმის ორწლიანი მუშაობის შედეგად შეიქმნა და იგი თავის დროზე რევოლუციურადაც შეფასდა. ახალი კანონპროექტის შექმნაზე ქართველ იურისტებთან ერთად ევროსაბჭოს, გერმანიის და აშშ-ს იუსტიციის საბჭოს წამყვანი ექსპერტებიც მუშაობდნენ და გარკვეული სახის მიღებამდე დიდ ქარ-ცეცხლშიც გამოიარა და ბევრი ცვლილებაც განიცადა. თუმცა, პარლამენტში წარდგენამდე და საბოლოო სახის მიღებამდე იგი გარკვეულ სახეცვლილებას კიდევ განიცდის.

სწორედ ამ მიზნით გაიმართა იუსტიციის სამინისტროში სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განვითარების სტრატეგიის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები განიხილეს. შეხვედრას სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია უძღვებოდა.

იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ "საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია უნდა შეიმუშაოს. აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში არსებობს ქვეჯგუფები და შეხვედრაზე მათ მიერ შემუშავებული კონცეფციები იქნება წარდგენილი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი და სხვები.

კოტე კემულარიას განცხადებით, მნიშვნელოვანია ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმად წინასწარი პატიმრობის დღეს მოქმედი 9-თვიანი ვადა 4 თვემდე შემცირდება. საპატიმრო ვადის შემცირებასთან ერთად, გამომძიებელი ვალდებული იქნება, პირის დაკავებამდე მოიპოვოს მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის დაპატიმრების მოთხოვნით.

ახალი საპროცესო კოდექსი, რომლის შექმნასაც წლები დასჭირდა, სავარაუდოდ, 2006 წლიდან, საბოლოო სახით ამუშავდება და დაპირებისამებრ, იგი რევოლუციური სიახლეებით იქნება გამორჩეული. **24 საათი**

# კრავჩენკოს ცოლი რადას დეპუტატებს უჩივის

*მაშინ, როცა უკრაინის რადას დეპუტატები, კერძოდ, განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელი ნიკოლაი ომალჩენკო უკრაინის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის იური კრავჩენკოს სიკვდილში ირიბად ქვეყნის გენერალურ პროკურორს ადანაშაულებს, თავად კრავჩენკოს მეუღლე ბრალდებებს სწორედ მას – ომალჩენკოს უყენებს.*

ოპოზიციონერი ჟურნალისტის, გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთი მთავარი ეჭვმიტანილის იური კრავჩენკოს პროკურატურაში დაგეგმილ დაკითხვამდე რამდენიმე საათით ადრე სიკვდილმა მრავალი ეჭვი აღძრა. მით უმეტეს, რომ მის სხეულზე აღმოჩენილი ორი ნატყვიარი ოფიციალური ვერსიას მისი თვითმკვლელობის შესახებ მნიშვნელოვნად არყევს. სამაგიეროდ, თვითმკვლელობის ვერსიას ეხმიანება ყოფილი მინისტრის გვამთან სამართალდამცველების მიერ აღმოჩენილი წერილი, რომლის შინაარსიც ასეთი გახლავთ: "ჩემო ძვირფასებო, მე არაფერში ვარ დამნაშავე. მაპატიეთ. მე პრეზიდენტ კუჩმასა და მისი გარემოცვის პოლიტიკურ ინტრიგებს ვემსხვერპლე. თქვენგან სუფთა სინდისით მივდივარ, მშვიდობით".

როგორც ცნობილია, უკრაინის რადას, განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელი ნიკოლაი ომალჩენკო, კრავჩენკოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რამდენიმე ხნით ადრე მის დაკავებას ითხოვდა. ამ მოთხოვნის უგულებელყოფის შედეგებმა კი რადას წევრები ქვეყნის გენერალური პროკურორის სვიატოსლავ პისკუნის პასუხისმგებლობაზე აალაპარაკა.

იური კრავჩენკოს ქვრივმა კი გენერალურ პროკურატურაში განცხადება შეიტანა, რომლითაც ითხოვს, სისხლის სამართლის საქმე აღიძრას ნიკოლაი ომალჩენკოს წინააღმდეგ, რადგანაც მან და რიგმა პოლიტიკოსებმა მისი მეუღლე თვითმკვლელობამდე მიიყვანეს.


## სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსი

შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო სუფსის ტერმინალზე სამუშაოდ ეძებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსის თანამდებობაზე.

**სამუშაოს აღწერა**
**სამუშაოს მდებარეობა** - სუფსის ტერმინალი
სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსის პასუხისმგებლობის სფეროში შედის ტექნიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის სრულფასოვანი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. მოცემული აღჭურვილობის გეგმიური შემოწმება და მომსახურების დროული განხორციელება. აღნიშნულ თანამდებობაზე მიღებულ პირს ევალება სუფსის ტერმინალზე მომუშავეთათვის ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო კურსების ჩატარება, რაც მოიცავს შემდეგი საკითხების სწავლებებს: სამუშაოთა ჩატარების ნებართვები, გაზის ტესტირება, ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებები.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
■ ჯანმრთელობის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მოთხოვნების ვალდებულებათა შესრულება.
■ აქტიური მონაწილეობა ASA (Advanced Safety Audit - ტექნიკური უსაფრთხოების გაღრმავებული აუდიტი) და STOP (სდექ) პროგრამებში.
■ ყველა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სასუნთქი აპარატების, და ტექნიკური უსაფრთხოების სხვა აღჭურვილობის გამართულობისა და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივი გამოყენების უზრუნველყოფა მათი აუდიტის, ინსპექტირებისა და მომსახურების გზით.
■ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების გეგმების შემუშავება.
■ ტექნიკური უსაფრთხოების კურსების ჩატარება სუფსის ტერმინალის პერსონალისა და კონტრაქტორებისათვის.
■ შესაძლო არასასურველი შედეგების მქონე შემთხვევების გამოძიებაში მონაწილეობა.
■ ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის თბილისის ჯგუფისა და მილსადენის საექსპლოატაციო ჯგუფის დახმარება საჭიროებისამებრ.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

■ სასურველია უმაღლესი განათლება ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროში ან ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ დისციპლინაში
■ ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული ტექნიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის ინსპექტირებისა და მომსახურების გამოცდილება
■ ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფალად ცოდნა
■ სამწლიანი შრომითი გამოცდილება ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში და სასურველია, ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ ინდუსტრიაში
■ სასურველია პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **პარასკევი, 18 მარტი, 2005 წელი.**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

კანდიდატისათვის საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია. უპირატესობა მიეცემათ ადგილობრივ კანდიდატებს.

**კადრების დეპარტამენტი**
შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო
BP ჯორჯია
აღმაშენებლის გამზირი 123ა
საქართველო, თბილისი


# სასამართლო პროცესი მოკლული ირმის გამო

*ლაგოდეხის რაიონი კვლავ მოვლენების ეპიცენტრში ექცევა. ამჯერად, ამ რაიონში ატეხილი აჟიოტაჟის მიზეზი არა კონტრაბანდული საწვავი, არამედ სოფელ აფენის მკვიდრი ნუგზარ კაპანაძეა. ოფიციალური ინფორმაციით, საფინანსო პოლიციამ იგი "ხეჩილას ტყესთან" ახლოს იმ დროს დააკავა, როდესაც მას მოკლული ირემი გადმოჰქონდა. ნუკრი კაპანაძეს რაიონულმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. პროცესს ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. სასამართლოს დასრულებისთანავე სოფლების აფენის, გიორგეთის და ლელიანის მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად აქცია გამართა, მათ სასამართლოს შენობის მინებიც კი ჩაამსხვრიეს.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

პირველი შემთხვევა არ რის, როცა ლაგოდეხის მოსახლეობა პროტესტის ნიშნად ხმაურიან აქციებს მართავს. თავდაპირველად მათ საგზაო მაგისტრალების გადაკეტვა მას შემდეგ დაიწყეს, რაც ფინანსურმა პოლიციამ ლაგოდეხის საბაჟო პუნქტზე კონტრაბანდისტების წინააღმდეგ ზომები მიიღო და მეზობელი ქვეყნიდან განბაჟების გარეშე საწვავის შემოტანა აკრძალა. აღელვებული მოსახლეობა ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ მაღალჩინოსნებს ბიზნესი უვარდებოდათ, რადგან დიზელის საწვავის ოც-ოცი ლიტრობით გადმომტანების ბიზნესი უფრო წარმატებული იყო. მაშინ შექმნილ ქაოსში ლაგოდეხელები ბრალს დღემდე კახეთის სამხარეო ადმინისტრაციას სდებენ. ამჯერად კი, ლაგოდეხელები კახელ ჩინოვნიკებს უკვე ხე-ტყის ბიზნესის მფარველობაში ადანაშაულებენ. თუმცა, ეს ამბავი არ გახმაურდებოდა, რომ არა ორი დღის წინ აფენელი ნუგზარ კაპანაძის დაკავება. იგი ფინანსურმა პოლიციამ იმ დროს აიყვანა, როცა კაპანაძეს "ხეჩილას ტყიდან" მოკლული ირემი გადმოქონდა. **"გასული ვიყავით ოპერატიული ინფორმაციის შესამოწმებლად. "ნივაში", რომელიც გავჩხრიკეთ, ირმის რქები და ხორცი ელაგა, ამის შესახებ რაიონის პოლიციას ვაცნობეთ და "ნივაში" მყოფი სამი პიროვნება განყოფილებაში წაიყვანეს,"** - ამბობს კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ ბეჟანიშვილი.

ამის შემდეგ რაიონის ძალოვანმა უწყებებმა საქმე ისე წარმართეს, რომ ნუგზარ კაპანაძე დამნაშავედ ცნეს. როგორც რაიონის პოლიციის უფროსმა არჩილ შაბურიშვილმა განაცხადა, ეჭვმიტანილმა დანაშაული აღიარა. საპირისპირო ჩვენებას იძლევა თვით ნუგზარ კაპანაძე, მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ირემი მას არ მოუკლავს. **"300 მეტრის მანძილზე შევნიშნეთ ნელი ნაბიჯით მოსიარულე ირემი. ჩვენ ჰაერში რამდენჯერმე მოვახდინეთ გასროლა, მაგრამ სინდისის წინაშე მართალი ვარ, რომ მე ის არ მომიკლავს. მას ავტომატის ტყვიები აქვს მოხვედრილი, მე კი თოფი მქონდა,"** - ამბობს ბრაკონიერობაში ბრალდებული. მიუხედავად ამისა, ნუგზარ კაპანაძეს რაიონულმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა, რასაც შემდგომ ლაგოდეხში უმართავი სიტუაციები მოჰყვა. სასამართლოს წინ ასობით ადამიანი შეიკრიბა და პროტესტის ნიშნად შენობის მინები ჩალეწა. აქციის მონაწილეები ამბობდნენ, რომ ამ ყველაფრის უკან პიროვნული ინტერსები იდგა. კერძოდ, როგორც აფენის, ლელიანის და გიორგეთის მოსახლეობა ამბობს, ისაკო ცქიფურიშვილს, რომელიც 2 ნოებრის საპარალამენტო არჩევნების დროს კენჭს იყრიდა, რეგიონის ხელმძღვანელობა დაუპირისპირდა და მის მხარდამჭერებს ამიტომ აკავებენ. ქვეყანაში კლანური მმართველობის დამკვიდრებაში ლაგოდეხელები ქვეყნის პირველ პირს ადანაშაულებენ, ხოლო გუბერნატორის მოადგილეს ხე-ტყის უკანონო ბიზნესის მფარველობაში ამხელენ. **"მარტო დაპირება არაფრის მომცემია, თუ მას რეალურად საქმე არ მოჰყვა. რევოლუციის დროს ფეხები ჩამომაწყდა მთავრობის სახლის წინ დგომით, სააკაშვილი პრეზიდენტი რომ გამხდარიყო. ახლა მოგვხედოს, როცა გვიჭირს. როდემდე უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში უსამართლობა? ჩვენთვის, უბრალო ხალხისთვის მცირედიც კი დანაშაულია. დათო ადეიშვილს რატომ არაფერს ეუბნებიან? ჯინჭრიან გორაზე და ალაზნის ველებზე რაც კარგი ჯიშის ხე იყო, მაგან გაჩეხა და გაიტანა. მოვიდეს და დამიპირისპირდეს, იმ მუშებსაც ვაჩვენებ, ვისაც დღეში ათ ლარს აძლევდნენ. საკუთარი "მერსედერსით" შემოუძღვებოდა ხოლმე კლიენტებს და "დაგრუზული" "კრაზებით" გადიოდა ხე-ტყე,"** - ამბობს გიორგეთელი გულიკო ფერაძე.

ამ ფაქტს მოსამართლე ნანა ჩალათაშვილი არ ადასტურებს და აცხადებს, რომ მან ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო. **"აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება იმას არ ნიშნავს, რომ განაჩენი გამოვუტანე. საქმე ძიებაშია და საბოლოოდ ყველაფერს გამოძიება გაარკვევს,"** - ამბობს მოსამართლე.

ობიექტურად დადასტურდება თუ არა ნუგზარ კაპანაძის ბრალეულობა, საეჭვოა, რადგან ირმის ხორცი უკვალოდ გაქრა, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერტიზა ვერ ჩატარდება და ვერ დადგინდება იარაღის ტიპი, რომლითაც ირემია მოკლული.

# ვიცე-გუბერნატორს ბრალდებებს უყენებენ

ქუთაისის პრესის სახლის დირექტორი ელისო კილაძე იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ძალოვანი უწყებების კურატორს, ვიცე-გუბერნატორ გრიგოლ შუშანიას დეზერტირობაში ადანაშაულებს.

შუშანიას კანონსაწინააღმდეგო ქმედებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კილაძემ ქუთაისის სამეფო კომპლექს "ოქროს ჩარდახში" ჟურნალისტების შეხვედრისას წარადგინა. როგორც კილაძე აცხადებს, შუშანიას პირად საქმეებში არსებული ექიმის სპეციალური დასკვნის ფურცლით დასტურდება, რომ მას ფსიქიური აშლილობა აქვს და, შესაბამისად, ქმედითუუნაროა. აღნიშნული სამედიცინო ცნობის საფუძველზე, ვიცე-გუბერნატორს სამხედრო სავალდებულო სამსახური არ შეეხო.

"დაუშვებელია ასეთი ავადმყოფობის სიმპტომებისა და სამედიცინო წარსულის მქონე ადამიანი ვიცე-გუბერნატორი იყოს", - ასეთია ელისო კილაძის პოზიცია.

შეხვედრაზე, ასევე, საქართველოს საპატრიარქოს გელათის სასულიერო აკადემიის პრორექტორის ბეჟან ხურციძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტიც წარადგინეს, რომლის თანახმად, გრიგოლ შუშანია 2002 წელს აღნიშნული სასწავლებლიდან გარიცხეს. "ამჟამად შუშანია აყალბებდა ცნობას იმის შესახებ, რომ იგი სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან აკადემიამ გაათავისუფლა", - განაცხადეს შეხვედრაზე. აღნიშნული მასალები ელისო კილაძემ დასავლეთ საქართველოს ოლქის პროკურორს გადაუგზავნა და იმერეთის გუბერნატორს თავისი მოადგილის სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოსთხოვა.

*ინტერ-პრესი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

## ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........................................................................
**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..................................................
**საკონტაქტო ტელეფონი**..........................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# რეფორმა ენერგეტიკაში - საით მივდივართ?

*ენერგეტიკის სექტორის რეფორმირების გზებზე მსჯელობა წლებია, რაც გრძელდება. როგორც იქნა, მთავრობამ დადო კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც დარგის სუბიექტებს შორის ურთიერთობები მკაფიოდ ჩამოყალიბებული უფლება-მოვალეობების ფარგლებში ჩაჯდება და ენერგოსექტორი უნისონში ამუშავდება.*

*თუმცა, რეფორმირების გზების დაკონკრეტებისას, მთავრობა საკმაოდ თამამ განცხადებებს აკეთებს. განიხილება საქართველოს ენერგოსისტემის რუსული მოდელის მსგავსად მოწყობის საკითხი. ამ დროს, ამ მოდელს თავად რუსეთში უკვე მძლავრი ოპონენტები ყავს. ამ ოპონენტებს შორის კი ყველაზე რადიკალური კონტრარგუმენტების ავტორები დასავლური ორიენტაციის ძალები არიან.*

*დღეს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" მთავრობის სამომავლო განზრახვებს გაგაცნობთ. მომავალ კვირაში კი შევეცდებით, მთავრობის მიერ არჩეული ენერგოპოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შედარებით უფრო დეტალური ანალიზი შემოგთავაზოთ.*

## სახელისუფლებო განზრახვის დეტალები

საქართველოს ენერგეტიკაში რეფორმების ახალი ეტაპი იწყება. საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა სამინისტროს სამოქმედო გეგმა წარადგინა, ოდნავ მოგვიანებით კი სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მთავრობას დარგის რეაბილიტაციისა და პრივატიზების კონცეფცია გააცნო.

მთავრობაში ფიქრობენ, რომ არსებული "ბაზრის მახინჯი მოდელი" ნორმალურ ბიზნეს-ურთიერთობებს გამორიცხავს. ამის გამო არაეფექტურია რეგულირება, დემოტივირებულია მენეჯმენტი და ჩაბნელებულია საქართველო. სექტორის ვერც ერთი მონაწილე ვერ ან არ იხდის ელექტროენერგის საფასურს, არსებული მოდელი ვერ უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკის სექტორის გამართულ მუშაობას, ელექტროენერგიის შეფერხებებით მიწოდების გამო საწარმოებს ელექტროენერგია ტარიფზე გაცილებით ძვირად მიწოდებათ (საშუალოდ 16 თეთრი 1 კვტ/სთ), სახელწიფო კი დიდ თანხებს ხარჯავს არსებული მოდელის შესანარჩუნებლად.

მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმა მიზნად ისახავს 2006 წლიდან ელექტროენერგეტიკული სექტორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მინიმუმამდე შემცირებას, გადამხდელი მომხმარებლის შეუფერხებელი ელექტროენერგიით უზრუნველყოფას. ამასთან, სატარიფო ცვლილებები არ უნდა დააწვეს მომხმარებელს, გამოირიცხოს კოლექტიური გათიშვები, უკონტროლო პროცესები და არასტაბილურობა.

არსებული ვითარების გაანალიზების შემდეგ მთავრობამ გადაწყვიტა დარგის რეაბილიტაცია და პრივატიზება ერთმანეთთან შეთავსებადი გახადოს. კახა ბენდუქიძის მიერ მთავრობის სხდომაზე წარდგენილი პრივატიზების სქემაც სწორედ ამას ითვალიწინებს.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ამჟამად არსებული აქტივებით შეიქმნება ორი – დასავლეთისა და აღმოსავლეთის კომპანიები. სექტორში მოთამაშე სუბიექტებად დარჩებიან: "რაო ეეს როსიის" საკუთრება - "თბილისის ენერგოკომპანია", სადაც გაერთიანდება "თელასი", "მტკვარი-ენერგეტიკა", "ხრამი I" და "ხრამი II". სახელმწიფო კომპანია "ენგური" (ენგურჰესი) სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება. სახელმწიფო განკარგავს "სახელმწიფო ელექტროსისტემასაც", რომელიც 220 და 110-კილოვოლტიან მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებსა და ცენტრალურ სადისპეტჩეროს მართავს.

რეფორმის მთავრობისეულ წინასწარ მონახაზებში არსად ჩანს აჭარისა და კახეთის ენერგოკომპანიები, სახელმწიფო მინისტრის მიერ შედგენილ რუკაზე კერძო საკუთრებაში მყოფი კახეთის ენერგოკომპანია აღმოსავლეთის, ხოლო სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული აჭარის ენერგოკომპანია დასავლეთის კომპანიაშია მოაზრებული. აღმოსავლეთის კომპანიაში მოიაზრება აგრეთვე შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის მხარეები და სამცხე-ჯავახეთის მხარის ერთი ნაწილი. დასავლეთ კომპანიაში გაერთიენდებიან სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის, გურიის მხარეები, აჭარა და სამცხე-ჯავახეთის მხარის მეორე ნაწილი.

საპრივატიზაციოდ რესტრუქტურიზებული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" აქტივებს დაემატება გენერაციის ობიექტები. დასავლეთის კომპანიას – ლაჯანურჰესი, რიონიჰესი, ძევრულაჰესი და აწჰესი. აღმოსავლეთ კომპანიას კი შაორჰესი, გუმათჰესი და "თბილსრესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგობლოკები.

რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებულია, რომ შიდა რესურსების გარდა, კომპანიებს ელექტროენერგიის გარე წყაროებიც დასჭირდებათ. აღმოსავლეთ და დასავლეთ კომპანიების გარე წყაროებად მოიაზრება "ენგური", "ვარციხეჰესი", იმპორტი, "თბილსის ენერგოკომპანიის" მე-9 ენერგობლოკი. კომპანიებს ერთმანეთში კონკურენციის შესაძლებლობაც ექნებათ, ამიტომ დაინტერესების შემთხვევაში შეუძლიათ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაც აწარმოონ.

რაც შეეხება ენერგოკომპანია "ენგურს": იგი მარეგულირებელის ფუნქციას შეასრულებს და მხოლოდ პიკური დატვირთვის დროს იმუშავებს. "ენგური" ელექტროენერგიას გაუნაწილებს აღმოსავლეთის, დასავლეთის, თბილისის ენერგოკომპანიებსა და აფხაზეთს. "ენგურის" ტარიფში აუცილებლად აისახება აფზახეთისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულება. კომპანია თბოელექტროსადგურებიდან შეისყიდის აფხაზეთისათვის მისაწოდებელ ელექტროენერგიას.

რეფორმა ითვალიწინებს საკანონმდებლო ცვლილებებსაც, რიც შემდეგაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ლიცენზიის გარდა სექტორში გაუქმდება ლიცენზირების პრაქტიკა. განისაზღვრება მხოლოდ საბოლოო მოხმარების და გატარების ტარიფების ზედა ზღვარი.

რეფორმის განხორციელების შემთხვევაში მთავრობა ვარაუდობს, რომ თბილისის გარდა მთელ საქართველოში მომხმარებლისთვის ტარიფები უცვლელი დარჩება და 1 კილოვატსაათი ელექტროენერგია 8,5 თეთრი ეღირება. კომერციული ობიექტებისათვის ტარიფი 10 თეთრით განისაზღვრება. რეფორმის სატარიფო სქემა სხვა დეტალებსაც გულისხმობს. კერძოდ, უწყვეტ ელექტრომომარაგებაზე დამატებით თვეში 1-2 ლარის გადახდას, გაუმრიცხველიანებელი აბონენტებისათვის გარდამავალ პერიოდში 5-10 ლარის ოდენობის ფიქსირებულ გადასახადს.

განსაზღვრულია საპრივატიზაციო პირობებიც: ინვესტორები ირჩევენ შეთანხმებულ კონფიგურაციას, ცალკე გენარაციის ობიექტები არ იყიდება.

არსებობს შეზღუდვებიც, იზღუდება აქტივების გაყიდვა 2-3 წლით და, ენეროსექტორის მონოპოლიზების თავიდან აცილების მიზნით, რუსული ენერგოკომპანიები პრივატიზაციაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ.

მთავრობაში ფიქრობენ, რომ რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდება კერძო კომპანიები, ამ კომპანიებში ჩადებული ინვესტიციები მოხმარდება ისევ მათ განვითარებას, კომპანიებს შორის არ შეიზღუდება კონკურენცია, მომხმარებელთან ურთიერთობა დარეგულირდება ხელშეკრულებით, სატარიფო სქემები ხელშეკრულების ნაწილად იქცევა. ყოველივე ამის შედეგად კი ფინანსურად მდგრადები გახდებიან სხვა დანარჩენი კომპანიებიც.

## ხელისუფლების არგუმენტები

*მაშინ, როცა საქმე ქვეყნის ეკონომიკისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარგს ეხება, ხელისუფლების არგუმენტაცია რეფორმის არჩეული გზის მიზანშეწონილობის დასამტკიცებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. გთავაზობთ ეკონომიკური რეფორმების დარგში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძისა და ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის განმარტებებს არჩეული კურსის მიზანშეწონილობის თაობაზე.*

**კახა ბენდუქიძე:** საქართველოში ენერგოსისტემის გადარჩენის ორი გზა არსებობს. ან სხვა ობიექტების პრივატიზებიდან შემოსული თანხები უნდა მოხმარდეს ენერგეტიკას, ან დარგის განვითარება ენერგოსექტორის პრივატიზებიდან შემოსული თანხებითვე მოხდეს. ჩვენ მეორე გზა ვირჩიეთ. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" და მცირე ჰესების ბაზაზე შეიქმნება ერთი ან ორი კომპანია, რომლებიც თამაშის ახალი წესებით იმოქმედებენ. პრივატიზებიდან მინიმუმ 200 მილიონი დოლარი უნდა მივიღოთ, რომელიც დღეს არსებულ კომპანიას უფრო ეფექტურს გახდის. რაც შეეხება პრივატიზაციის პროცესში რუსული კომპანიების მონაწილეობის საკითხს, ერთი თვის წინ "რაო ეეს როსიი"-ს გამგეობის თავმჯდომარე ანატოლი ჩუბაისი პრეზიდენტს სააკაშვილს შეხვდა და პრივატიზაციის პროცესში საკუთარი ინტერესი გამოხატა. ჩვენ ვთვლით, რომ ენერგოსისტემაში უნდა გაჩნდეს "რაო ეეს როსიი"-სგან დამოუკიდებლად მოთამაშე სხვა კომპანია.

საქართველოს მთვარობა პრივატიაციის პროცესის დასრულებას მიმდინარე წლის ზაფხულში გეგმავს, თუმცა, აჩქარებას არ აპირებს. არაფორმალურ ვითარებაში "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზების სურვილი ქართულმა ჯგუფებმა, ავსტრიულმა და გერმანულმა კომპანიებმა გამოთქვეს. ორ კვირაში საერთაშორისო პრესაში ტენდერი გამოცხადდება და უცხოური კომპანიები კომპანიისადმი ინტერსეს უკვე ოფიციალურად გამოთქვამენ.

**ნიკა გილაური:** "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზაცია გადაწყვეტილია, თუმცა რა ვადებში მოხდება ეს ჯერ კიდევ საკამათო საკითხად რჩება. პრივატიზაცია ენერგეტიკის სექტორის საინესტიციო ძალების მოსინჯვის მიზნით გამოცხადდა. გვაინტერესებს კერძო კაპიტალის რეაქცია. გამოხატავს თუ არა ინტერესს რომელიმე სერიოზული კომპანია და გადაიხდის თუ არა სერიოზულ თანხას, უარის თქმა უაზრობა იქნება. ეს იქნება გამოცდა - არის თუ არა ქართული ენერგეტიკა მზად იმისათვის, რომ სერიოზულმა კერძო კომპანიებმა იქ ინვესტიციების განხორციელება მოისურვონ. ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ ერთი, ქვეყნის ხელში ქართული ენერგოსისტემის მონოლიზება, ამიტომ პრივატიზაციით დაინტერესებულ რუსულ კომპანიებს უარს ვეტყვით. რაც შეეხება პრივატიზაციიდან შემოსული თანხის ბიუჯეტს გარეთ ათვისების საკითხს. მთავარია ეს თანხა სრულად ენერგეტიკაში ჩაიდოს, ამიტომ კომპანია, რომელიც ინვესტირებისთვის მზად იქნება, პრივატიზაციის შედეგად დაფიქსირებულ თანხას ეტაპობრივად თავად დახარჯავს და შესაბამისი მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შეასრულებს. ქართული მხარე ამ პროცესს მხოლოდ გააკონტროლებს.

## ექსპერტული შეფასებები

*მთავრობის ახალმა ინიციატივამ დიდი ინტერესი გამოიწვია ექსპერტებს შორისაც. ბევრი ჯერ რეფორმის არსში ერკვევა, ხოლო ის ვინც მისი დეტალები უკვე შეიტყო, პრივატიზაციის აუცილებლობაზე მიუთითებს, თუმცა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ მთავრობამ არ უნდა იჩქაროს და სიფრთხილე გამოიჩინოს.*

**დემურ ჩომახიძე, სემეკის წევრი** – გამანაწილებელი ენერგოკომპანიების პრივატიზება რამდენიმე წლის წინაც იყო ჩაფიქრებული. მაშინ დასავლეთ საქართველოს ჰესებითა და განაწილების სისტემით საფრანგეთის სახელმწიფო კომპანია დაინტერესდა, მაგრამ ინვესტიციების სანაცვლოდ ტარიფის გაზრდა მოითხოვა, ჩვენ ამაზე უარი განვაცხადეთ. ინვესტორები მაშინ მომხმარელის რიცხვის გაზრდასაც მოითხოვდნენ, ამიტომ გაერთიანდა სამხარეო ენერგოკომპანიები. პროვატიზაციის პროცესს სერიოზული მომზადება სჭირდება, განსაკუთრებით იმ სიტუაციაში, როცა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" მმართველი ჰყავს. მასთან ხელშეკრულების შეწყვეტამ შეიძლება ჩვენ მეგობარ ქვეყანასთან პრობლემები შეგვიქმნას.

პირადად მე, განსაკუთრებით რეფორმის ის ნაწილი მაინტერესებს, რომელიც დერეგულირებას ეხება. სექტორის რეგულირება მთელ მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმია. არ შეიძლება ენერგეტიკის მხოლოდ ბაზრის ამარა დატოვება. თავისუფალმა ფასებმა შეიძლება კორუფციის წყარო შექმნას. რეფორმის შემდეგ სემეკის მიერ დადგენილი ფასები შეიძლება, შემცირდეს ან განახევრდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ტარიფები გაანგარიშებების საფუძველზეა შექმნილი და დასაბუთებულია.

**გია ნაცვლიშვილი, ენერგეტიკაში არსებულ დარღვევათა შემსწავლელი საპარლამეტო საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე** – ენერგეტიკას ინვეტიციები აუცილებლად სჭირდება. შეუძლებელია ეს სახელმწიფომ გააკეთოს. "თელასის" მაგალითმა გვაჩვენა, რომ ეს სექტორი გამართლებულია, კერძო საკუთრებაში იყოს. ბუნებრივია აქ არ უნდა დავივიწყოთ სახელმწიფოს ინტერესები. ყველამ კარგად იცის, რომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზების დროს გამორიცხული იქნება რუსული კომპანიები. მთავრობას ამასთან დაკავშირებით მკვეთრი პოზიცია აქვს. თუმცა ჩვენ თავი უნდა დავიზღვიოთ და ინვესტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში თავდაცვის მექანიზმები უნდა ჩავდოთ. ხომ შეიძლება "თელასის" შემთხვევა განმეორდეს, როცა ამერიკული "ეი-ი-ეს"-ი რუსულმა "რაოეესმა" შეცვალა. ეს იქნება ჩემი აუცილებელი მოთხოვნა, სხვა დანარჩენი ტექნიკური ნიუანსებია.

მთავრობის კონცეფცია ორ პროგრამას ითვალისწინებს – რეაბილიტაციას და პრივატიზაციას. ეს ერთმანეთზე გადაჯაჭვული პროცესი იქნება. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ეს პროცესი ძალიან გაიწელოს, იმიტომ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიის განვითარებისთვის ფული ბიუჯეტიდან უნდა დავხარჯოთ. მნიშვნელობა არა აქვს, პრივატიზაციიდან შემოსული თანხები როგორ დაიხარჯება, ბიუჯეტის გავლით თუ ბიუჯეტს მიღმა, მთავარია კონტროლის შესაძლებლობა გვქონდეს. ყველაზე კარგი კონტროლი კი განათებული რეგიონები იქნება.

მთავრობის კონცეფცია კომპანიებს შორის კონკურენციასაც ითვალიწინებს, ეს, რა თქმა უნდა, კარგია, შეიძლება ასე ტარიფებიც კი შემცირდეს, რადგან კონკურენცია იქნება და კომპანიები დაინტერესებული იქნებიან, პროდუქცია ნაკლებ ფასში გაასაღონ.

რაც შეეხება "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მმართველ "PA consulting"-ს. შედეგზე ორიენტირებული ადამიანი ვარ. შედეგი კი ის არის, რომ ორი წელია, საქართველოს რეგიონები ჩაბნელებულია. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს საქმეს ქართველი აკეთებს, რუსი თუ ამერიკელი, მთავარია, მოსახლეობამ ელექტროენერგია მიიღოს. "PA consulting"-მა რაღაცები გააკეთა, მაგრამ დიდი ცვლილებები ნამდვილად არ მომხდარა.

**ნიკო ლეკიშვილი, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე** - "უმჯობესია ეს სექტორი კერძო იყოს და არსებობდეს მარეგულირებელი საშუალებები. ვიდრე არ გამოჩნდება სერიოზული მყიდველი, კომპანია არ უნდა გაიყიდოს, აქ მთავრი ფული არ არის, მთავარია მოიძებნოს ისეთი ინვესტორი, რომელიც საქმეს გააკეთებს. სიმართლე გითხრათ, კმაყოფილი არ ვარ "PA consulting"-ის მენეჯმენტით. მთავრობა ვალდებულია, ჯერ ხელშეკრულება შეწყვიტოს "PA consulting"-თან, რომელსაც კომპანიის ორწლიანი მართვის უფლება გადასცა. საერთოდ, ეს მართვის შუალედური ხელშეკრულება არ უნდა გაგრძელებულიყო, ჩვენი კომიტეტი ამის წინააღმდეგი იყო. მიგვაჩნდა, რომ კარგად ვერ მუშაობს. მათი საქმიანობა ჯერ კარგად უნდა შეგვესწავლა, გაანალიზებულიყო შედეგები და ხელშეკრულება მხოლოდ ამის შემდეგ გაგრძელებულიყო. რადგან გაგრძელდა, მთავრობამ ახლა უკვე უნდა გამონახოს ხელშეკრულების გაუქმების საშუალება. თამაშის წესების შეცვლა ასე არ შეიძლება. სახელმწიფომ შეიძლება ავტორიტეტი დაკარგოს. საქართველოში არავინ შემოვა, ამიტომ უნდა მოინახოს იურიდიული საფუძვლები, რათა განსაკუთრებული პრეტენზია არ გაჩნდეს."

**ავთანდილ სილაგაძე, პარლამენტარი, ქონების მართვის ყოფილი მინისტრი** – გამანაწილებელი კომპანიების პრივატიზაციის სქემა დიდი ხანია, დამუშავებულია. განიხილებოდა ცალკეული სამხარეო ენერგოკომპანიების პრივატიზაციის შესაძლებლობა. მთვარობამ ამჟამად ამ სქემის გარკვეულად მოდიფიცირებული ვარიანტი შემოგვთავაზა. პრივატიზება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ეს კომპანიის ამაჟამინდელ მმართველთან "PA consulting"-თან მჭიდრო კავშირის შედეგად უნდა განხორციელდეს. მასთან კონსულტაციების გარეშე პრივატიზაცია დიდ უხერხულობას შეგვიქმნის. პრივატიზაცია მეტად საფრთხილო საკითხია. კონტრაქტში უნდა ჩაიდოს მექანიზმები, რათა კომპანია რუსული კაპიტალისგან დავიცვათ. არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ტენდერში რუსული კაპიტალით შექმნილი კომპანიები ჩაერთვებიან. დასაფიქრებელია, პრივატიზაციის შემდგომი პერიოდიც. "თელასის" შემთხვევა რომ არ განმეორდეს, ანტიმონოპოლიური საკითხების მოგვარება იქნება საჭირო. შეიძლება გარკვეული შეზღუდვა ჩავდოთ კანონმდებლობაში. მაგალითად, ერთი რომელიმე ქვეყნის კომპანია არ ფლობდეს საქართველოს ენერგოგამანაწილებელი სისტემის, ვთქვათ, 25 პროცენტზე მეტს. ხელშეკრულებაში უნდა ჩაიდოს ისიც, რომ სამომავლოდ კომპანიის ხელახალი გაყიდვა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით უნდა განხორციელდეს. თუ ხელშეკრულების პირობებს კარგად მოვიფიქრებთ, საშიშროებისა და საფრთხის თავიდან აცილება ნამდვილად შეგვიძლია.

**დავით ებრალიძე, ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი** – კონცეფციის პრინციპებს ვეთანხმები, "PA consulting"-ის საქმიანობა არაეფექტურია. რაც მალე მოხდება "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზება, მით უკეთესია. პრივატიზაციიდან შემოსული თანხები ენერგეტიკას უნდა მოხმარდეს, თუ როგორ - ეს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს. მთავარია კონტროლის მექანიზმები დარჩეს. რეფორმა მხოლოდ პრივატიზაცია არ არის. უნდა მოხდეს კომპლექსური დერეგულირებაც. რეფორმის ტემპები გაცილებით ჩქარი უნდა იყოს. პრივატიზაცია რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არა გადამწყვეტი.

## ენერგოსექტორის დონორები მთავრობის ახალ ენერგოკონცეფციას არ იწონებენ

*მთავრობის კონცეფცია მოულოდნელი იყო მისი ენერგეტიკული მრჩევლის "PA consulting"-სთვის. ეს კომპანის მრჩევლად (მათ შორის ენერგოობიექტების პირვატიზაციაში) მთვარობისათვის აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) დაიქირავა. "PA consulting"-ს პარალელურად "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" 18-თვიანი მართვა დაეკისრა. 2004 წლის ნოემბრეში მთავრობამ USAID-თან ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და "PA consulting"-საც მართვის ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გაუგრძელა.*

"ჩვენი საბოლოო მიზანიც კომპანიის პრივატიზებაა, მაგრამ საკითხავია როდის და როგორ უნდა მოხდეს ეს. ჩვენი კონტრაქტი, რომელიც დადებულია USAID-თან, ნებას გვრთავს, ვიყოთ საქართველოს მთავრობის მრჩეველი ენერგეტიკის ობიექტების პრივატიზაციის დროსაც. ჩვენი სახით მთვარობას სერიოზული რესურსი გააჩნია." - განაცხადა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა. მისი თქმით, პრივატიზაციას მოსამზადებელი პერიოდი სჭირდება, რადგან "ეს არ არის 26 გემი შავ ზღვაში, ეს არის კომპანია, რომელიც მილიონობით ადამიანს ემსახურება."

საქართველოში არსებული სიციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, ცხადია, კომპანიაში შესულ ინვესტორს ბევრი პრობლემა დახვდება. კერძოდ, იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ყოველთვის გაცილებით იმაზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ვიდრე ეს მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდიით არის გათვალისწინებული. "იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ სახელმწიფო კომპანია ვართ, სახელმწიფოსთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და თანხების დეფიციტის გადაფარვას ვახდენთ. რას იზამს ამ შემთხვევაში კერძო ინვესტორი, იძულებით გადაადგილებულ პირებს არ მოემსახურება თუ რა გზას აირჩევს?" – დაინტერესდა უაითი.

ამასთან, ინვესტორებს კრედიტორი სახელმწიფო კომპანიები დახვდებათ, რომლებიც ენერგოკომპანიას სერიოზულ თანხებს აკარგვინებენ. "მხოლოდ ქუთაისის წყალგამანაწილებელი კომპანიისგან გასულ წელს 5 მილიონი ლარი ვერ მივიღეთ. ისევ მთავრობასთან შეთანხმებით, ვცდილობთ, დავალიანების დაფარვის მექანიზმები შევიმუშაოთ. ინვესტორი არ დაინტერესდება იმ კომპანიით, სადაც წელიწადში 5 მილიონი ლარი მხოლოდ ერთ მომხმარებელთან იკარგება," – მიაჩნია უაითს.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურ დირექტორს აინტერესებს, შეძლებს თუ არა კერძო კომპანია იმ მოცულობის ელექტროენერგიის იმპორტს, რა მოცულობაც ამჟამად შემოდის. "კომპანია ამჟამად მთელი ენერგოსისტემისთვის 30 პროცენტით მეტი ელექტროენერგიის იმპორტს ახორციელებს, ვიდრე ეს თავად სჭირდება," – განაცხადა უაითმა.

არსებობს სხვა პრობლემაც. კერძოდ, დონორების დახმარებები, რომლებიც ენერგოსექტორში აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად სოლიდურ თანხებს ხარჯავენ. "ჩვენ საქართველოს 10 დიდ ქალაქში გამრიცხველიანების პროცესის წელს დასრულებას ვგეგმავდით. ამაში გვჭირდებოდა დონორთა დახმარება. თუ ისინი ინტერესს დაკარგავენ, ეს პროცესები არ წარიმართება და თუ წარიმართება, ძალიან ნელა," – განაცხადა უაითმა.

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზაციის შემთხვევაში გაჩნდება კითხვა – დაეკისრება თუ არა რაიმე სანქცია საქართველოს მთავრობას USAID-თან გაფორმებული კონტრაქტის ჩაშლის შემთხვევაში. დინ უაითი აცხადებს, რომ საქართველოს მთვარობას ამის საშიშროება არ ემუქრება, თუმცა კონტრაქტის გასაწყვეტად აუცილებელია USAID-ის თანხმობა.

"PA consulting" საქართველოში 5 პროექტს ახორციელებს, ერთ-ერთია "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვა. თუ საქართველოს მთავრობა გადაწყვეტს, რომ კომპანიას პრივატიზაცია გაუკეთოს, მას ჩვენი მხრიდან არა მგონია, პრობლემები შეხვდეს. თუმცა, დაფინანსებაზე უარის თქმა მაინც მოუწევს," – განაცხადა უაითმა.

ერთი სიტყვით, ენერგოსექტორის განვითარების მთავრობისეულმა კონცეფციამ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების შეშფოთება გამოიწვია. ისინი საქართველოს ენერგოსექტორში მნიშვნელოვან პროქტებს ახორციელებენ ან გეგმავენ მათ განხორციელებას, ამიტომ სულაც არ აქვთ სურვილი დახმარება ამჯერად კერძო კომპანიებს გაუწიონ. დონორთა ამ პოზიციის გათვალისწინებით საქართველოს მოუწევს უარი თქვას გერმანიის განვითარების ბანკისგან (KFW) 25 მილიონი ევროს მიღებაზე, რომელიც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გამრიცხველიანებაზე უნდა დახარჯულიყო. ამასთან ცნობილი ხდება, რომ საეჭვოა მილენიუმის პროგრამიდან 40 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტის მიღებაც.

*საქართვლოს ხელისუფლების მიერ პრეზენტირებული რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზრის გაუქმებას ითვალისწინებს. საბითუმო ბაზრის დღევანდელი მმართველების - ესპანური კომპანია "იბედროლას" წარმომადგენლების კომენტარი აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით დღესვე "24 საათის" მეოთხე გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ.*

სისადავის ესთეტიკა



B2

პრეზიდენტ ბუშის მუშურ-გლეხური მთავრობა



B3

"ქართული სუპერკლასიკოს" დინამიკური დასასრული



B4


ინგლისური სიტყვა "სკეტჩი" თავდაპირველად იმავეს ნიშნავდა, რასაც ყველასათვის ნაცნობი ფრანგული "ესკიზი" და ჩვენში ნაკლებად ცნობილი იტალიური "სკიცცო". მაგრამ მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის შუაწლებიდან ის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრდა, მან საბოლოოდ და შეუქცევადად შეიცვალა მნიშვნელობა. მაშ ასე, სკეტჩი ნიშნავს მეხომ მარტო თავის თავს არ ნიშნავს, არამედ რაღაც თბილისურ სასტავს, რაღაც საშვს საზოგადოების რომელიღაც სართულზე, ვიღაცეების სალამსა და თუმცა ხანმოკლე, მაინც კეთილ ღიმილს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა კი კარგა ხანია მოკვდა და არც მისი ცოცხალი ნათესავები ჩანან ახლო-მახლო... იქნებ გგონიათ, უსაფუძვლოდ ვახურებდე? სულაც არა: **"თუ ბუღაძე** ლაშა ბუღაძეს არაფერი არ დაუმტკიცებია ისე აშკარად და უეჭველად, როგორც ერთი რამ: ნამდვილად ეხერხება ცურვა...

მაინც რატომ დავუთმე პუბლიკაციის თითქმის მესამედი ამ თითქოს უმნიშვნელო თემას. იმიტომ რომ უმნიშვნელო სულაც არაა. განა იმავეს არ ამბობს **ნოდარ მალაზონია** თავის წერილში *დღევანდელი საქართველო და საბჭოთა*ლოვ, ღვთისმშობლის წილხვედრო და ბუშისაგან ოთხგზის ნახსენებო საქართველოვ, სანამ შენი საუკეთესო შვილები ირონიას ვერ გაუგებენ გემოს, სანამ საკუთარ თავზე სიცილს ვერ ისწავლიან, მანამ იქნები განწირული, რათა მთელი სერიოზულობით არკვიო, რომელი ჯობია — შიშველი მორომშკინა, თუ ჩოხიანი ჩეჩელაშვილი.

მანამ იქნები იძულებული, სასპუბლიკური პარტიის ლიდერის, **დათო უსუფაშვილის** მშვენიერი ინტერვიუ გამოქვეყნდა 2 მარტს. როგორც იქნა, მოვესწარით პოლიტიკოსს, რომელიც დონეზე დგას და პოლიტიკურ დისკურსს სრულყოფილად ფლობს. გავიხსენოთ ინტერვიუს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი: **"დღეს ოპოზიციონერობა რთულია, რადგან მეორე მხარეს ვერ ვხედავთ მმართველ** ოგრაფიის სწავლება, ან წინაპრების ეთნიკური წარმომავლობა.

სწორედ ამგვარი მოულოდნელი თემატიკა წამოიჭრა ზოგადი განათლების კანონის საკომიტეტო განხილვისას, რომელიც 2 მარტს აგვიწერა **გიორგი ასანიშვილმა** მასალაში *პარლამენტარებს სკოლა "უხმობს"*. სტატიაში ვკითხულობთ: **"რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგე-** რომელში მოთავსებული ერთ-ერთი სტატია გვამცნობს, რომ მამაკაცის სახელი შიო სირიული წარმოშობისაა და მომდინარეობს სიტყვიდან "შიოლ" ("შეოლ"), რომელსაც სემიტურ ენებში სამი მნიშვნელობა აქვს: მღვიმე, ქვესკნელი და ჯოჯოხეთი.

რა შეიძლება ითქვას ამ მტკიცებაზე? ბევრი არაფერი: სრულიად ჩვეულებრივი მეცნიერული ჰი-



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




ტწილად მსუბუქი შინაარსისა და აუცილებლად ერთაქტიან პიესას, რომელშიც პერსონაჟთა მცირე რაოდენობა მონაწილეობს.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მსურს, რომ ის მხიარული საკითხავი, რასაც შაბათობით გვაწვდის **ლაშა ბუღაძე**, არანაირად არაა "სკეტჩი". და მაინც: **"ლაშა ბუღაძის მიერ ჩემდამი "მოძღვნილი" სკეტჩის პასუხად"**, — წერს 3 მარტს **ქეთევან სადღობელაშვილი**. იქნებ იმიტომ მოსჩვენებია "24 საათის" ტელეკრიტიკოსს, რომ ბ-ნი ბუღაძის პაროდიაში მის გარდა კიდევ სამი პერსონაჟია გამოყვანილი: **გურამ დოჩანაშვილი**, **ოთარ ჭილაძე** და **გრიგოლ ორბელიანი**. მაგრამ ყოველი ტექსტი, რომელშიც პერსონაჟს ვიპოვით, მაინც არაა სკეტჩი. ეჰ, რას გადავეკიდე ამ ტერმინოლოგიას — განა ესაა მთავარი?!.

კიდევ ერთი რამ მოსჩვენებია ტელეკრიტიკოსს: **"გურამ დოჩანაშვილისა და ოთარ ჭილაძის არსებობა ლაშა ბუღაძის მუდმივი ტანჯვის მიზეზად რომ იქცა, ეს მხოლოდ ბუღაძის პრობლემაა და სხვა არავისი"**. და გრიგოლ ორბელიანის არსებობა კი ვისი პრობლემაა? ანდა პოლიკარპე კაკაბაძის არსებობით განა არ იტანჯება ლაშა ბუღაძე? მერე შექსპირი! მახსოვს, ლონდონიდან რომ ჩამოვიდა, სამი კილო მაინც ექნებოდა დაკლებული...

ეს რა წამომცდა, ხალხო! — ახლა იტყვიან, მეგობარია და იმიტომ იცავსო. აბა, რატომ გადაეფარნენ მკერდით დოჩანაშვილსა და ჭილაძეს და რატომ დარჩა გენერალი პოეტი დაუცველი? პირველი ორი **ოთარ ჭილაძისა და გურამ დოჩანაშვილის რომანების მაგვარს შექმნის, მამის ხათრის გარეშე ჩავწერ საყვარელი მწერლების სიაში"**. იშრომე, ლაშა, იშრომე — ხომ ხედავ, რა პატივი გელის, სად უნდა ჩაგწერონ! მაგრამ ეს "მამის ხათრის გარეშე" რაღა დოზანაა, ნეტავი? გია რაღა შუაშია? — ხომ მიხვდით, ცოცხალი ნათესავია.

სხვათა შორის, მიხაილო ლომონოსოვის მემკვიდრეობიდან ენერგიის შენახვის კანონის აღმოჩენაზე და სხვა ტყუილებზე უფრო მეტად ერთ ეპიზოდს ვაფასებ: ეკატერინე მეორის ერთ-ერთ რაუტზე მიწვეულს ვიღაც კნიაზმა ჰკითხა, დიდებული წინაპრები თუ გყავსო. არხანგელსკელმა მუჟიკმა არ დააყოვნა და მიუგო: მე თვითონ ვარ დიდებული წინაპარიო. ცოცხალ ნათესავებსა და წარჩინებულ წინაპრებზე კიდევ მოგახსენებთ, როცა ერთი ცინცხალი სკანდალის შესახებ მოგიყვებით, ამჯერად კი ისევ ჩვენს უბედურებას მივუბრუნდეთ.

უბედურება-მეთქი... აბა, რა ვუწოდო მდგომარეობას, როცა პაროდიას ასეთი ალმასისებური სერიოზულობით პასუხობენ? რა დავარქვა იმ ვითარებას, როცა კრიტიკოსს საკუთარ თავში იუმორის ეს მცირე რესურსიც ვერ უპოვნია? აბა, ეს წავიკითხოთ: **"მეგობრულად ვურჩევ, კუსა და მორიელის იგავი მანამ იკითხოს, სანამ მედიტაციურად მაინც ვერ იგრძნობს, რომ შუა წყალში მარტო რჩება"**. კუების თემა, მახსოვს, ერთხელ უკვე ამოვწურე და მასთან დაბრუნება აღარ მსურს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით *სტერეოტიპები* (1 მარტი). ამ ტექსტში წარმოდგენილი საწუხარი ჩემთვისაც არ იყო უჩვეულო, მაგრამ მის გამოთქმას მაინც მხატვრის გამოცდილება სჭირდებოდა, მით უმეტეს, მხატვრისა, რომელსაც არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ გურული მახვილსიტყვაობა ყოველთვის ზეპირ სიტყვასთან ერთად კი არ მიჰყვება ქარს, არამედ ქაღალდზეც შეუძლია გაიხაროს. ბ-ნი ნოდარიც არსებითად იმაზე მსჯელობს, რომ ჩვენში გარკვეულ სფეროში შემავალ კულტურულ მოვლენებს შემოქმედებითი სულისკვეთების გარეშე ეპყრობიან: ერთადერთი, რაც შეგვიძლია, პირდაპირი კოპირებაა. ამიტომაც ვხედავდით აეროპორტში ოფიციალური შეხვედრებისას კრემლის წითელ ფიანდაზებს, ამიტომაც ვხედავთ დღესაც პარლამენტის კედელზე ინტერიერთან ყოველგვარი შეხამების გარეშე ოფიციალური აღწერის მიხედვით პირდაპირ და სწორხაზოვნად, ესე იგი, უგემოვნოდ გამოსახულ სახელმწიფო გერბს.

დიახ, შემოქმედებითი ორაზროვნების შექმნისა და გაგების უნარი დაიკარგა ჩვენში და ეს არა მარტო საგაზეთო პუბლიკაციებს, არამედ სახელმწიფოებრივ ყოფას დაეტყო. ამიტომ იკარგება ყოველგვარი ზღვარი რეპორტაჟსა და იგავს, ფოტოგრაფიასა და კარიკატურას, ტრაგედიასა და კომედიას შორის. პუბლიცისტის მიერ პაროდიის აზრის ვერგაგება, ქვეყნის პრეზიდენტის მიერ პარლამენტში განხორციელებული მულტიმედიალური ფარსი, ოპოზიციური პარტიების კვაზირელიგიური ბოდვა — ყველაფერი ეს ერთი და იმავე მოვლენის მოდუსებია. მოვლენას კი არაადეკვატურობა ჰქვია.

ვაი, ჩემო ბედკრულო სამშობკუთარ თავზე სიმართლე სხვისგან გაიგო. აი, თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისგან. ესეც ცალკე ისტორიაა...

ამის შესახებ **ხათუნა გაბიევმა** გვამცნო 2 მარტის ნომერში. საინტერესოა, რომ "გოსდეპის" წლიურ ანგარიშში საქართველოს მედიისადმი მიძღვნილ აბზაცებში გაიელვა უკვე ნაცნობმა ტერმინმა: "თვითცენზურა". გასაგებია, ამერიკელები უფრო გულისყურით გვისმენენ, ვიდრე ჩვენი საკუთარი ხელისუფლება. მაგრამ ისინი ხელისუფლებასაც უსმენენ. აი, მიხეილ სააკაშვილმა ხომ დაიქუხა პარლამენტში, ვინც ეკლესიაზე რამეს ამბობს, ყველას ქულების დაწერა მოსდომებიაო. ვნახოთ, რა გამორჩა ხათუნა გაბიევის მახვილ თვალს და რას წერს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი ჩვენში რელიგიური თავისუფლების შესახებ: **"ნოემბერში გაიმართა დისკუსია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და რეფორმის მომხრე სემინარიის სტუდენტებსა და სამღვდელოებას შორის. მედია თავიდან ინტენსიურად აშუქებდა მოვლენებს. ოქტომბერში, პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოუწოდა მედიას, ამ დისკუსიის გაშუქებისას უფრო მეტი პასუხისმგებლობა გამოეჩინა. დისკუსიის შესახებ ყველა ცნობა დაუყონებლივ გაქრა"**. ნეტა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტსაც ქულების მიღება მოუნდა? ნეტა ვისგან?

ისე კი, ჩვენგან ნამდვილად ჩაეთვალათ: მართლაც ასე იყო.

მაგრამ რატომ იყო?

აი, უხრწნელი სეპტეტის, მაპატიეთ, ანტიკორუფციული შვიდკაცას ყოფილი წევრისა და აწ კი რე**პარტიას, რომელიც ახერხებს თვითდისტანცირებას სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და რომელმაც იცის, რას ნიშნავს იყო მმართველი"**. ამასაც თითქოს ყველანი ვგრძნობთ, მაგრამ გამოთქმას პოლიტიკოსის გამოცდილება სჭირდება. მაინც რა თქვა დათო უსუფაშვილმა? — ნაციონალური მოძრაობა საკუთარ თავს აიგივებს სახელმწიფო ინსტიტუტებთან. ხომ გახსოვთ, "ჩვენ გავაკეთეთ", "ჩვენ მივაღწიეთ", "ჩვენამდე არ ყოფილა". მერე რა? — არა, აქ სულაც არ მაინტერესებს, მართალია თუ არა, რაც ითქმის. მთავარი ისაა, ვინ იგულისხმება ნაცვალსახელში "ჩვენ". ის რაც კეთდება, ის რასაც აღწევენ, ის რაც აქამდე არ ყოფილა, არ უნდა იყოს დამოკიდებული რომელიმე პარტიაზე, მისი პროგრამის კონკრეტულ შინაარსზე. ჯერ-ჯერობით ჩვენი ხელისუფლება აუცილებლის საზღვრებს არ გასცილებია, ხოლო ოპოზიციასთან დიალოგი სულ სხვა, არაარსებით სიბრტყეში მიმდინარეობს. ამის გამო გვესმის პრეზიდენტის პირიდან უცნაური ფრაზები: აჰა, ფუნჯი, აჰა, საღებავი და ა. შ. აი, ამას ამბობს დათო უსუფაშვილი, ოღონდ ისეთი სიტყვებით, როგორიც პოლიტიკოსს ეკადრება: **"როდესაც პრეზიდენტი პარლამენტში მობრძანდება და ქვეყნის მდგომარეობის შესახებ აკეთებს მოხსენებას, რომელიც პოლიტიკური პარტიის ლიდერის მოხსენებას ჰგავს, ეს არღვევს ოპონირების რეჟიმს ... ჩვენში პოლიტიკური ოპონირების ცნება სრულიად არასწორად განვითარდა"**.

ამიტომაც ხვდება პოლიტიკური ოპონირების სფეროში ისეთი მოულოდნელი თემატიკა, როგორიცაა ქართული სუფრა, ან ჰაგი**ნლები და სასულიერო აკადემიის პრორექტორი ითხოვდნენ, რომ კანონპროექტში ასახულიყო კონკორდატის ზოგიერთი დებულება"**. ჩემთვის აქედან მხოლოდ ერთი რამაა გასაგები: სასულიერო აკადემიის პრორექტორი პროტოპრესვიტერი **გიორგი გამრეკელია**. მაგრამ ვინ იმალება უხერხული სიტყვაშეთანხმების ქვეშ: "რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები". რიგი წარმომადგენლებისა თუ ორგანიზაციებისა? რაღაცნაირად ხვდები, რომ ლაპარაკია "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირზე". სხვათა შორის, არც ტერმინი "კონკორდატია" მართებული: საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებულია არა კონკორდატი, არამედ საკონსტიტუციო ხელშეკრულება. როგორც არაერთხელ ითქვა "რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების რიგი წარმომადგენლების მიერ" (ეს სხვა რიგებია), ორი სიტყვა — საკონსტიტუციო ხელშეკრულება — აშკარად გამოხატავს იმას, რომ კონსტიტუცია უზენაესია და სწორედ ის არეგულირებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას.

მაგრამ აქ სხვა რამაა საკითხავი: საკუთრივ რა კულტურა და განათლება უმაგრებს ზურგს მის მაღალღირსებას, პროტოპრესვიტერ გიორგის, როცა იგი საპატრიარქოს განსაკუთრებულ პრივილეგიებს მოითხოვს საგანმანათლებლო საკითხების გადაწყვეტისას?

სწორედ ახლა მოვიდა დრო დაპირებული ცინცხალი სკანდალის გადმოსაცემად. მაშ ასე: გამომცემლობა "ნათლისმცემელმა" საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების ნებართვით დაბეჭდა სასულიერო ხასიათის კალენდარი, პოთეზაა — ზომიერად არგუმენტირებული და საკმაოდ დამაჯერებელიც. არაა სავალდებულო ვიფიქროთ, რომ მამაკაცის სახელში მაინცდამაინც ჯოჯოხეთი იგულისხმებოდა: მღვიმე, მაგალითად, ძველ კულტურებში ძალიან გავრცელებული და, უმეტეს წილად, დადებითი მნიშვნელობის მატარებელი სიმბოლოა.

მაგრამ ჰიპოთეზის ავტორს, კალენდრის გამომცემელსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სასულიერო ცენზორსაც საპატრიარქოს რისხვა დაატყდა თავს: როგორ გაბედეთ ამგვარი რამის გამოქვეყნება, ხალხი ხომ იფიქრებს, რომ გვარი შიოლაშვილი სირიული ჯოჯოხეთიდან მომდინარეობსო... სწორედ ამაზე საუბრობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი, უწმინდესი **ბართლომე** თსუ-ში 2003 წლის 20 სექტემბერს წარმოთქმულ სიტყვაში: **"განსაკუთრებით შეუვალნი გაუნათლებელნი არიან, რომლებიც არ არიან მიჩვეულნი აზროვნებას და არც სხვათა ნააზრევის პატივისცემას"**. სწორედ ამგვარი განათლებისა და შინაგანი კულტურის მქონე ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ ჩვენი შვილების განათლებასთან დაკავშირებული საკითხები.

აი, ჩვენი დღევანდელი სტატიის დასაწყისთან დავბრუნდით. პაროდიასა და ჰიპოთეზას ერთნაირი ბედი ეწევა მავანთა ხელში. მაგრამ აქ ჩვენი კიდევ ერთი ნიშანდობლივი, მამა-პაპური და ჯიგრული თვისება გამომჟღავნდა: ორივეგან მხოლოდ ცოცხლებზე ზრუნავენ, მხოლოდ ცოცხლებს იცავენ, რადგან გრიგოლ ორბელიანისა არ იყოს, წმინდა შიო მღვიმელიც დიდი ხნის წინათ მოკვდა და არც ცოცხალი ნათესავი დარჩენია...



B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 მეცნიერება და ტექნიკა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# სისადავის ესთეტიკა


თამარ მეფე


ვანო მელიაშვილი


აკაკი ილიასთან ერთად

ანნი ფორჩუა

თბილისი. საუკუნის მიჯნა. ეპოქის დასაწყისი.

ტფილისური ყოფა - ერთდროული მოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთზე. ყარაჩოხელებისა და პროევროპული ცივილიზაციის ეგზოტიკური კერა. მის წიაღში დამკვიდრებული აკადემიური, სალონური ხელოვნების გვერდით ნაივური, შემდგომ "პრივიტივიზმის" სახელით დაფიქსირებული ხელოვნება, ნიკო ფიროსმანი - ამ ხელოვნების განუმეორებელი წარმომადგენელი. მის ტილოებზე მთელი საქართველოა.

თბილისი. საუკუნის მიჯნა. ეპოქის დასასრული.

თანამედროვე თბილისი - სტილთა დახვავება. ტრადიციული ფორმების ნოვატორული გააზრება, სინთეზური ხელოვნების ბუმი.

ისტორია მეორდება: საუკუნის ხნისაა კაცი, რომელიც ერთი თაობით უმცროსია ფიროსმანზე. მისი არსებობაც არავინ იცის, მისი მხატვრობა ისევე ნაივურია, როგორც მისი წინამორბედის, ისევე დახუნძლულია სულიერებით და სიფაქიზით, მის ტილოებზე მთელი საქართველოა.

ვანო მელიაშვილი...

ის, რაც მხოლოდ გულიდან მოდის და ტექნიკურადაც მხოლოდ ინტუიციით მიიღწევა, მელიაშვილის სისადავე და ლირიკულობაა. უმარტივეს ფორმაში ჩადებული სიღრმე, ერთი შეხედვით ორგანზომილებიან სივრცეს ემატება ის სულიერი ენერგია, რაც აცოცხლებს ჩარჩოს შიდა სამყაროს და ბავშვური უშუალობით აახლოებს ჩვენთან.

პერსპექტივადარღვეული პეიზაჟები სამყაროს პატარა მოდელებია, რომლებსაც შუა საუკუნეების ფონებისთვის დამახასიათებელი მისტიკურობა ახლავს.

წარსულის ხატვისას ის მემატიანედ იქცევა. როცა თამარ მეფის პორტრეტს უყურებ, გგონია, რომ მხატვარმა დროის ჭრილში გაიარა, ცოცხალი მოდელი დახატა.

როგორც ხალხურ-დეკორატიულ ხელოვნებაში ირჩევდნენ ძვირფას ქვებსა და ფერად ძაფებს ორნამენტის გასამდიდრებლად, როგორც მინანქრის ოსტატები აძლიერებდნენ ერთ ფერს მეორის დახმარებით, ასეთივე უტყუარი ალღოთი ცდილობს ვანო მელიაშვილი "გამოაშუქოს" წმინდანთა ნიმბები, ანგელოზის ფონის სილურჯე. ხინჯების სიკაშკაშე... თუმცა, მთავარი აქ ამ გმირების მონუმენტურობაა. მისი გმირი იმდენად განსულიერებულია, რომ მხოლოდ კედლის მხატვრობის ნიმუშებს თუ შეედრება (ასეთია ე.წ. "ხალხური ნაკადის" ფრესკის ნიმუშები, სადაც ნაივური, პროპორციადარღვეული ტიპაჟებით იქმნება სახარების ილუსტრაცია...)

ვანო მელიაშვილი დაიბადა 1892 წელს თიანეთში. ცხოვრების ბოლო 25 წელიწადი საბავშვო ბაღის დარაჯად მუშაობდა. როგორც ამბობენ, ძალიან კეთილი იყო და სიკეთეს უხვად გასცემდა გარშემო მყოფთათვის, მუდმივად ფანქარი ეჭირა და ხატავდა. ხატავდა ყველაფერზე, რაც მოხვდებოდა: ქაღალდის ნაგლეჯზე, ქვითრის მეორე გვერდზე, ბილეთის პატარა ნახევზეც კი. მატერიალურად ძალიან უჭირდა, მშიერიც ხშირად ყოფილა. იყო ცოტათი უცნაური. მიუხედავად ამ უცნაურობისა, ძალიან თბილი, ადამიანური, ძალიან კეთილი. ცხოვრობდა შეუმჩნევლად. მის აღმოჩენას მხატვარს ბატონ თენგიზ მირზაშვილს უნდა ვუმადლოდეთ.

1986 წელს, გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, ბავშვთა სურათების გალერეაში მოეწყო მისი ნამუშევრების გამოფენა. გარდაიცვალა 1988 წელს. სხვა ბიოგრაფიული ცნობები არ შემოგვრჩა.

რამდენიმე დღის წინ ვანო მელიაშვილის ნამუშევრების გამოფენას გალერეა "ვერნისაჟმა" უმასპინძლა. წარმოდგენილ იქნა ორმოცამდე ფერწერული ტილო, რომელიც კერძო კოლექციებსა თუ მუზეუმებშია დაცული.

ამ მხრივ მელიაშვილის ტილოებიდან საინტერესოა: "შავი ზღვა", "აკაკი სტუმრად ილიასთან", "თამარ მეფის პორტრეტი", "ოჯახი", "ქალაქგარეთ", "გლეხის ქალი ბავშვებით", "ჩემი დედ-მამა, "სვეტიცხოველი და მრავალი სხვა, რომლებიც შინაგანად გვავსებს და უთუოდ ჩაგვაფიქრებს.

გამოფენა ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. სტუმართა შორის გამოიკვეთა აზრი, რომ მელიაშვილის მხატვრობა უთუოდ ინდივიდუალურია და ავტორს საკუთარი ხელწერა აქვს. ნამუშევრებში მკაფიოდ იგრძნობა დასრულებული, ჩამოყალიბებული მხატვრული სახეები, რომელიც სინატიფით, სისადავით გამოირჩევა. მხატვრის ტილოები საინტერესო და იდუმალებით გამსჭვალული სამყაროა, ფერთა მდიდარი ტონალობაა, რომელიც ძლიერ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ხელოვნების მოყვარულთ კიდევ ერთი საინტერესო მხატვრის გამოფენა ელით გალერეა "ვერნისაჟში, რომელიც 13 მარტამდე გაგრძელდება.

# ისტორიის უცნობ ფურცლებზე მტვრის ჩამოსაცლელად

## სტამბულის ქართველთა სავანე - პატარა საქართველო უცხოეთში

ვერა ნეფარიძე

*"კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი თავშესაფარი ყოველი ლტოლვილი და გაჭირვებული ქართველისა, მიუხედავად მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება ღირსეულად შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქმნეს", - 1949 წელს კონსტანტინეპოლის ქართული მონასტრის ძმობის ეს სურვილი, დღეს კიდევ უფრო აქტუალურია. სტამბოლის ქართული სავანე - ქართველ კათოლიკეთა დედა ღვთისმშობლის მონასტერი მასთან არსებული კულტურული ცენტრითა და სიძველეთსაცავით, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკას, საარქივო მასალებსა და სამუზეუმო ექსპონატებს ლიცეუმისა და სტამბის ჩათვლით - ქართული კულტურის კერათაგან ერთადერთია, რომელიც დღემდე ხელუხლებლად შემორჩა საქართველოს ფარგლებს გარეთ. დღეს ეს საცავი მტვრიანია, ხოლო საარქივო მასალები, რომელიც მოგვითხრობენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის დღემდე უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე (მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე) - შესასწავლი. თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის, ასევე ფონდი "კულტურული მემკვიდრეობა საზღვრებს გარეშე" ორგანიზატორობითა და "თიბი-სი ბანკის" ფინანსური მხარდაჭერით, სტამბოლში გაემგზავრა ქართველ მეცნიერთა ჯგუფი (პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით). ოთხთვიანი მუშაობის დასრულების შემდეგ პროექტის პირველი ნაწილის ფარგლებში დაგეგმილია ბიბლიოთეკისა და საარქივო მასალების აღნუსხვა-კატალოგიზაცია; ასევე, სტამბულის ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მონასტრისა და მათი მესვეური "ჩვენებური ქართველების" შესახებ წიგნი-მატიანეს გამოცემა.*



ქართველი მეცნიერები რამდენიმე წელიწადია, ქართველთა სავანეში არსებული ბიბლიოთეკისა და საარქივო მასალების შესასწავლად სტამბულში გამგზავრებას ელოდნენ. "მეტად დამწუხრებული მოჩანს მონასტრის ოთხსართულიანი შენობა. უძვირფასესი წიგნებითა და სამუზეუმო ექსპონატებით სავსე ოთახები ორმოც წელიწადზე მეტია, ელოდებიან კარის გამღებს, ჭეშმარიტ პატრონს დედასამშობლოდან... დღევანდელი სტამბულის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში რამდენიმე ჰექტარ ქართულ მიწას ენატრება ქართველი კაცი"... - წერდა შარშან ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, რომელიც ქართველთა სავანეში სამეცნიერო მუშაობის გაგრძელების აუცილებლობაზე მსჯელობდა. წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვეში, ფონდის - "კულტურული მემკვიდრეობა საზღვრებს გარეშე" დახმარებითა და "თიბი-სი ბანკის" ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო პროექტი სტამბულის ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მონასტრისა და მათი მესვეური "ჩვენებური ქართველების" შესახებ წიგნი-მატიანეს გამოსაცემად.

დაფინანსებულია ოთხკაციანი ჯგუფის (რომელსაც პროფესორი შუშანა ფუტკარაძე ხელმძღვანელობს) ოთხთვიანი მივლინება. ეს ჯგუფი გააგრძელებს წლების წინათ პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ დაწყებულ საქმეს (საარქივო მასალების აღრიცხვა, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, კატალოგის გამოცემით უნდა დასრულდეს).

1989 წლის მაისში, როდესაც ქალბატონი შუშანა ფუტკარაძე საკუთარი წიგნისთვის - "ჩვენებურები - ქართული" მასალებს აგროვებდა, სტამბოლში შეხვდა 93 წლის ქართველს, ბატონ პავლე ზაზაძეს, ახალციხის რაიონის სოფელ უდეს მკვიდრს, რომელიც 1913 წლიდან სტამბოლში ცხოვრობდა. ბატონი პავლე 1966 წლიდან, ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის ბოლო მღვდლის პეტრე ტატალაშვილის გარდაცვალებიდან, სტამბულის ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების თავმჯდომარე და ეკლესია-მონასტრის ფაქტიური პატრონი იყო. სწორედ მან დაათვალიერებინა ბათუმელ პროფესორს მონასტრის წიგნსაცავი და მის შესასწავლად გამოუცხადა ნდობა. ბატონი პავლეს გარდაცვალების შემდეგ მისი საქმიანობა შვილმა, სიმონ ზაზაძემ გადაიბარა. მას შემდეგ, ქალბატონი შუშანა პერიოდულად ჩადიოდა სტამბულში და მუშაობდა საცავში (ზაზაძეების ოჯახის დახმარებით პროფესორს მიღებული აქვს მთავრობისგან საცავში მუშაობის ნებართვა). პარალელურად მოხდა საინტერესო ფაქტი. 2000 წლის ზაფხულში სტამბულში ჩამოყალიბდა თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდი (ინიციატორია თურქეთში ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესმენი ისმეთ აჯარი, ფონდს კი, მევლუდ ართვინლი ხელმძღვანელობს); 2001 წლის ნოემბრიდან პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით დაიწყო სტამბულის ქართველთა სავანეში არსებული წიგნსაცავის, ბიბლიოთეკის, საარქივო მასალებისა და სამუზეუმო ექსპონატების შესწავლა. მუშაობა გაგრძელდა 15 თვეს (2003 წლის სექტემბრამდე); ექსპედიციის ხარჯებს თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდთან ერთად, ქართული მონასტრის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე სიმონ ზაზაძე საკუთარ თავზე იღებდა. დაიწყო ამ წიგნსაცავის შესწავლა-კატალოგიზაცია. 15 თვის განმავლობაში შეისწავლეს 5 ოთახში განთავსებული ლიტერატურა (51 ათასი ერთეული), შესასწავლია 4 ოთახში მოთავსებული მასალა. "რადგან ადრე ოთახების მიხედვით აღწერა არ ჩატარებულა, ამიტომ არ შეგვიძლია მათი რაოდენობის განსაზღვრა. ჩემი აზრით, აქ შენახული ყოველი ფურცელი მოგვითხრობს ჩვენი სამშობლოს ისტორიის დღემდე უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე. ამ ხნის განმავლობაში ეს სავანე იყო საზღვარგარეთ ცოცხალი, მოქმედი ერთადერთი ცენტრი ქართული კულტურისა", - გვითხრა ქალბატონმა შუშანა ფუტკარაძემ, რომელიც დარჩენილი აღურიცხავი მასალის შესასწავლად 6 მარტს ასისტენტებთან ერთად გაემგზავრა სტამბოლში.

რაც შეეხება საარქივო მასალებს, როგორც ითქვა, მისი საკმაოდ დიდი ნაწილი შეუსწავლელია და, აქედან გამომდინარე, უცნობი. სტამბოლის ქართველთა სავანეში არსებულ საცავში დღემდე ინახება ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ზაქარია ფალიაშვილის, ია კარგარეთელის, დიმიტრი არაყიშვილის, მიხაკო წერეთლისა და სხვათა ნაშრომები; აქ დაიბეჭდა (ქართული მონასტრის სტამბა 1870-დან 1940 წლამდე მუშაობდა) 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ეროვნული კრების დავალებით პავლე ინგოროყვას ცნობილი ნაშრომი "საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ". აქ დაცული წიგნების ასაკი იწყება 1523 წლიდან და მთავრდება 1980 წელს გამოცემულით; მოიპოვება როგორც საერო, ისე სასულიერო ლიტერატურა, დაბეჭდილი სხვადასხვა ქალაქში; შენახულია ქართულ სტამბაში დაბეჭდილი ქართულ-ფრანგული წიგნები. მონასტერმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოდან ემიგრირებული დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ცხოვრებაში. საცავში არსებობს საკმაოდ მდიდარი ფოტოარქივი.

ფონდის - "კულტურული მემკვიდრეობა საზღვრებს გარეშე" ინიციატივით (პროექტის კოორდინატორი, ფონდის გენერალური დირექტორი - ირინე გივიაშვილი; პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი - ირაკლი კოპლატაძე), ქართული სამეცნიერო ექსპედიცია ითვალისწინებს წიგნსაცავის დარჩენილი ოთხი ოთახის გახსნას, არსებული საარქივო მასალებისა და ბიბლიოთეკის აღწერა-კატალოგიზაციას, მასალების (რისთვისაც საუკუნეზე მეტია, ხელი არავის უხლია) გაწმენდა-დასუფთავებას. დაგეგმილია 2001-2003 წლებში შესწავლილ წიგნსაცავში დაცული მასალების კატალოგიზაცია, ასლირება და ასლების თბილისში გადმოტანა. თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდს კი გადაწყვეტილი აქვს, ბიბლიოთეკის ბაზაზე სამუზეუმო ექსპონატებთან ერთად აღადგინოს და ჩამოაყალიბოს ქართული კულტურის ცენტრი.

# პრეზიდენტ ბუშის მუშურ-გლეხური მთავრობა

## ანუ, ჩვენ ხალხის წიაღიდან მოვდივართ


ალბერტო გონზალესი


ჯიმ ნიკოლსონი


კონდოლიზა რაისი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

ჩვეულებრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ასე უწოდებენ ხოლმე: "კადილაკები" "კადილაკებით" "კადილაკებისთვის". ეს ფორმულა პრეზიდენტ ლინკოლნის სახელგანთქმული გამოთქმის პერიფრაზი გახლავთ. ლინკოლნის ნათქვამი ასე ჟღერდა: "ხალხის მთავრობა ხალხთან ერთად ხალხისთვის".

ამ ფორმულებიდან რომელი უფრო შეესაბამება პრეზიდენტ ბუშის ახალ მთავრობას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მის ახალ საკადრო პოლიტიკას გადავხედოთ.

ბუშის კაბინეტში იუსტიციის ახალ მინისტრად ალბერტო გონსალესი დაინიშნა, რომელსაც მანამდე თეთრი სახლის მთავარი იურისკონსულტის პოსტი ეკავა. ის მექსიკელი ემიგრანტი ფერმერების ვაჟია, მის მშობლებს დაწყებითი სკოლაც კი არ ჰქონდათ დამთავრებული.

ვეტერანების საქმეთა მინისტრი ჯიმ ნიკოლსონი გახდა, აშშ-ს ყოფილი ელჩი ვატიკანში. ის ღარიბი აიოველი ფერმერების ოჯახში დაიბადა, სახლში, სადაც წყალგაყვანილობაც კი არ იყო. ბავშვობაში ხშირად უწევდა მშიერ კუჭზე დაძინება.

ვაჭრობის ახალი მინისტრი კი კარლოს გუტიარესია, "კელოტ კომპანის" ხელმძღვანელი. ინგლისური მან მაშინ ისწავლა, როცა მაიამის ერთ-ერთ ოტელში ლიფტიორად მუშაობდა. ის ერთ დროს მეხიკო-სითიში სატვირთო მანქანის მძღოლადაც მუშაობდა.

მაიკ იოჰანისი, სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრი, ნებრასკას შტატის გუბერნატორი აიოვაში, ღარიბი რძის ფერმერების ოჯახში დაიბადა.

ახალი სახელმწიფო მინისტრი კონდოლიზა რაისი, მანამდე პრეზიდენტის მრჩეველი გახლდათ ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში. ის ალაბამას შტატში, სეგრეგირებულ ბირმუნჰემში დაიბადა და გაიზარდა. სხვა, თავისნაირ შავკანიან გოგონებთან მეგობრობდა, რომლებიც 1963 წელს რასისტებმა ეკლესიაში დახოცეს.

ქვეყნის უშიშროების სამინისტროს კინაღამ ბერნარდ კერიკი ჩაუდგა სათავეში, ნიუ იორკის პოლიციის შეფი. ის მეძავის ვაჟი გახლავთ, რომელიც თავისივე სუტენიორმა მოკლა. თავად კერიკს სკოლაც კი არ აქვს დამთავრებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მას კანდიდატურის მოხსნა მოუწია, რადგანაც საგადასახადო კანონების დარღვევა გამოუვლინეს. მშობლების მდგომარეობას ამ აცილებაში არავითარი როლი არ უთამაშია.

ეილი ჩაო, შრომის ახალი მინისტრი, ჩინელი ემიგრანტების ქალიშვილი. 8 წლამდე ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა. პრეზიდენტმა ბუშმა მის შესახებ თქვა: **"ეილი ჩაოს ღრმად სწამს ამერიკული ოცნების, რადგანაც თავად გადაიტანა ის".**

ბუშის ახალი კაბინეტის წევრების ნომინაციები თეთრი სახლის რუზველტის სახელობის ოთახში მიმდინარეობდა და ტელეტრანსლიაციაც მიდიოდა. პრეზიდენტსაც და ნომინანტებსაც თვალზე ცრემლი ადგებოდათ, ქვეყანა კი დაუსწრებლად, გულაჩუყებული ადევნებდა თვალს ამერიკულოცნებაასრულებული მთავრობის ფორმირებას. თავისი ბოსის არჩევანის ახსნისას თეთრი სახლის პრესმდივანი სკოტ მაკლეინი ამბობდა: **"პრეზიდენტი პატივს სცემს მათ, ვისაც ესმის დაუღალავი, მძიმე შრომის, ერთგულების და პასუხისმგებლობის გრძნობის ფასი. ეს კი ის ფასეულობებია, რომლებიც ადამიანებში ადრეული ასაკიდან ინერგება".**

ბუშის ახლო მეგობრებისა და ზოგიერთი პოლიტიკური ფსიქოანალიტიკოსის აზრით, კაბინეტის წევრების შერჩევაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავად პრეზიდენტის ფსიქოლოგიამ. ერთი მხრივ, ბუში ელიტარული მილიონერების და მსხვილი პოლიტიკოსების გვარის შთამომავალია. მისი ბაბუა სენატორი იყო, მამა - პრეზიდენტი. მეორე მხრივ, ბუშის ახალგაზრდობამ ოჯახის ისტებლიშმენტის წინააღმდეგ ამბოხში ჩაიარა. ის ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი "წინაპრებისთვის", რომ დამოუკიდებლად შეუძლია გზის გაკვალვა "ზემოთ" (ახალგაზრდობაში ჯორჯ ბუში და მისი მეუღლე ლორა ღარიბულ, კომუნალურ სახლში ცხოვრობდნენ და საერთო ტუალეტით მეზობელ მეძავებთან ერთად სარგებლობდნენ).

ბუშს ყოველთვის უყვარდა და ახლაც უყვარს საკუთარი თავის გაიგივება არა ბუშების დინასტიასთან, არამედ გულისამაჩუყებელ ისტორიებთან სელფმეიდმენების, ანუ იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც საკუთარი თავი და კარიერა თავად შექმნეს.

ნიუ იორკის უნივერსიტეტის პოლიტოლოგისა და ფსიქოანალიტიკოსის სტენლი რენშონის მიერ დაწერილ, ჯორჯ ბუში უმცროსის ფსიქოლოგიური ანალიზის შემცველ წიგნში "მამის ჩრდილში: ჯორჯ ბუშის ტრანსფორმაცია", ვკითხულობთ: **"ბუშს გულწრფელად სჯერა, რომ მისი გზა თეთრი სახლისკენ სავსე იყო მძიმე წინააღმდეგობებით... ის დაიბადა ოჯახში, სადაც შვილების კარიერას დიდი ყურადღება ექცეოდა. თუმცა, ბუში ოჯახის მოლოდინს ხშირად ვერ ამართლებდა".** შემდეგ რენშონი წერს: **"ბუშის შემთხვევაში ასე ხდებოდა: ის მამის კვალზე სიარულს ცდილობდა, მაგრამ ათწლეულების მანძილზე არაფერი გამოსდიოდა. თუმცა კი, არ ნებდებოდა და ბოლოს წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ, როგორც მეჩვენება, ის მაინც დაკომპლექსებული დარჩა. მან დღემდე არ იცის, სად მთავრდებოდა მშობლებისა და ოჯახის დახმარება და სად იწყებოდა მისი საკუთარი წვლილი. მას საკუთარი სილუეტის გამოკვეთა ძალზე დიდი ჩრდილიდან მოუხდა".**

არ არის გამორიცხული, რომ მათხოვრობის მსურველი პატარა პრინცის ფსიქოლოგიურმა ტრავმამ გარკვეული როლი ითამაშა კაბინეტის წევრების შერჩევისასაც. არ უნდა გამოვრიცხოთ არც პროპაგანდისტული მოტივები. ტყუილად კი არ ადგას ყველა ნომინაციას შარავანდედად ამერიკული ოცნება. ტყუილად კი არ არიან მათ შორის უმცირესობათა წარმომადგენლები - შავკანიანი, სამხრეთ ამერიკელი, ჩინელი. ანუ, ჩვენ ყველანი ხალხის წიაღიდან გამოვედით, მშრომელთა ოჯახების შვილები, ჩემი - პრეზიდენტის ჩათვლით. მაგრამ ამ არჩევანში მთავარი მაინც გაცილებით პროზაული მოტივებია: ნიჭი, პირადი ერთგულება, კავშირები. ნომინანტების აბსოლუტური უმრავლესობა სანამ ტალახიდან თავადებში მოხვდებოდნენ, ამ ტალახს გულმოდგინედ იშორებდნენ. და, აი, გახდნენ კიდეც "კადილაკების" მთავრობის წევრები, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ "კადილაკებისადმი" ერთგულება დაამტკიცეს.


# ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)




აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ამოჭერით

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |


---

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# სიყვარულის შესახებ



უკვე მეექვსე თვე მიილია, რაც "მესვეტეობას" მივყავი ხელი. მთელი ეს დრო, ემოციურ-ლირიკული ინტერმეცოებით ჩვენს რეალობაზე ვაკეთებდი აქცენტს. გაზაფხულის დამდეგს, მსურს სიყვარულზე დავწერო. ბოლოს და ბოლოს, 8 მარტი მოდის, - ასე თუ ისე ქალთა დღე. მინდა დავიჯერო, რომ ყველა ინტერიერს დაამშვენებს ყვავილები და საბერძნეთის პლანტაციებიდან გამოსული ქართველი ქალბატონები თუ ამერიკელი, ლოგინად ჩავარდნილი, მოხუცების სასთუმალთან ჩამომჯდარი გოგონები საყვარელი ადამიანებისაგან მიიღებენ მილოცვებს და საჩუქრებს.

გერმანულიდან თარგმნილ ძველ რუსულ წიგნში, რომელიც 1908 წელს არის გამოცემული, დასავლეთ გერმანელი გიგანტის ფანტასტიკურ კონცეფციას წავაწყდი: ავტორი თანამედროვე ებრაელების ფიზიკურ დეგენერაციას უსიყვარულო ქორწინებას უკავშირებს და სიტყვა გარიგებას ახსენებს. ეს ერთი აბზაცი, შესაძლოა, გაუთავებელი დავის საგანი გახდეს, მაგრამ ჩვენთვის ინტერესის საგანს, ამჯერად მხოლოდ სიყვარულის პოტენცია წარმოადგენს.

რა შეუძლია სიყვარულს და რისი თვითმხილველები გავხდით აკანკალებული საუკუნეების ერთიდან მეორეში გადასვლის პერიოდში? რატომ ორთქლდება სხვა დანარჩენი სიყვარულს მოკლებული, რა არის ეს? ქვეცნობიერი სამყაროს ანარქია; ძალადობა; სხვისი სულის ოკუპაცია; თუ თვითდაჯერება? რატომ მოიაზრება გენიოსების საუკეთესო პერიოდებად გამიჯნურების დრო. რატომ ხდება რომ "ზოგნი ქალაქებზე ბატონობენ, მაგრამ ქალებს ემონებიან?" რატომ გაუძლო არაერთ საუკუნეს ინფორმაციამ პირველი შეყვარებული თინეიჯერების - რომეოსა და ჯულიეტას შესახებ?

რატომ ხდება, რომ დროის იდენტურობასთან ერთად, ულტრათანამედროვედ წარმოგვიდგება ნებისმიერი სასიყვარულო ისტორია. მაშინ კორსეტი იყო მჭიდრო და კაბა გიგანტური, დღეს კი მოდაში უკვე მეორედ დაბრუნებული 70-80-იანური მორთულობა; კლასიკური "შავი მოკლე კაბა", მაგრამ მაინც ვნებას დამორჩილებულია ნებისმიერი თარგი. რატომ? იმიტომ რომ "ყველა კაბის ქვემოთ ერთი და იგივე საიდუმლო იმალება", და იმიტომ რომ, მოცემულ რეალობაში თითქოს უცერემონიოდ შემოჭრილი სარეკლამო აბრები, "ელექტრონები" და ორიენტაციები, რელიგიური კონფლიქტები და სექსუალური ტურიზმით გაძლიერებული ქვეყნები, ერთი წუთითაც არ აყოვნებს ჩვენში სიყვარულის სურვილს.

ქალის სენტიმენტალურობას არაერთი მოტივით ხსნიან, ერთ-ერთი ასე ჟღერს - ქალის აზროვნება და მგრძნობელობა ერთი მთლიანია, - ვერ ახერხებს დაცალკევებას, მაშინ როცა მამაკაცთან სრულიად საპირისპირო შემთხვევა წარმოგვიდგება. აი, თურმე რატომ არის ქალი სენტიმენტალური. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქალში კიდევ ერთი ბალანსი არსებობს, რასაც სიძლიერის და სისუსტის ერთიანობა ჰქვია, ეს კი პირდაპირი პასუხია იმ მარადიულ კითხვაზე, თუ რატომ არის ქალი მამაკაცისთვის მიმზიდველი, დაუვიწყარი, საინტერესო და, გნებავთ, ეროტიულობის საწყისი.

კამათი და მაგალითების მოყვანა დიდი ხნის საქმეა, აქ კი - ერთს ვიტყვი: მთავარი მაინც არის ის, რომ ქალს მამაკაცი შეუყვარდეს, ასეთ შემთხვევაში უკან დარჩება სხვა დანარჩენი: სენტიმენტალურობაც (თუ ეს ცუდი ტონია) და ღალატიც, ტყუილიც და უხეშობაც.

არსებობს უამრავი ისტორია, სადაც განსხვავებული ასაკი, იდეოლოგია და კონცეფცია, თავის თავს ამართლებს ხოლმე, მაგრამ აქაც ერთია მთავარი - სიყვარულის პოტენცია.

როდესღაც ყველა ხვდება, რომ ძლიერი სიყვარული უფრო მალე აბერებს ადამიანს, ვიდრე დუხჭირი ცხოვრება, მაგრამ ფაქტია, ჩვენ ყველანი შეშლილებივით სწორედ სიყვარულისკენ მივილტვით. არც ნაოჭები გვაშინებს და არც მარტო დარჩენის ალბათობა.

საზოგადოება? სახელმწიფო? სტერეოტიპები? ერთი შეხედვით იფიქრებ, სად უნდა გადაკვეთოს სახელმწიფომ მიჯნურთა ურთიერთობა? ის ხომ არ ერევა ამაში, არც პასუხისმგებლობას იღებს და არც დამნაშავედ გრძნობს თავს ასეთ შემთხვევაში. მეორე მხრივ კი, სწორედ მისი წნეხის ქვეშ განვითარებული საზოგადოებრივი აზრი აყალიბებს სტერეოტიპებს და, უხეშად რომ ვთქვათ, გაიძულებს მასში ცხოვრებას.

ჩვენც ვცხოვრობთ იმ ქვეყნის ყოფაში, სადაც ყველაზე ხშირად გვიყვარდება, გვიყვარდება ომის დეპრესიაში მოყოლილიც, ამერიკაში (როგორც ელდორადოში) მიგრირებულიც და ისიც, ვინც გამუდმებით არღვევს ჩვენს უფლებებს. გიყვარდება იმიტომ რომ საქართველოში ასეთი ბიჭი უნდა შეგიყვარდეს და ელოდები იმიტომ, რომ შენ საყვარელ რომანებში სწორედ ასე ელოდნენ.

თუ ეს გამართლებულია, ისევ სიყვარულისკენ მოგიწოდებთ! დაივიწყეთ წყენა! და თუ გგონიათ, რომ თქვენნაირად არავინ გატანჯულა, კარგად დაფიქრდით, ეგ სიყვარული იყო თუ უსიყვარულობა?! რადგან არსებობს ერთი სიბრძნე - თუ იტანჯები, ეს ვნებაა და არა სიყვარული. ორივე კი ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც სურვილის ახდენა განსხვავდება საიდუმლოებების აღსრულებისაგან.

ინფოთეკა

### "ჩელსისა" და "ბარსას" კოლინა განსჯის

სააგენტო BBC-ის ცნობით, ჩემპიონთა ლიგის განმეორებით შეხვედრას ლონდონის "ჩელსისა" და ესპანეთის "ბარსელონას" შორის ცნობილი იტალიელი არბიტრი პიერლუიჯი კოლინა განსჯის. რაც შეეხება "მილანსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს," მისი მსაჯი გერმანელი ჰერბერტ ფანდელი იქნება.

### მაკაი ორ კვირას გამოტოვებს

როი მაკაი მიუნხენის "ბაიერნს" ვერ დაეხმარება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებით შეხვედრაში ლონდონის "არსენალის" წინააღმდეგ. ტრავმის გამო ფორვარდი იძულებულია ორი კვირა დაისვენოს. "ეს ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია, - ამბობს მიუნხენის "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი, - ახლა ჩვენ რამდენიმე რთული კვირა გველოდება. იმაზე უნდა ვიფიქროთ, რით შევავსოთ ეს დანაკლისი".

### ავსტრალია, სლოვაკეთი და არგენტინა მეოთხედფინალში გავიდნენ

დევისის თასის გათამაშებაში შაბათს გამართულმა მატჩებმა პირველი სამი მეოთხედფინალისტი გამოავლინა. ესენი არიან ავსტრალია, სლოვაკეთი და არგენტინა. ავსტრალიელებმა უჩვეულოდ იოლად დაძლიეს ავსტრიელთა წინააღმდეგობა - 5:0. არგენტინამ შანსი არ დაუტოვა ჩეხებს და პირველი სამი მატჩი მოიგო. სლოვაკებმა კი დაამარცხეს ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ესპანეთის ნაკრები. არგენტინელთა მსგავსად, სლოვაკებმაც პირველი სამი მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულეს. ამის შემდეგ კვირას დაგეგმილ ერთეულთა შეხვედრებს არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. დანარჩენ შეხვედრებში კი აღსანიშნავია ამერიკელთა მარცხი ხორვატებთან. პირველი ორი დღის შემდეგ ხორვატები - 2:1 იგებენ. იგივე ანგარიშით ფრანგები ამარცხებენ შვედების გუნდს.

### ვიტალი კლიჩკო იუშჩენკოს მრჩეველია

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ცნობილი მოკრივე ვიტალი კლიჩკო თავის უშტატო მრჩევლად დანიშნა. ანალოგიურ თანამდებობაზე დაინიშნენ მომღერალი სვიატოსლავ ვაკარჩუკი და სახალხო დეპუტატი ბორის ბესპალი.

### რახმანი კინგს ვერ მოურიგდა

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჰასიმ რახმანი ვერაფრით ვერ მოურიგდა თავის პრომოუტერ დონ კინგს იმ ჰონორარის თაობაზე, რომელიც მოკრივეს მსოფლიო ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოსთან ჩხუბისთვის უნდა მიეღო. ეს ბრძოლა 30 აპრილს არის დაგეგმილი. რახმანი უკმაყოფილო დარჩა დონ კინგის წინადადებით, რომ ის მიიღებდა ორ მილიონ დოლარს და პროცენტს ბილეთების რეალიზაციიდან. იმის გამო, რომ რახმანი WBC-ის ოფიციალური პრეტენდენტის სტატუსს ფლობს, ეს ორგანიზაცია ვალდებულია მოაწყოს ბრძოლის ორგანიზებისთვის განაცხადების კონკურსი. ამ კონკურსში გაიმარჯვებს პრომოუტერი, რომელიც ბრძოლის მონაწილეებს ყველაზე დიდ თანხას შესთავაზებს. შეთავაზებული თანხა კი სამი ერთთან უნდა იყოს მსოფლიო ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოს სასარგებლოდ.

### ჯეფ ლეისიმ ტიტული დაიცვა

IBF-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა მეორე საშუალო წონაში ჯეფ ლეისიმ წარმატებით დაიცვა ტიტული და მეექვსე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა რუბინ უილიამსი. შეხვედრის რეფერიმ ბრძოლა მას შემდეგ შეწყვიტა, რაც ჩემპიონის აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა. მატჩის შემდგომ ინტერვიუში ლეისიმ ბრძოლაში გამოიწვია WBO-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ჯო კალზაგე. ეს ორთაბრძოლა გაიმართა ლას-ვეგასში მოწვეულ შოუზე, რომლის მთავარ ბრძოლად განიხილება ჩხუბი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მსუბუქ წონაში ხოსე-ლუის კასტილიოსა და ხულიო დიასს შორის.

ფეხბურთი

# "ქართული სუპერკლასიკოს" დინამიკური დასასრული

მიხეილ აბაიშვილი

არის მატჩები, რომლებიც მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში ექცევა. ამ თამაშებს თავისი სახელებიც კი აქვთ. მაგალითად, შოტლანდიური "ოლდ ფირმი" - "გლაზგო რეინჯერსისა" და "სელტიკის" დაპირისპირება, ან ესპანური "სუპერკლასიკო" - "რეალისა" და "ბარსელონას" ომი. საქართველოს ჩემპიონატშიც არის ისეთი მატჩი, რომელიც "ქართული სუპერკლასიკოს" სახელით არის მონათლული. საუბარია ქუთაისის "ტორპედოსა" და თბილისის "დინამოს" დაპირისპირებაზე. რა ლოკალური მიზნებიც არ უნდა ჰქონდეთ ამ გუნდებს გადასაწყვეტი, რა ადგილებისთვისა და მიზნებისთვისაც არ უნდა იბრძოდნენ, ურთიერთშეხვედრაში ეს ყველაფერი უკანა პლანზე იწევს და მთავარი ხდება ის ქიშპობა და პრინციპულობა, რომელიც უკვე ტრადიციად ჩამოყალიბდა ამ გუნდებს შორის.

საქართველოს ჩემპიონატის 22-ე ტური სწორედ ამ მოვლენით - "ტორპედო"-"დინამოს" მატჩით გამოირჩა. ვითრებას კიდევ რამდენიმე სუბიექტური და ობიექტური მიზეზიც ძაბავდა. სუბიექტური ის გახლდათ, რომ კალენდრით ამ მატჩის მასპინძლობის უფლება ქუთაისელებს ჰქონდათ, მაგრამ ქუთაისის სტადიონის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო შეხვედრა ლანჩხუთში, ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონზე გაიმართა. უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ, როგორც "დინამო", ისე "ტორპედო" საფუძვლიან პრეტენზიას აცხადებენ ჩემპიონის ტიტულზე, რომელიც "დინამომ" ერთი, ხოლო "ტორპედომ" ორი წლის წინ დაკარგა. თუმცა, ამ პრეტენზიებს ჩემპიონატის განახლების შემდეგ, ცოტა არ იყოს, საფუძველი შეერყა, რადგან ორივე გუნდმა საგაზაფხულო სეზონის სასტარტო სამი მატჩიდან 2-2 მტკივნეული მარცხი განიცადა. ასე რომ, გუშინწინდელ თამაშს უნდა ეპასუხა კითხვაზე: ვისთვის იყო ეს ორი მარცხი დროებითი ჩავარდნა და ვისთვის - სერიოზული კრიზისი.

უნდა ითქვას, რომ ამ შეკითხვას ამომწურავი პასუხი გაეცა. პრაქტიკულად, ბრძოლა არ შედგა და "დინამომ" საკმაოდ იოლად,




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მელქაძემ ჰეთ-თრიქი შეასრულა.*

თან დიდი ანგარიშით მოუგო მეტოქეს.

**"ტორპედო" - "დინამო" 1:4 (1:2)**

**ტორპედო: მერლანი, ახალაია, ბაქრაძე, გამეზარდაშვილი, მერებაშვილი, სოსელია (ჯიქია, 65`), ონიანი (ბარაბაძე, 65`), მეგრელაძე, წუწუნავა, ბოლქვაძე, ნერგაძე. მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია**

**დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, სილაგაძე, ორბელაძე, გ. ჭელიძე (ოდიკაძე, 30`), ნემსაძე, ჯამარაული (ლ. ჭელიძე, 84`), ბაბუნაშვილი (კანდელაკი, 67`), კაკალაძე, მელქაძე. მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე**

**გოლები: 1:09 მელქაძე (30`), 2:0 ჯამარაული (57`), 2:1 მეგრელაძე (67` პენ.), 3:1 მელქაძე (72`), 4:1 მელქაძე (79`).**

**გაფრთხილება: მამალაძე, ჭიჭვეიშვილი, ბაბუნაშვილი, მერლანი, სოსელია.**

მოლოდინისამებრ, თამაშმა ძალზე დაძაბულ და ნერვულ ატმოსფეროში ჩაიარა. ორივე გუნდისთვის ცხადი იყო, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით გამარჯვებას 6-ქულიანი დატვირთვა ჰქონდა (3 ქულა აქტივში და - 3 მეტოქე-კონკურენტის პასივში), ამდენად, პირველივე წუთებიდან არც "ტორპედო" თმობდა მოედნის არც ერთ გოჯს და არც მისი ნომინალური სტუმარი. ასეთ ვითარებაში ძალიან ბევრს წყვეტს ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა და არც ეს თამაში გამოდგა გამონაკლისი. ამ თვალსაზრისით რომ უპირატესობა აშკარად "დინამოს" მხარესაა, ამაში შემადგენლობების გაცნობაც დაგვარწმუნებდათ. მატჩმა განსაკუთრებული ინტერესი შეიძინა 67-ე წუთზე, როდესაც "ტორპედომ" მეგრელაძის მიერ პანალტის წყალობით მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ ეს ინტერესი ხუთიოდე წუთში დაიკარგა. 72-ე წუთზე მელქაძემ ამ მატჩში მეორე გოლი გაიტანა, ხოლო კიდევ შვიდ წუთში "ჰეთ თრიკი" გაიფორმა და ნათელი გახდა, რომ "დინამო" დარჩენილ დროში გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდა. ამ წარმატების წყალობით გეგუჩაძის გუნდმა "ტორპედოსთან" შედარებით გაიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა, თუმცა, თანაქალაქელი "თბილისი", რომელმაც გამოკვეთილ აუტსაიდერ "დილას" უმასპინძლა, ისევ კვალში უდგას.

ლუის ცაკარიასის გუნდს საკმაოდ გაუჭირდა გორელებთან წარმატების მიღწევა. მართალია, "დინამოდან" იჯარის წესით აყვანილმა სანდრო იაშვილმა "თბილისი" პირველ ტაიმში დააწინაურა, მაგრამ მეორე ნახევარში, კერძოდ, 55-ე წუთზე, გორელმა რევაზიშვილმა წონასწორობა აღადგინა და "თბილისს" მატჩის ბედის კიდევ ერთხელ თავის სასარგებლოდ გადასახრელად დიდი ოფლის ღვრა მოუხდა. 75-ე წუთზე დედაქალაქელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს (ჩხეტიანი) და დარჩენილ დროში ანგარიში შეინარჩუნეს.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა მატჩი მცხეთაში, სადაც "ვიტ ჯორჯიამ" ბათუმის "დინამოს" უმასპინძლა. მართალია, საქართველოს ჩემპიონმა გუნდის საუკეთესო თავდამსხმელის მარცვალაძის მიერ გატანილი გოლის წყალობით ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა, მაგრამ მატჩის მიწურულს, კერძოდ, 84-ე წუთზე ხარაზმა წონასწორობა აღადგინა და დარჩენილი დრო იტალიელი მწვრთნელის, ჯანი კარნევალის შეგირდებს გამარჯვების გოლის გასატანად აღარ ეყოთ.

**22-ე ტური**

| | |
|---|---|
| ტორპედო - დინამო (თბ) | 1:4 |
| ლოკომოტივი - სიონი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია - დინამო (ბთ) | 1:1 |
| ზესტაფონი - კოლხეთი | 2:1 |
| თბილისი - დილა | 2:1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 14 | 3 | 5 | 45-22 | 45 |
| თბილისი | 22 | 13 | 4 | 5 | 44-26 | 43 |
| ტორპედო | 22 | 11 | 7 | 4 | 34-18 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 10 | 6 | 6 | 36-26 | 36 |
| ლოკომოტივი | 22 | 8 | 10 | 4 | 30-19 | 34 |
| ზესტაფონი | 22 | 9 | 2 | 11 | 21-38 | 29 |
| ბათუმი | 22 | 6 | 8 | 8 | 25-20 | 26 |
| კოლხეთი | 22 | 6 | 5 | 11 | 22-30 | 23 |
| სიონი | 22 | 6 | 2 | 14 | 20-45 | 20 |
| დილა | 22 | 3 | 3 | 16 | 14-47 | 9 |

ფორმულა 1

# ფიზიკელას ფიზიკის გაკვეთილი ავსტრალიაში

ბიგა ბურასაშვილი

*ჯერ ნაადრევია დასკვნების გამოტანა, მაგრამ ფაქტია: კვირას "ავსტრალიის დიდი პრიზით" განახლებული ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატი ბევრად განსხვავებული სცენარით წარიმართა. ბევრს ეგონა, რომ "ფერარის" გერმანელი მრბოლი მიხაელ შუმახერი, მიუხედავად იმისა, რომ სარბოლო რეგლამენტში არაერთი ცვლილება განხორციელდა გერმანელისვე დასაოკებლად, კვლავაც გამარჯვებულის კვარცხლბეკამდე გაიკვალავდა გზას, მაგრამ... მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა რბოლა ვერ დაამთავრა.*
*სამეფო რბოლების განახლებამდე, როდესაც საჯინიბოთა შესაძლებლობებს აფასებდნენ, ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ "რენო" აშკარად საშიში მეტოქე იქნებოდა ყველასთვის, მეტადრე სკუდერიელთათვის. ფრანგებთან თანამშრომლობის დებიუტშივე კვარცხლბეკის პირველი საფეხური იტალიელმა ჯანკარლო ფიზიკელამ დაიკავა. მესამე საფეხურამდეც "რენოს" ესპანელმა მრბოლმა ფერნანდო ალონსომ გაიკვალა გზა.*




2004 წლის სეზონში ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი იყო სკუდერიელთა დუბლი. სამეულში ადგილები მუდმივად გარანტირებულივით ეკავათ მიხაელსა და მის ბრაზილიელ თანამეწყვილეს რუბენს ბარიკელოს. ყოველ შემთხვევაში, ძირითადად ასე იყო. ფერარელთა აშკარა უპირატესობის, მათი ბოლიდების არანორმალური სისწრაფის დასამუხრუჭებლად და მიხაელის დასაშოშმინებლად საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მამები იძულებული გახდნენ, რაიმე ელონათ და იღონეს კიდეც. ფორმულა 1-ის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი ახლებურად დაიწყო. ფია-მ შეამცირა ძრავ-საბურავების რესურსი: ყოველ კვალიფიკაციასა და რბოლაზე პილოტები ვალდებული არიან, საბურავების თითო კომპლექტი იკმარონ, ძრავამ კი ორ პოულ-რბოლას უნდა გაუძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმები ისეთია, წაგებას უდრის. შეიცვალა საკვალიფიკაციო წესდებაც, რომლის მიხედვითაც ორივე (შაბათის და კვირის) კვალიფიკაციის შედეგები ჯამდება - რბოლაში მძღოლთა სასტარტო პოზიცია ორი ცდის ჯამური დროით განისაზღვრება.

და კიდევ, ეს ყველაფერი იმისკენ იყო მიმართული, რომ სამეფო რბოლები ბევრად სანახაობრივი გამხდარიყო, რაზეც რბოლის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ფინელი მიკა ჰაკინენი აცხადებდა კიდეც: "ბოლო წლებში "ფერარის" დიდი უპირატესობა ჰქონდა. მიხაელ შუმახერმა მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. დე, ახლა სხვასაც ჰქონდეს შანსი. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, მიხაელი წლეულს კვლავაც ფავორიტი იქნება".

ერთი სიტყვით, "ავსტრალიის დიდი პრიზი" "რენოს" დუბლით დამთავრდა. ფიზიკელამ, რომელიც პირველი პოზიციიდან შეუდგა რბოლას, თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და კუბოკრული დროშის აფრიალებამდე მოწინავის ადგილიც არავისთვის დაუთმია. 57 წრის განმავლობაში "ალბერ პარკის" ტრასას უშეცდომოდ აკონტროლებდა. მიხაელ შუმახერისგან ესტაფეტის ჩაბარება კი ბარიკელოს მოუხდა, რომელმაც ფიზიკელასთან ექვსწამიანი ჩამორჩენით მეორე შედეგით დაამთავრა რბოლა.

"ფანტასტიკური რბოლა იყო. ბოლო ხუთი-ექვსი წრე საკმაოდ კონსერვატიულად ვმოქმედებდი და ბარიკელოც ნელ-ნელა მიახლოვდებოდა, მაგრამ მანქანა მართლაც რომ მაგარია - კარგად ბალანსირებული და სტაბილური, - სარბოლო პერიპეტიებს იხსენებს ფიზიკელა. - მართალია, სეზონის პირველი რბოლა იყო, მაგრამ "რენოს" საკმაო პოტენციალი აქვს. ბოლო რამდენიმე წრე კი ვღელავდი, რადგან უახლოესი მდევარი წამომეწია, მაგრამ საბოლოოდ ამას გავლენა არ მოუხდენია ჩემზე".

ფერნანდო ალონსომ კი "ავსტრალიის დიდი პრიზი" "რენოსთვის" ორმაგად სასიხარულო გახადა. ფიზიკელას მსგავსად, ესპანელმაც ბრწყინვალედ იასპარეზა. მე-13 ადგილიდან აღებული სტარტის მიუხედავად, ათ მეტოქეს აუქცია გვერდი და ტრასის ყველაზე სწრაფი მრბოლის სახელიც დაიგდო.

ესპანელს შეეძლო, მეორე ადგილზე დაემთავრებინა რბოლა და "რენოსთვის" დუბლი გაეხერხებინა, მაგრამ ეს მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ რბოლის საწყის მონაკვეთში ჟაკ ვილნევთან ორთაბრძოლას მოიგებდა.

საუკეთესო სამეულის შემდეგ არ შეიძლება არ აღინიშნოს "რედ ბულის" შოტლანდიელი პილოტის დევიდ კულჰარდის ასპარეზობა. არა იმიტომ, რომ მეოთხემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. კულჰარდს ხშირად უკიჟინებდნენ, "რედ ბულში" გადასვლას ჯობდა პენსიაზე გასულიყავიო. მეოთხე ადგილზე გასვლით კულჰარდმა საკუთარი ოსტატობა დაამტკიცა.

რაც შეეხება მიხაელ შუმახერს, იმთავითვე ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ მისი სახით რაიმე საფრთხე შექმნებოდათ მეტოქეებს. საქმე ისაა, რომ შუმახერის ბოლიდს ღამით ძრავა გამოუცვალეს. სხვათა შორის, ასეთივე დღეში იყო ბარელი ტაკუმა სატოც, რომელმაც სულ ბოლოდან აიღო სტარტი. ახალი რეგლამენტით კი, შესაბამისი გადაწყვეტილება მრბოლის ბოლო ადგილებზე გამწესებით ისჯება. მართალია, დროთა განმავლობაში შუმახერი საკმაოდ დაწინაურდა, მაგრამ მესამე მოსახვევში უილიამსელ ნიკ ჰაიდფელდთან მერვე პოზიციისთვის ბრძოლა ძვირად დაუჯდა - ერთმანეთს დაეჯახნენ და 42-ე წრეზე რბოლას გამოეთიშნენ. ამ დროს შუმახერსაც და კულჰარდსაც პიტ-სტოპებზე შესვლის მარაგი უკვე ამოწურული ჰქონდათ. ერთი სიტყვით, ჩასათვლელი ადგილები "რენომ", "მაკლარენმა", "რედ ბულმა" და "ფერარიმ" და "უილიამსმა" (თითო) დაიკავეს.

წინ "სეპანგის" ტრასა და "მალაიზიის დიდი პრიზია", რომლისთვისაც უკვე ემზადებიან საჯინიბოები. სულ წლეულს 19 დიდი პრიზი გათამაშდება. შარშანდელ 18 რბოლას "თურქეთის დიდი პრიზი" დაემატა.

**"ავსტრალიის დიდი პრიზი". 57 წრე**

**პირადი პირველობა**

1. ჯანკარლო ფიზიკელა "რენო"
2. რუბენს ბარიკელო "ფერარი"
3. ფერნანდო ალონსო "რენო"
4. დევიდ კულჰარდი "რედ ბული"
5. მარკ ვებერი "BMW-უილიამსი"
6. ხუან-პაბლო მონტოია "მაკლარენ-მერსედესი"
7. კრისტიან კლინი "რედ ბული"
8. კიმი რაიკონენი "მაკლარენ-მერსედესი"

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

1. "რენო" 16
2. "ფერარი" 8
3. "რედ ბული" 7
4. "BMW-უილიამსი" 4
5. "მაკლარენ-მერსედესი" 4

ინფოთეკა

### კასპაროვი თითქმის ჩემპიონია

ესპანეთის ქალაქ ლინარესში დასასრულს უახლოვდება უმაღლესი კატეგორიის საჭადრაკო ტურნირი. რუსი დიდოსტატი გარი კასპაროვი ახლოს არის იმასთან, რომ საჭადრაკო კარიერის განმავლობაში მეცხრედ მოიგოს ლინარესის ტურნირი. მეათე ტურის პარტიაში მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონმა მეოთხე გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მან ტურნირის მასპინძელი ფრანსისკო ვალიეხო დაამარცხა. პარტიები: ვიშვანათან ანანდი-პეტერ ლეკო და მაიკლ ადამსი-რუსტამ კასიმჯანოვი ყაიმით დამთავრდა. სატურნირო მდგომარეობა ასეთია: კასპაროვი - 6,5 ქულა, ლეკო, ანანდი, ტოპალოვი - 4,5-4,5, ადამსი - 4, კასიმჯანოვი - 3,5, ვალიეხო - 2,5.

### ბექჰემი "იუვესთან" არ ითამაშებს

მადრიდის "რეალის" ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი, როგორც ჩანს, არ ითამაშებს ტურინის "იუვენტუსის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის განმეორებით შეხვედრაში, - იუწყება სააგენტო BBC. ინგლისელს ზურგის პრობლემები გაუჩნდა.

TV-სპორტი

### ორშაბათი. 7 მარტი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "იუვენტუსი"
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. "ჰერტა" - "კაიზერსლაუტერნი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ინგლისის ჩემპიონატი. "ნორვიჩი" - "ჩელსი"
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკო" - "სევილია"
19:40 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:25 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:20 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 იტალიის ჩემპიონატი. "ატალანტა" - "მილანი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 12:45, 15:45, 18:30 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
11:15 წყალში ხტომა. გერმანიის დიდი პრიზი. ქალები. სინქრონული ხტომები. კოშკურა. ქალები. ტრამპლინი 3 მ. ვაჟები. სინქრონული ხტომები. კოშკურა. ფინალები
13:00 ჩოგბურთი. დევისის თასი. პირველი წრე. რუსეთი - ჩილე. გადამწყვეტი მატჩი
15:15 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
16:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "SAN ANTONIO SPURS" - "UTAH JAZZ"
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ხოსე ლუის კასტილო - ხულიო დიასი
21:00 "ექო". ინფორმაციულ ანალიტიკური არხი
23:00 უშუ-სანდა. საერთაშორისო შეხვედრა. რუსეთი - დსთ
23:30 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი

**EUROSPORT**

10:30 მძლეოსნობა. ევროპის სადარბაზო ჩემპიონატი
12:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
14:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
15:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრიაში
17:15 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა, საფრანგეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
21:00 ფეხბურთი - აი, მესმის!
21:30 სუმო. შეჯიბრება იაპონიაში
22:30 მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი - ევროგოლები
01:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
02:00 ფეხბურთი - გ-ო-ო-ო-ლ!!!
02:15 ახალი ამბები
02:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში

ძიუდო

# გოგო-ბიჭები კიმონოში

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ძიუდოსა და საბრძოლო ხელოვნებათა სპორტული სკოლის პირველობაზე, რომელსაც შაბათს ვაკეში არსებულმა სასწავლო საწვრთნელო კომპლექსმა უმასპინძლა, სკოლის უძლიერესო ძიუდოისტი გოგო-ბიჭები (89-90 წლებში დაბადებული) გამოდიოდნენ.

ასპარეზობები რვა წონით კატეგორიაში გაიმართა და 148 ძიუდოისტი მონაწილეობდა, აქედან 132 ვაჟი და 16 გოგონა. განსაკუთრებული ყურადღება გოგონებისკენ იყო მიპყრობილი, ალბათ იმიტომ, რომ ქალთა ძიუდო ჩვენში ახლა იკიდებს ფეხს. შაბათის პირველობის არსი ის იყო, რომ პრიზიორებთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც სპორტსმენებზე მზრუნველობას (ფორმებით უზრუნველყოფა, უფასო ვარჯიში, შეკრებები თუ ტურნირებში მონაწილეობა) სკოლები აიღებენ საკუთარ თავზე.

რაგბი

# სამხრეთმა ჩრდილოეთი დაიპყრო

## რუმინეთისთვის კი საქართველო განსაკუთრებული მეტოქეა

პაატა თოთაძე

ბევრი დაგროვდა საწერი ამ უქმეებზე. შაბათს დიდი რაგბი იყო ლონდონში ცუნამით დაზარალებულთა დასახმარებლად. მომავალ შაბათს კი საქართველო-რუმინეთის მატჩი უნდა გაიმართოს. რაგბის მოყვარულთ აინტერესებთ ყველაფერი, რაც ამ ბრძოლას ეხება.

ჯერ ორი დღის წინანდელ თამაშზე ორიოდე სიტყვა და მერე საქართველოს მივხედოთ. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მატჩი თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე იქცა ფარსად. არა, ხალხი მაინც მივიდა სტადიონზე - რაც არ უნდა იყოს, ორი ნახევარსფეროს ბრძოლა იყო, მაგრამ ინტრიგა არ ახლდა თამაშს. თავიდანვე ნათელი იყო, რომ ჩრდილოეთი ვერაფერს გახდებოდა სამხრეთთან. და აი, რატომ: რაგბის საერთაშორისო საბჭომ იმ დროს დანიშნა თამაში, როცა ევროპაში გაგანია ექვსი ერია. ჰოდა, რომელი მწვრთნელი გაუშვებდა თავის წამყვან მოთამაშეს ნაკრებიდან? კლაივ ვუდვორდსაც სხვა რა გზა ჰქონდა - ისეთ ხალხს მოუყარა თავი, რომელთაგან ზოგს თავისი ქვეყნის ნაკრებშიც არ ეთამაშა.

თავდაპირველად, როცა მატჩის გამართვა გადაწყდა, მწვრთნელებმა მოახერხეს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის დასახელება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, დატოვეს ვუდვორდი მეორე და მესამეხარისხოვან მორაგბეთა იმედად. სამაგიეროდ სამხრეთმა გამოიჩინა თავი, ფრიად კარგ მოთამაშეებს მოუყარა თავი - ჯორჯ გრეგანი, ენდი მერთენსი, ჯონ სმიტი, ტოუტაი კეფუ, კრის ლეითემი, ბრაიან ლიმა, კარლ ჰოფტი, სემო სიტიტი. ერთი სიტყვით, სამხრეთს არ უნდა გასჭირვებოდა ჩრდილოელთა ძლევა.

არც გასჭირვებია. 54:19 - ასეთია მატჩის შედეგი. ჩრდილოელებმა მხოლოდ პირველი ტაიმის ნახევარი გაუძლეს მეტოქეს, მერე კი... სამხრეთელთა ანგარიშზე რვა ლელოა ჩრდილოელების სამის წინააღდეგ.



*სამხრეთელი ვარსკვლავები ბევრად მოხერხებულნი და ძლიერნი აღმოჩნდნენ.*

ახლა კი საქართველო-რუმინეთის მატჩზე ვისაუბროთ. თამაში შაბათსაა დანიშნული ეროვნულზე. ქართველთა შემადგენლობა კი ჯერაც უცნობია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, რამდენიმე მორაგბე ტრავმის გამო გამოგვაკლდეს. მწვრთნელები დღეს დააზუსტებენ ყველაფერს, ჩამომსვლელები დღეს ჩამოვლენ და შემადგენლობასაც ამის მერეღა შევიტყობთ.

რაც შეეხება რუმინელებს, მწვრთნელებმა ქართველთა წინააღმდეგ მატჩში უძლიერეს შემადგენლობას მოუყარეს თავი. მხოლოდ ოვიდიუ ტონიცა არ იქნება (ტრავმის გამო), თუმცა, რუმინელთათვის ერთი მორაგბის დაკლება უსაშველო სულაც არაა. მეტოქე მატჩის წინა დღეს, 11 მარტს გვეწვევა ჩარტერით და მეორე დღესვე დაბრუნდება შინ. რუმინელების ძლევა ბორჯღალოსნებმა ერთადერთხელ მოახერხეს - 2001 წელს და ისიც ბუქარესტში. იქნებ ახლა მაინც მოვახერხოთ თბილისში რუმინელთა დამარცხება და ბოლო წლებში მათ მიერ მოპოვებული ანთიმოზ ივერიელის თასისართმევაც. საგანგებოდ ამ მატჩისთვის მწვრთნელებმა გაბრიელ ბრეზოიანუს, პეტრუ ბალანს, მარუიშ ტინკუს, რომეო გონტინეაკს და ფლორინ კოროდეანუს უხმეს. რუმინელთა სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**შერკინების პირველი ხაზი -** პეტრუ ბალანი (ბიარიცი, საფრანგეთი), იონ პაულიკა (სტიაუა ბუქარესტი), მარიუშ ტინკუ (პო, საფრანგეთი), სეზარ პოპესკუ (ტარბი, საფრანგეთი), მარსელ სოკაჩიუ (როვიგო, იტალია), ბოგდან ბალანი (ბეგლ ბორდო, საფრანგეთი), რაზვან მავროდინი (ტარბი, საფრანგეთი), ბოგდან ზებეგა (სტიაუა ბუქარესტი)

**მეორე ხაზი -** სორინ სოკოლი (აჟენი, საფრანგეთი), გეორგე ოპრისორი (პერპინიანი, საფრანგეთი), პეტრე კრისტიანი (ტარბი, საფრანგეთი), ფლორინ ტატუ (სტიაუა, ბუქარესტი)

**მესამე ხაზი -** კოსტიცა მერსიუ (პერიგო, საფრანგეთი), ფლორინ კოროდეანუ (გრენობლი, საფრანგეთი), მარიან ტუდორი (პერიგო, საფრანგეთი)

**შერკინების ნახევარმცველები -** ლუსიან სირბუ (მეტრო რასინგი, საფრანგეთი), იულიან ანდრეი (სტიაუა, ბუქარესტი), ვალენტიან კალაფეტეანუ (დინამო, ბუქარესტი)

**თავისუფალი ნახევარმცველები -** იონუც ტოფანი (მეტრო რასინგი, საფრანგეთი), დარიე კურეა (სტიაუა, ბუქარესტი)

**გარე სამმეოთხედელები -** იოან ტეოდორესკუ (კლუჟი, საფრანგეთი), ვასილე გიოკი (დინამო, ბუქარესტი), კრისტიან საუანი (როვიგო, იტალია), სტეფან დუმიტრუ (სტიაუა, ბუქარესტი)

**შიდა სამმეოთხედელები -** რომეო გონტინეაკი (ორიაკი, საფრანგეთი), ვასილე მაფტეი (პრიაკი, საფრანგეთი), გაბრიელ ბრეზოიანუ (დაქსი, საფრანგეთი)

**მცველები -** დანუც დუმბრავა (სტიაუა, ბუქარესტი), ვლად დანი (მეტრორექსი, ბუქარესტი)

სათხილამურო სპორტი

# მაიერი ტომბას გაუტოლდა, მაგრამ სტენმარკობაზე არ ფიქრობს

გიგა გურასაშვილი

*უქმეები სამთომოთხილამურეთა სამყაროში ვაჟთა განკარგულებაში აღმოჩნდა. ქალები ისვენებდნენ. ნორვეგიის კვიტფიელში გათამაშებული მსოფლიოს თასის ეტაპები ჩქაროსნულ დისციპლინებს - დაშვებასა და სუპერგიგანტს დაეთმო. ორივე სახეობაში ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა გაიმარჯვა.*

საერთო ჩათვლის შარშანდელმა გამარჯვებულმა ჰერმან მაიერმა "ოლიმპიაბაკენის" 3035 მეტრი სიგრძის ტრასაზე უახლოეს მდევარს, თანაგუნდელ მარიო შეიბერს 0,13 წამით აჯობა და დუბლისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. არადა, ჩქაროსნულ დისციპლინათა დიდოსტატს უკვე დავიწყებული ჰქონდა მსოფლიო თასზე გამარჯვებათა გემო. თუ მიმდინარე სეზონის დაშვებათა შედეგებს გადავავლებთ თვალს, გამარჯვებულთა შორის მაიერის სახელს ვერ ამოვიკითხავთ. შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორი კი სწორედ ის გახლდათ.

მეორე-მესამე ადგილები მარიო შეიბერმა და შვეიცარიელმა ამბროსი ჰოფმანმა დაიკავეს.

მაიერმა, წინა დღის მსგავსად, სუპერგიგანტშიც გამოიდო თავი, თანაც, ისე, რომ მდევრებზე - შვეიცარიელ დიდიე დეფაგოსა და ამერიკელ დარონ რალვზე თითქმის წამით უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა (ისინი, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ).



*მაიერმა დაშვებასა და სუპერგიგანტს გადაუქროლა.*

ავსტრიელისთვის სუპერგიგანტში გამარჯვება იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ მსოფლიო თასის წარმატებათა ნუსხაში გუშინდელი მოგება რიგით 50-ე აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მაიერი ამავე რანგის ასპარეზობათა ყველაზე წარმატებულ მოთხილამურეთა შორის იტალიელ ლეგენდას ალბერტო ტომბას გაუტოლდა, რომელიც, თავის მხრივ, მსოფლიო თასის გათამაშებათა ისტორიაში მეორე ყველაზე წარმატებულ მოთხილამურედ ითვლება.

"იმედი მაქვს, კიდევ მოვიგებ, - აცხადებს 32 წლის ყოფილი კალატოზი ჰერმან მაიერი. - მე უფრო ახალგაზრდა ვარ, ვიდრე ტომბა, როდესაც მან 50-იან ნიშნულს მიაღწია".

ამ მხრივ (მოგებული ეტაპების რაოდენობის მხრივ) ვაჟთა შორის პირველი ადგილი უკავია შვედ დიდოსტატს ინგემარ სტენმარკს, რომელმაც კარიერის დასრულებამდე (1989 წლამდე) მსოფლიო თასის ეტაპები 86-ჯერ მოიგო, რაც, მაიერის თქმით, მისთვის მიუღწეველია.

შაბათ-კვირას მაიერის მიერ მოპოვებული გამარჯვებები იმასაც ნიშნავს, რომ ავსტრიელს მიეცა მცირე, მაგრამ მაინც შანსი იმისა, რომ საერთო ჩათვლის ტიტული შეინარჩუნოს. თუმცა, როგორც თავად ამბობს, "ჩემთვის უკვე საკმაოდ გვიანია საერთო ჩათვლაში პირველობისთვის ბრძოლა. ცოტა მეტი ეტაპი რომ იყოს დარჩენილი, შესაძლოა, რამე გამომსვლოდა კიდეც".

ფინალები ოთხშაბათს შვეიცარიაში აიღებს სტარტს და მალევე გაარკვევს გამარჯვებულის ვინაობას.



ნინო ტიკარაძე

### გალიაში გამომწყვდეული ფეხბურთელები

მოგეხსენებათ, ახალგაზრდა ფეხბურთელები (ახალგაზრდული ნაკრების ბიჭებს ვგულისხმობ, თორემ არც ეროვნული გუნდის ფეხბურთელები არიან ხანდაზმულები, ძირითადად, რა თქმა უნდა!) თავიანთ ასაკთან შედარებით, საკმაოდ დიდ ფულს შოულობენ. ასეთი მდგომარეობა უმეტესობას თავბრუს ახვევს ხოლმე. მათაც შეცდომები მოსდით, ხანდახან საბედისწერო და გამოუსწორებელი.

ასე დაემართა "მანჩესტერ იუნაიტედის" ორ ფეხბურთელს - 19 წლის კალუმ ფლენაგანსა და 20 წლის მადს ტიმს, რომლებსაც გუნდის ძირითად შემადგენლობაში ერთხელაც არ უთამაშიათ (შეიძლება ვერც ვერასდროს ითამაშონ).

მოკლედ, ასე. ბიჭებმა სწრაფი მანქანები შეიძინეს და გადაწყვიტეს, ერთად გაესეირნათ (ადვილი წარმოსადგენია, როგორ "გასეირნებასაც" მოაწყობდა სწრაფი მანქანების საჭესთან მჯდომი ორი ახალგაზრდა!).

უაზრო ხეტიალი რომ ყელში ამოუვიდათ, კონკრეტული მიზანი დაისახეს - შეჯიბრება. როცა ფლენაგანი თავისი "Honda Civic"-ით ტიმის "Mitsubishi Evolution"-ის დაწევას ცდილობდა, კონტროლი დაკარგა, საჭე ვეღარ დაიმორჩილა და შეეჯახა წინ მიმავალ "Ford Fiesta"-ს, რომელსაც ახალგაზრდა გოგონა მართავდა.

სხვათა შორის, ფლენაგანის მანქანაში კიდევ ერთი მანჩესტერელი - ფილ მარში იმყოფებოდა.

შედეგები: 25 წლის ენჯელი ბურნის მანქანის შეკეთება შეუძლებელია, არც თავად პატრონია მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში: მრავალ მცირე დაზიანებასთან ერთად, თეძოს ძვალი აქვს მოტეხილი. მარში კი ფეხის მრავლობითი მოტეხილობის გამო ინვალიდის სავარძელს მიეჯაჭვა.

"მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელები თავქარიანებს მაშინვე გაუსწორდნენ - ფლენაგანი გუნდიდან გააძევეს, ტიმი კი ჯერ გასაყიდად გაწირეს, მაგრამ ვერ გაიმეტეს და უკანვე მოაბრუნეს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი დიდხანს ვერ მოახერხებს თამაშს, რადგან ხუთშაბათს გამართულმა სასამართლომ მას თორმეტთვიანი პატიმრობა მიუსაჯა, მასზე ერთი წლით უმცროს ფლენაგანს კი - რვათვიანი.

აი, ასეთი ამბავი დაემართათ "მანჩესტერსა" და მანჩესტერელებს.

### ზინედინ ზიდანმა ბრედ პიტს ტოლი არ დაუდო

ფრანგულმა კვლევითმა ორგანიზაციამ "BVA" პლანეტის ყველაზე სიმპათიური მამაკაცის გამოსავლენად საფრანგეთის მოსახლეობაში ჩაატარა გამოკითხვა. დაძაბულ და დაუნდობელ ბრძოლაში პირველი ადგილი დაიკავა ქალთა გულთამპყრობელმა, ჰოლივუდელმა ტომ კრუზმა. მეორე და მესამე ადგილები ჯორჯ კლუნიმ და რიჩარდ გირმა გაინაწილეს. არანაკლებ პოპულარულ ბრედ პიტს ფრანგებმა მოწინავე რიგებში განთავსებაზე დიდი უარი შეუთვალეს.

ყურადღების გარეშე არც სპორტსმენები დარჩნენ. ასე მაგალითად, საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველს, მეტსახელად ზიზუს, იგივე ზინედინ ზიდანს შესანიშნავი ფეხბურთელისა და მეტად სიმპათიური მამაკაცის ტიტული მიანიჭეს და მეექვსე ადგილზე გაუშვეს.

აი, თურმე რატომ არის ხოლმე ტრიბუნები გადაჭედილი, როცა მოედანზე ზიზუ უნდა გამოვიდეს. ფრანგი ნახევარმცველი ხომ ცხოვრებაშიც ისეთივე სიმპათიურია, როგორც მოედანზე. ამიტომაც, რა გასაკვირია, სტადიონზე მისმა ურიცხვმა თაყვანისმცემელმა რომ მოიყაროს თავი.

ამჟამად მათი კერპი ტრავმირებულია ("დეპორტივოსთან" მატჩში დაშავდა). "რეალის" ექიმები ფრანგი ლეგიონერის გამოჯანმრთელების კონკრეტულ ვადებზე ჯერ კიდევ ბჭობენ.

და რა უნდა აკეთოს ზიდანმა მათი გადაწყვეტილების მოლოდინში? რითი დაიმშვიდოს თავი? პასუხი მარტივია. იფიქროს, რამდენ თაყვანისმცემელს უკარგავს მოსვენებას მისი მშვენიერი ფიგურა და დროის გაყვანის პრობლემაც მაშინვე მოგვარდება.

სიმართლე თუ გინდათ გითხრათ, რა ჩემი საქმეა ზიდანის ფიქრების განკარგვა?!

### ცემა თუ არცემა?..

ბოლო დროს სპორტსმენებისგან ყველაფერს უნდა მოელოდე ადამიანი. ჩხუბი ხომ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. როცა საქმე ეხება მაიკ ტაისონს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ფეხბურთელის ჩხუბი ყოველთვის საინტერესო და დამაინტრიგებელია. მით უმეტეს, თუ ეს ფეხბურთელი ერთ-ერთი ძლიერი გუნდის კაპიტანია. საუბარია "მანჩესტერ იუნაიტედის" ირლანდიელ წინამძღოლზე როი კინზე, რომელსაც ორშაბათს 16 წლის მოზარდზე თავდასხმაში დასდეს ბრალი.

პოლიციის განცხადებით, დანაშაული მოხდა შარშან, სექტემბერში, მანჩესტერში, კინის სახლთან ახლოს.

თავად ფეხბურთელი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მტყუან-მართლის გარჩევა სასამართლოს მივანდოთ და უდანაშაულო (ან იქნებ დამნაშავე) როი კინზე მოგვიანებით ვიმსჯელოთ.

### დევიდ ბექჰემი და ქათმის კვერცხი

სათაურმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ. არ გეგონოთ, დევიდ ბექჰემის საყვარელ კერძებზე ან საყვარელ შინაურ ფრინველებზე ვაპირებ საუბარს. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი მაინტერესებს და არც მეორე. ქათმის კვერცხი სულ სხვა მიზნით ვახსენე.

ფეხბურთის მოყვარულებს მოეხსენებათ, რომ გასულ კვირას ესპანეთის ჩემპიონატის "დეპორტივოს" წინააღმდეგ მატჩში მადრიდის "რეალი" დამარცხდა (0:2).

თამაშის შემდეგ სასტუმროში (სადაც მისი გუნდი იყო გაჩერებული) დაბრუნებისას, "სამეფო კლუბის" მორიგი ფიასკოთი გაბრაზებულმა გულშემატკივარმა ინგლისელ ფეხბურთელს, არც მეტი, არც ნაკლები, ქათმის კვერცხი ესროლა. მსროლელისთვის სამწუხაროდ და ბექჰემისთვის საბედნიეროდ, მფრინავი ობიექტი მიზანს აცდა და სამიზნის ფეხებთან დაენარცხა.

ერთ-ერთი მოწმის, ჟურნალ "Sun"-ს განცხადებით, "უცნობის მიერ გაკეთებული გადაცემა ოდნავ არაზუსტი გამოდგა. მილიმეტრებით აცდა "კარს".

საინტერესო უნდა იყოს ისიც, რომ ერთხელ ბექჰემის მეუღლემ ვიქტორიამ ჟურნალისტებს გაანდო, რომ მეუღლეს მოფერებით "ოქროს კვერცხს" ეძახის. ალბათ, ამიტომ აირჩია წაგებით განრისხებულმა გულშემატკივარმა დასასჯელ იარაღად კვერცხი და არა, მაგალითად, პამიდორი.

### ქალის გულის დაპყრობის გალანტესეული მეთოდები

სულ ცოტა ხნის წინათ იტალიელ ქალბატონებს ძალიან დაწყვიტა გული ორი ფლეიბოის: ფრანჩესკო ტოტისა ("რომა") და ფაბიო ბაძანის ("ლაციო") ნიშნობის ამბავმა. თუმცა, "გლოვა" დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მათ და მათთან ერთად იტალიურ პრესასაც დაკვირვების ახალი ობიექტი გაუჩნდათ - "ლივორნოს" მცველი ფაბიო გალანტე და მისი პირადი ცხოვრება.

არჩევანის ახსნაც შეიძლება. ზემოხსენებულ ადამიანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კრისტიან ვიერისა და ელიზაბეტ კანალისის რომანი უკვე ყველას ყელში ამოუვიდა. მათი ურთიერთობა, რომელიც ძალიან დაემსგავსა "საპნის ოპერას", ფართო საზოგადოებისთვის სრულიად უინტერესო გახდა.

სამაგიეროდ, ახალი და დამაინტრიგებელია გალანტეს სასიყვარულო თავგადასავლები. მის მიერ მონადირებულთა შორის არიან ცნობილი ლამაზმანები, მაგალითად, მანუელა არკური და ლაურა ფრედი.

ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმა ფეხბურთელის პოპულარობის საიდუმლოს გაგება გადაწყვიტეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამის მისაღწევად დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, რადგან გალანტემ, რომელიც გულღია ადამიანი გამოდგა, თავად გაანდო მათ სასურველი ქალის გულის დაპყრობის მისეული მეთოდები.

ისმინეთ და დაიმახსოვრეთ (თუმცა, მაინცდამაინც ნუ ენდობით!)

"პირველი: მთავარია, შენი მშვენიერი პარტნიორის სახელი არაფერში არ აგერიოს. მეორე: სასურველია ისეთი ფრაზებითა თუ სიტყვებით მიმართო მას, როგორიცაა, მაგალითად, "ჩემო მარწყვო", "სიმდიდრევ" ან, უბრალოდ, "სიყვარულო". და მესამე: მისთვის მუდამ სასურველი უნდა იყო. სულ ეს არის!"

აი, წარმატების მიღწევის რამდენიმე მეთოდი გამოცდილი ფლეიბოისგან. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი მამაკაცი მიაღწევს სასურველს შედეგს, თუ ეს მთელი გულით უნდა.

# „მზის კოშკი" - ელექტროენერგიის ახალი, ალტერნატიული წყარო


სოლარ ტაუერის დანახვა 150კმ-დანაც შესაძლებელი იქნება.





მანსანარესში აგებული მზის 200 მეტრიანი კოშკი.

ეკოლოგიურად სუფთა გზით ელექტროენერგიის გამომუშავების თვისობრივად ახლებურ გზას გვთავაზობს ავსტრალიური კომპანია "ენვირომიშნ ლიმიტედი", რომელსაც უკვე დიდი ხანია, დამუშავებული აქვს პროექტი სახელად "სოლარ ტაუერ". ეს პროექტი ჩვენს პლანეტაზე ენერგიის ალტერნატიული წყაროს შექმნის ყველაზე ამბიციური პროექტია და ის ითვალისწინებს კილომეტრის სიმაღლის მქონე კოშკის აგებას.

ელექტროენერგიის მისაღებად მასში ჩვეულებრივი ტურბინის გამოყენებაა გათვალისწინებული, თუმცა ამ პროცესში სრულებით არ დაბინძურდება გარემო. პირიქით, დაბინძურებული ჰაერი მიწის ზედაპირიდან კილომეტრის სიმაღლეზე გადაადგილდება და იქ დარჩება. თუ პროექტი განხორციელდა, აიგება თერმული ელექტროსადგური, რომლის სიმაღლე დაახლოებით ორჯერ მეტი იქნება დღეისათვის ყველაზე მაღალი ნაგებობის, კანადის ქალაქ ტორონტოში მდებარე სატელევიზიო ანძა "CN ტაუერისაზე".

პროექტი "სოლარ ტაუერ" რამდენიმე წლის წინ შეიქმნა, მაგრამ სიძვირის გამო, აქამდე მისი განხორციელება ვერ ხერხდებოდა. თუმცა, როგორც ავსტრალიური მასმედია იუწყება, საქმე უკვე დაიძრა მკვდარი წერტილიდან და შორს არც ის დროა, როცა "მზის კოშკის" მიერ მიღებულ ელექტროენერგიას პირველი მომხმარებელი მიიღებს.

კილომეტრიანი კოშკის გარდა, ელექტროსადგურის სტრუქტურაში შევა 7 კილომეტრი დიამეტრის მქონე ერთგვარი სათბური, რომელშიც მზის სხივების ენერგია ჰაერის გასათბობად გამოიყენება. გამთბარი ჰაერი დახურულ სივრცეში მიემართება კოშკის ყელისკენ, რომელშიც განლაგებულია ტურბინა. კოშკის ყელში ჰაერის ნაკადის სისწრაფე იმდენად იზრდება, რომ მას ტურბინა მოძრაობაში მოჰყავს. რეაქტორი 24 საათის განმავლობაში იმუშავებს, რადგან სათბურში გამოყენებული მზის ელემენტები სხივის ენერგიას დააგროვებენ, რომლის გამოყენებაც ღამის განმავლობაში მოხდება. მოკლედ, წლის განმავლობაში არ იქნება თუნდაც ერთი წუთი, რომლის დროსაც ელექტროსადგური ვერ შეძლებს ელექტროენერგიის გამომუშავებას.

სხვათა შორის, "ენვირომიშნმა" უკვე შეიძინა 10 ჰექტარი ფართობი ავსტრალიის ახალ სამხრეთ უელსში (ეს დაუსახლებელი ტერიტორიაა), რომელზეც "სოლარ ტაუერის" აგებაა გადაწყვეტილი. და როცა ის აშენდება, შესაძლოა, ამით კაცობრიობის ისტორიაში, ენერგიის ალტერნატიულ საშუალებათა გამოყენების ახალი ერა დაიწყოს.

კომპანია "ენვირომიშნის" აღმასრულებლის, როჯერ დეივის განცხადებით, "მზის კოშკის" მშენებლობა წელსვე დაიწყება და სავარაუდოდ, მერმის პირველ ნათურებს აანთებს. აღსანიშნავია, რომ პროექტის თავდაპირველ ღირებულებად 2 მილიარდ დოლარს ასახელებდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში, ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ფასი ჯერ 750 მილიონ დოლარამდე ჩამოვიდა, შემდეგ კი - ნახევარ მილიარდამდე. დეივი არ ასახელებს პროექტის კონკრეტულ ღირებულებას, თუმცა აცხადებს, რომ მისმა კომპანიამ შეიმუშავა ორი საინჟინრო ნოვაცია, რომელთა წყალობითაც, მნიშვნელოვნად შემცირდება ელექტროსადგურის მშენებლობის ფასი.

სხვათა შორის, "სოლარ ტაუერისთვის" ახლა შესაფერისი დრო დადგა, რადგან ნავთობის ფასმა არნახულ ზღვარს მიაღწია (50 დოლარი ბარელში), რის გამოც რიგი ქვეყნები ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროების ფართოდ გამოყენებაზე დაფიქრდნენ.

წინასწარი გაანგარიშებით, "სოლარ ტაუერის" სიმძლავრე 200 მეგავატი (მგვტ) იქნება, რაც დაახლოებით 200 ათას სახლს უზრუნველყოფს ელექტროენერგიით და ატმოსფეროს დაახლოებით 830 ათასი ტონა ნახშირორჟანგის გამონაბოლქვისგან იხსნის.

სადგურის სათბურში გახურებული ჰაერის მუშა ტემპერატურა ცელსიუსით 70 გრადუსს მიაღწევს, ტურბინასთან ჰაერის სიჩქარე კი 15 მეტრს/წამში. ჰაერის ნაკადს წარმოქმნის ტემპერატურის სხვაობა კოშკის ძირსა და კენწეროს შორის, სადაც ჰაერი დიდი სიჩქარითაც მოძრაობს. ეს პარამეტრები მთელი დღის განმავლობაში მუდმივად შენარჩუნდება და სადგურის სტაბილურ მუშაობას უზრუნველყოფს.

პროექტის ავტორები ირწმუნებიან, რომ "სოლარ ტაუერზე" გაწეული ხარჯები ათ წელიწადში სრულად დაიფარება. სხვათა შორის, ამ გათვლებში ნაგულისხმებია ისიც, რომ კოშკი დიდი რაოდენობით ტურისტებსაც მიიზიდავს. ჯერ ერთი, კარგი ამინდის დროს მისი დანახვა 150 კილომეტრის სიშორიდანაც შესაძლებელი იქნება. მეორეც, კოშკის კენწეროში მოთავსდება სათვალთვალო პუნქტი, საიდანაც გადმოხედვას უამრავი ტურისტი მოისურვებს. ამას მოჰყვება ახლომდებარე რაიონებში სასტუმროების და გასართობი კომპლექსების მშენებლობა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

უნდა ითქვას ისიც, რომ ელექტროსადგურის მომსახურების ხარჯები მინიმალური იქნება. მის მუშაობას სულ 15 ადამიანი გააკონტროლებს. ეს მაშინ, როცა იმავე კოშკზე, ტურისტების მომსახურებისთვის შტატი 30 თანამშრომლის აყვანას ითვალისწინებს.

რაც მთავარია, კოშკური ელექტროსადგურის ტექნოლოგია უკვე აპრობირებულია და კარგად შესწავლილიც. კერძოდ, 1981 წელს, გერმანულმა კომპანია "შლაიხ ბერგმან უნდ პარტნიორმა", ესპანეთის მანსანარესში ააგო მცირე ზომის, დაახლოებით 200-მეტრიანი ექსპერიმენტული კოშკი, რომლის სიმძლავრე სულ რაღაც 50 კილოვატი (კვტ) იყო. სადგურმა 7 წელი იმუშავა და მას შემდეგ გაჩერდა, რაც ბარელი ნავთობის ფასი 15 დოლარამდე ჩამოვიდა, რის გამოც, უფრო დიდი სადგურის მშენებლობის სურვილი არავინ გამოთქვა.

არადა, "მზის კოშკისთვის" მთავარი სწორედ მისი სიმაღლეა - რაც მაღალია კოშკი, მით უფრო დიდია მისი ეფექტურობა (მით უფრო დიდი სხვაობა ჰაერის ტემპერატურებს შორის კოშკის ძირსა და მის კენწეროში). თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ბირთვულ საწვავზე მომუშავე რეაქტორებზე. ოღონდ, ამ შემთხვევაში, რაც უფრო დიდია სადგური, მით მეტია მისი აფეთქების საშიშროება. სამწუხაროდ, ამის მიუხედავად, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები უპირატესობას მაინც ატომურ ელექტროსადგურებს ანიჭებენ მათი კომპაქტურობის გამო.

გარდა იმისა, რომ თავისი პროექტის ავსტრალიაში განხორციელებას იწყებს, "ენვირომიშნმა" კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთ ჩინურ კომპანიასთან, რომელსაც ჩინეთში რამდენიმე კოშკის აგება აქვს განზრახული. "ახლო მომავალში ჩინეთს უზარმაზარი რაოდენობით ელექტროენერგია დასჭირდება და სასიხარულოა, რომ ეს ქვეყანა აქცენტს განახლებად, ეკოლოგიურად სუფთა წყაროებზე აკეთებს", - ამბობს დეივი და დასძენს, რომ მისი კომპანიის მიერ შემუშავებული პროექტის გამოყენება მისწრება იქნებოდა სამრეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ასევე აშშ-ის სამხრეთდასავლეთ რეგიონში, სადაც "სოლარ ტაუერისთვის" შესანიშნავი ბუნებრივი პირობები არსებობს.

ამერიკის მზის ენერგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი ბრედ კოლინზი ამბობს, რომ აშშ-ის დასავლეთის შტატების ხელმძღვანელებს, უახლოეს მომავალში მზისგან 1000 მეგავატი ელექტროენერგიის გამომუშავება სურთ. თუმცა, დღეს ამერიკელები მაინც ენერგიის ამოწურვად წყაროებზე აკეთებენ აქცენტს და ამ მიზნით, რომ იტყვიან, უმოწყალოდ იყენებენ ნავთობს, რისთვისაც სტრატეგიული დანიშნულების მქონე, კონსერვირებული ნავთობსარეწებიც კი განაახლეს. კოლინზი კი იმედოვნებს, რომ "სოლარ ტაუერის" ავსტრალიასა და ჩინეთში ამოქმედება ენერგეტიკის ამერიკელ მესვეურებსაც აუხელს თვალს და მის ქვეყანაშიც აშენდება "მზის კოშკები".

# მეცნიერებმა „მზის მინიატურული სისტემები" დააფიქსირეს

## სამყაროში ალმასის პლანეტებიც არსებობს


განსხვავება მზისა და ყავისფერი ჭუჭას სისტემებს შორის.


ყავისფერი ჭუჭას პლანეტარული სისტემის კომპიუტერული სურათი.

### ყავისფერი ჭუჭას სისტემა

კემბრიჯის ჰარვარდ-სმიტსონის ასტროფიზიკის ცენტრის მეცნიერებმა და მათმა ხელმძღვანელმა კევინ ლაჰმანმა გამოაცხადეს მათ მიერ გაკეთებული აღმოჩენის შესახებ, რომელიც რადიკალურად ცვლის წარმოდგენებს პლანეტარული სისტემების (მათ შორის, რომლებზეც შეიძლება სიცოცხლე არსებობდეს) ჩამოყალიბების შესახებ.

კერძოდ, ადრე მიჩნეული იყო, რომ პლანეტარული სისტემები, მით უმეტეს, ისეთები, რომლებზეც შეიძლება სიცოცხლის არსებობისთვის საჭირო გარემო წარმოიქმნას, ყალიბდება ისეთი ვარსკვლავების გარშემო, რომლებიც კლასიფიკაციის (მასა, სპექტრი, გამოსხივების ინტენსიურობა) მიხედვით, ახლოს არიან მზესთან. ჰარვარდ-სმიტსონის ცენტრის მეცნიერთა მიერ გაკეთებული აღმოჩენა კი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ პლანეტარული სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს ეგრეთ წოდებული ჯუჯა ვარსკვლავების ირგვლივ, რომელთა მასა სულ რაღაც 15-70-ჯერ მეტია იუპიტერისაზე.

ლაპარაკია ეგრეთ წოდებულ ყავისფერ ჯუჯებზე, რომლებიც არასრულფასოვან, ჩამქრალ ვარსკვლავებად არიან მიჩნეულნი და მათზე არ ხდება თერმობირთვული რეაქციები, რის გამოც, მათი ზედაპირი შედარებით დაბალ (ვარსკვლავური საზომებით) ტემპერატურამდეა გახურებული. ამ ტემპერატურას განაპირობებს გრავიტაციული მიზიდულობის ძალის ზემოქმედებით გამოწვეული კუმშვითი პროცესები. რაც შეეხება ჯუჯების მასას, ამ პარამეტრის მიხედვით, ისინი ახლოს არიან დიდ პლანეტებთან.

ლაჰმანი და მისი კოლეგები დაკვირვებას ახორციელებდნენ ორბიტალურ ტელესკოპ "სპიტცერის" მეშვეობით, რომელიც ციურ სხეულებს ინფრაწითელ დიაპაზონში იკვლევს. მათი ყურადღების ქვეშ მოქცეული იყო ყავისფერი ჯუჯა ინდექსით OTS 44, რომლის მასა 15-ჯერ მეტია იუპიტერისაზე და რომელიც ჩვენგან 500 სინათლის წლითაა დაშორებული.

დაკვირვების დროს მეცნიერებმა აღმოაჩინეს ჯუჯას ირგვლივ მოძრავი პროტოპლანეტარული, ბადროს ფორმის სხეული, რომელიც ინფრაწითელ სპექტრში უფრო მკვეთრად ჩანდა, ვიდრე მის ცენტრში მდებარე ჯუჯა ვარსკვლავი. აღსანიშნავია, რომ ადრე მსგავს პროტოპლანეტარულ სისტემებს აფიქსირებდნენ უფრო დიდ, იუპიტერზე 25-33-ჯერ დიდი ზომის ყავისფერი ჯუჯების ირგვლივ.

როგორც წესი, პროტოპლანეტარულ სისტემაში, ცენტრის ირგვლივ მოძრავი კოსმოსური მტვრის, ყინულისა და ლოდების საერთო მასა, ჯუჯას მასის 10 პროცენტს შეადგენს. ესე იგი, ბადროში საკმაოზე ბევრია მასალა იმისათვის, რომ შეიქმნას დედამიწის, მარსისა და ვენერას ზომის რამდენიმე პლანეტა. თვითონ ჯუჯას ზედაპირზე ტემპერატურა დაახლოებით 2 ათას გრადუსს შადგენს (ცელსიუსით), რაც იმას ნიშნავს, რომ მისგან 1.5-7 მილიონი კილომეტრით დაშორებული პლანეტის ზედაპირზე წყალი თხევად მდგომარეობაში იარსებებს.

სწორედ ამ დიაპაზონშია განლაგებული ბადრო, რომელიც გარს აკრავს ყავისფერ ჯუჯას. ანუ, ასტრონომებმა ეს სისტემა დააფიქსირეს მაშინ, როცა იქ მზის სისტემის მსგავსი პლანეტარული სისტემა ყალიბდება.

"ჩვენ ვთვლიდით, რომ პლანეტები წარმოიქმნება ჩვენი მზის მსგავსი ვარსკვლავების ირგვლივ, მაგრამ ჩვენ მიერ დაფიქსირებული სისტემიდან გამომდინარე, შეიგვიძლია განვაცხადოთ, პლანეტები ყავისფერი ჯუჯას გარშემოც წარმოიქმნება. მოკლედ, სამყაროში მინიატურული მზის სისტემებიც არსებობს", - ამბობს ლაჰმანი.

მოკლედ, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჯუჯას გარშემო სრულფასოვანი პლანეტარული სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს, სისტემა, რომლის ერთ-ერთ პლანეტაზეც, ადრე თუ გვიან, სიცოცხლის არსებობისთვის საჭირო გარემოც ჩამოყალიბდება და...

### პულსარის სისტემა

პარალელურად, ასტრონომებმა აღმოაჩინეს პლუტონის მეხუთედი ზომის პლანეტისებრი სხეული (მათ ხშირად პლანეტოიდებსაც უწოდებენ), რომელიც ყველაზე მცირე სხეულია მათ შორის, მზის სისტემის მიღმა რომ დაფიქსირდა.

ეს ობიექტი მოძრაობს ჩამქვრალი, ნეიტრონული ვარსკვლავის ირგვლივ, რომელიც საკუთარი ღერძის გარშემო დიდი სისწრაფით ბრუნავს. ასეთი ვარსკვლავები პულსარების სახელითაა ცნობილი. აღნიშნული პულსარის გარშემო, ჩვენი პლანეტის ზომის კიდევ სამი ობიექტი მოძრაობს. სისტემას პულსარის წრეს უწოდებენ და მასში მოძრავი პლანეტოიდების ორბიტები თავისი ზომით დაახლოებით მერკურის, ვენერასა და დედამიწის ორბიტების ზომისაა.

ოთხივე პლანეტოიდი კლდოვანი მასისგან შედგება და მიჩნეულია, რომ მათზე სიცოცხლის არსებობისათვის საჭირო პირობები არ არსებობს. ეს იმიტომ, რომ პულსარმა დიდი ხნის წინ, უზარმაზარი აფეთქებით დაასრულა ნორმალური ვარსკვლავური არსებობა.

ახალაღმოჩენილი ობიექტი, რომელიც პლანეტა პლუტონის მეხუთედი ზომისაა, პულსარის გარე სარტყელში, მისი ცენტრიდან დაახლოებით იმ მანძილზე მდებარეობს, რომელიც აშორებს მზისგან ეგრეთ ზოდებულ ასტეროიდულ სარტყელს. შედარებისთვის, სტეროიდული სარტყელი მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის მდებარეობს.

აღნიშნული პულსარის სახელწოდებაა PSR B1257+12 და ის ჩვენგან დაახლოებით 1500 სინათლის წლით დაშორებულ, ვირგოს სახელით ცნობილ თანავარსკვლავედში მდებარეობს. ამ პულსარის სისტემა და მასში შემავალი პლანეტები ყველაზე მეტად ჰგავს ჩვენი სისტემის პლანეტების აგებულებას.

უნდა ითქვას, რომ ასტრონომების მიერ დაფიქსირებული იმ 130 პლანეტიდან, რომლებიც მზის სისტემაში არ მოძრაობენ, უმეტესობის აგებულება გაზისებრია და მათი უმეტესობა იუპიტერზე გაცილებით დიდი ზომისაა, ყველაზე პატარა კი დაახლოებით 14-ჯერ დიდია დედამიწაზე.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამგვარი პულსარებიდან შეიძლება შემოდიოდეს მზის სისტემაში დიდი ზომის ასტეროიდები, რომლებსაც ხშირად მეცნიერები პლანეტოიდებადაც მიიჩნევენ. ეს მაშინ ხდება, როცა პულსარები ახლოს ჩაიქროლებენ მზის სისტემასთან. ამ დროს, ჩვენი ვარსკვლავის მიზიდულობის წყალობით, პულსარის გარშემო მბრუნავი სხეული კარგავს თავის ტრაექტორიას და კუიპერის სარტყელში (ეს სარტყელი გარს აკრავს მზის სისტემას) გადმოდის. შესაძლოა, სწორედ ამგვარი პულსარისგან "მოპარული" პლანეტოიდი იყოს სედნა, რომელმაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა ასტრონომებს.

### ალმასის პლანეტები

ჩვეულებრივ, მზის სისტემის პლანეტების უმეტესობა სილიკატებისგან, კლდოვანი მასისგან შედგება, მაგრამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სამყაროში არსებობს ისეთი პლანეტებიც, რომელთა აგებულებაში მთავარი ნივთიერება ნახშირბადია. ჰოდა, ამგვარი პლანეტების სიღრმეში, სადაც მაღალი წნევის გარემოა, ნახშირბადის შრეები ალმასად გარდაიქმნება. ასეთი ალმასების ფენის სისქე კი შეიძლება რამდენიმე მილსაც აღწევდეს.

პრინსტონის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ამგვარი პლანეტების არსებობა მას შემდეგ ივარაუდეს, რაც შესწავლილ იქნა ჩვენს პლანეტაზე ჩამოვარდნილი ქვები, რომლებსაც მეცნიერები ნახშირბადოვან ქონდრიტებს უწოდებენ. მათში პოულობდნენ გრაფიტსა და არცთუ იშვიათად, ალმასის მცირე ნატეხებსაც კი.

ადრე ნავარაუდები იყო, რომ ეს ქვები ასტეროიდების ნატეხებს წარმოადგენდა. მაგრამ მათი დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ისინი პლანეტების ნამსხვრევებია, იმ პლანეტებისა, რომლებსაც ალმასის მრავალკილომეტრიანი შრეები უნდა ჰქონდეს.

მზის სისტემაში პლანეტები იმ გაზისა და მტვრის ნაწილაკების შეერთების შედეგად წარმოიქმნა, რომლებიც მზის ჩამოყალიბების შემდეგ დარჩა. შესაძლოა, გალაქტიკის სხვა რეგიონებში, სადაც დიდი რაოდენობით იყო ნახშირბადი, ჟანგბადი კი თითქმის არ არსებობდა, პლანეტები სწორედ ნახშირბადისგან ჩამოყალიბდა.

მეცნიერები იმასაც ვარაუდობენ, რომ სწორედ ამგვარი პლანეტებისგან შედგება ზემოთ ნახსენები პულსარ PSR B1257+12-ის სისტემა. ამასთან, ალმასის პლანეტები უნდა არსებობდეს ჩვენი გალაქტიკის ცენტრის სიახლოვესაც, ირმის ნახტომის განაპირა რეგიონში, სადაც გაცილებით მეტი ნახშირბადია, ვიდრე ჩვენთან.

# კაცობრიობა ქვეყნიერების დასასრულს გადაურჩა

ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის ბოლო დღე შეიძლებოდა ყოფილიყო 2004 წლის 27 დეკემბერი, როცა ჩვენი გალაქტიკის იმ სექტორში, სადაც მშვილდოსნის თანავარსკვლავედი მდებარეობს, მოხდა ნეიტრონული ვარსკვლავის არნახულად მძლავრი აფეთქება. ეს აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ რამდენიმე თანამგზავრმა და ასტრონომიულმა ცენტრმაც კი დააფიქსირა.

ციურ სხეულებზე დაკვირვების ისტორიაში, მეცნიერებს აქამდე არასოდეს დაუფიქსირებიათ ასეთი მასშტაბური აფეთქება. ის მხოლოდ ორ მეასედ წამს გრძელდებოდა, მაგრამ ამ მეტად მცირე დროის განმავლობაში, გამოაფრქვია იმდენი ენერგია, რამდენსაც მზე 250 ათასი წლის განმავლობაში გამოყოფს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აფეთქება ჩვენგან არც ისე შორს (კოსმოსური მასშტაბით), დაახლოებით 30 სინათლის წლის დაშორებით მოხდა. მანძილი 10 სინათლის წელი რომ ყოფილიყო, ეს აფეთქება ჩვენი პლანეტისთვის დამღუპველი იქნებოდა - განადგურდებოდა ატმოსფერო, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ბიოლოგიური ორგანიზმების მასობრივი მოსპობა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის წამყვანი ასტროფიზიკოსის, ბრაიან ჰანსლერის განცხადებით, აფეთქების შედეგად წარმოიქმნა ჯერ გამა-გამოსხივების მძლავრი ნაკადი, რასაც შემდეგ რენტგენის გამოსხივება მოჰყვა. სხვათა შორის, ჩვენი პლანეტის ბევრმა მცხოვრებმა იმ დღეს თავი შეუძლოდ იგრძნო. ჩავარდნებით მუშაობდა ელექტრონული აპარატურაც.

პარალელურად, კოსმოსში კიდევ ერთი მძლავრი აფეთქება მოხდა. კერძოდ, ჩვენი რუბრიკა უკვე გაუწყებდათ იმ მეგა-აფეთქების შესახებ, რომელიც ცოტა ხნის წინ დააფიქსირეს ამერიკელმა ასტრონომებმა. მათი მონაცემებით, აფეთქება მოჰყვა შავი ხვრელის მიერ მზის ზომის მქონე დაახლოებით 300 მილიონი ვარსკვლავის შთანთქმას.

ასტრონომების ვარაუდით, აღნიშნული აფეთქება უკვე დაახლოებით 100 მილიონი წლის განმავლობაში გრძელდება. შავი ხვრელიდან დღესაც გამოიყოფა გაზისა და მტვრის მასა. გამოტყორცნილი მასის წონა მზის წონაზე ტრილიონჯერ მეტია.

უზარმაზარი მასშტაბის კატაკლიზმი დააფიქსირა აშშ-ის აეროკოსმოსური სააგენტოს კუთვნილმა ორბიტალურმა რენტგენულმა ტელესკოპმა "ჩანდრამ". მეცნიერთა შეფასებით, შავ ხვრელებს იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება შეუძლიათ სამყაროზე, ვიდრე ადრე იყო მიჩნეული. გარდა იმისა, რომ ეს ხვრელები დიდი რაოდენობით ვარსკვლავსა და ვარსკვლავთსისტემას შთანთქავს, მათ გამოყოფს კიდეც და ასე უწყობს ხელს ახალი გალაქტიკების წარმოქმნას.

აფეთქების შედეგად წარმოიქმნა ორი, უზარმაზარი ზომის მქონე სიცარიელე, საიდანაც აბსოლუტურად ყველაფერია გამოდევნილი. თითოეული მათგანის დიაგონალის სიგრძე დაახლოებით 650 ათასი სინათლის წელია. კიდევ კარგი, ეს ჯოჯოხეთი ჩვენგან 2.6 მილიარდი სინათლის წლის დაშორებით დატრიალდა, თორემ ადვილი წარმოსადგენია, რა გველოდა, აფეთქება უფრო ახლოს რომ მომხდარიყო.

# ყველაზე გრძელი გვირაბი მსოფლიოში

იაპონიაში დასასრულს უახლოვდება მსოფლიოში ყველაზე გრძელი გვირაბის მშენებლობა. სარკინიგზო გვირაბის, სახელად "ჰაკოდა", სიგრძე 26.5 კილომეტრია და ის არის იმ გზის ნაწილი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ტოკიოსა და იაპონიის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ აომორის.

გვირაბის გაყვანის სამუშაოები აგვისტოში დაიწყო, ამ დღეებში კი გვირაბგამყვანებმა უკვე ააფეთქეს კლდის ბოლო მონაკვეთი, რომელიც გვირაბის ორ ნაწილს ერთმანეთს აშორებდა. ამ გზაზე მალე ჩქაროსნული მატარებლები დაიწყებს მიმოსვლას, რომელთა წყალობითაც, ქვეყნის ჩრდილოეთის მოსახლეობა უფრო მოკლე დროში შეძლებს ტოკიოში ჩასვლას. რაც შეეხება მშენებლობის ღირებულებას, ის 600 მილიონ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ "ჰაკოდას" პირველობა დიდი ხნით არ უწერია. საქმე ისაა, რომ მალე მწყობრში ჩადგება შვეიცარიის ალპების ქვეშ გამავალი საავტომობილო გვირაბი, რომლის საპროექტო სიგრძეც 34.6 კილომეტრია.

რაც შეეხება წინა რეკორდს, ისიც იაპონელებს ეკუთვნოდათ - 2002 წელს, აომორის მეზობელ პრეფექტურაში, მწყობრში ჩადგა 25.8-კილომეტრიანი გვირაბი. ამ გვირაბამდე პირველობა ეკუთვნოდა ნორვეგიულ გვირაბ "ლაერდალს", რომელიც ჩქაროსნული მაგისტრალის ნაწილია და ოსლოს დასავლეთის პორტ ბერგენთან აერთებს. ნორვეგიული გვირაბის სიგრძე 12.9 კილომეტრით მეტია იმაზე, რომელიც საფრანგეთსა და იტალიას ერთმანეთთან აკავშირებს.

| | |
|---|---|
| სახელი | მისამართი |
| გვარი | |
| ასაკი | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები |
| სიმაღლე | |

**1** ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

**2** შვილები: (თუ გყავთ)

**3** პროფესია :

**4** სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

**5** ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

**6** სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

**7** სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

**8** თქვენი ინტერესები

**9** თქვენი ჰობი

**10** თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

**11** როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

**12** როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

**13** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________ თარიღი_______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ გარკვევით [illegible]**

[illegible]

**ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**
სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" / [illegible] "სუსტი რგოლი" / [illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ საკმაოდ გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



ქორწილი ფრანგულად

- [illegible] შემდინარეობა
- თეორემების ავტორი / მეთოდურად თამაში
- [illegible] ქვ. ბარძ. სახელწ. / ქვ. ფრანგული სიმღ. სახელი
- ქამუშაძის სახელი
- გენის [illegible] ფორმა
- "ფაუსტის" პერსონაჟი
- ილარიონის მეგობარი
- ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაცია
- თამილების ერთ-ერთი რაიონი
- ხევსურული არაყი
- *** მაქდაველი
- პარაზიტი მწერი
- ესე იგი
- გაფრთხილება [illegible]
- იტალიური ფეხბურთის გუნდი
- ოდისევსის და პენელოპეს ვაჟი
- ფეიქრის სახლი
- საპასუხისმგებლო თანამდებობა
- "[illegible]" წევრი
- მახრჩობელა გველი
- თემურ ***
- გამხმარი ხეხილის [illegible]
- [illegible]
- ფეხბურთელი *** [illegible]
- *** ბრინერი
- [illegible] ავტომობილი
- *** ნოლტი
- ქართული [illegible]
- [illegible]
- [illegible] თანამდებობა [illegible]
- რისამე სიღრმეში ანუ ***
- [illegible]
- [illegible] სახელმწიფოს დედაქალაქი
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]

წინა სკანვორდის პასუხები: [illegible]

## TV პროგრამა

7 მარტი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ყველაზე ჭკვიანი **23.00** დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომის საიდუმლო ოპერაციები" **00.00** მხ. ფილმი "ჩანაფიქრის განხორციელება" (18) (ნატალია ბერბექსი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **07.00** წართმეული სიცოცხლე. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ჩემი საუკეთესო მეგობრები. ც **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. 24.25ლამაზი სერჟი. მხ. ფილმი. რეჟისორი კლოდ შაბროლი. **04.20** მაშველები. ტელესერიალი.

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" -ჩერჩილი **16.30** დოკ. ფილმი "ჟაკ ლასელი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ანესთეზიის ისტორია" **23.00** მრწამსი - ისლამი **23.30** მხ. ფილმი "სუპერჯაშუში" (გ) **01.45** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **12.00** საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "ზობი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "სიკვდილის სადარაჯოზე" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "ავტოგრაფი". ჯარჯი ზვიადაური. **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** დოკ. ფილმი "იურევის ფესტივალი" **00.00** მხ. ფილმი "გამარჯვებული" (15) (ჯეი ფლეტჩერი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "მაროკო-ცხენების სამეფო" **21.45** კონცერტი **22.30** კინოსეანსი "შემსრულებელი"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.25, 17.10, 03.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად **01.40** მხ. ფილმი "მეორე სახე" (18) (ნ. ჰენსტრიჯი)

### აჭარა

**08.00** დილის გადაცემა **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** "ჩრდილები" (გან) **11.00** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** კომედია "ალქაჯები" **13.20** მუსიკა **13.40** დოკ. ფილმი **14.50** ბოევიკი "მეტრო" **17.00** მუსიკა **17.50** მულტფილმი **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "სიყვარულის სვირინგი" **22.40** მუსიკა **23.00** დოკ. ფილმი "ალექსანდრე" მე-3 ნაწ. **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "თვალი-2" **02.00** მუსიკა

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Динозавры в фильме "Земля до начала времен". **06.40** Ирина Муравьева в комедии **"ГОД ТЕЛЕНКА"**. **08.20** Служу Отчизне! **08.50** Дисней-клуб: "Команда Гуффи". **09.10** "В мире животных" **10.10** "Непутевые заметки" **10.30** Пока все дома. **11.10** Док. фильм "Ее слезам Москва поверила". **12.10** Елена Сафонова в мелодраме **"ПРИНЦЕССА НА БОБАХ"** **14.20** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **14.50** "Евгений Плющенко. Бесконечная дуэль". **15.30** Максим Галкин, Верка Сердючка в юмористической программе **17.00** Лариса Долина в концертной программе "Аль Бано и звезды российской эстрады". **19.30** Вера Алентова в фильме **"МОСКВА СЛЕЗАМ НЕ ВЕРИТ"**. **1**-я серия. **21.00** Время. **21.20** Худ. фильм **"МОСКВА СЛЕЗАМ НЕ ВЕРИТ"**. **2**-я серия. **22.50** Вера Алентова, Владимир Меньшов, Алексей Баталов, Олег Табаков и другие - 25 лет спустя.. **23.50** Кевин Костнер в триллере **"СТРЕКОЗА"** **02.00** Джастин Теро в триллере **"МАЛХОЛЛАНД ДРАЙВ"**. После страшной автокатастрофы на Малхолланд Драйв в Лос-Анджелесе чудом остается в живых только одна девушка. После аварии она ничего не помнит, даже своего имени. В состоянии шока, она сползает с горы и прячется в квартире Бетти Элмс - белокурой красотки, приехавшей из Канады покорять Голливуд. Видя растерянность и смятение незнакомки, Бетти проникается состраданием к девушке. Разрешив ей остаться, она обещает помочь ей во что бы то ни стало вспомнить все, даже не подозревая, в какую скверную историю ввязывается... **04.40** Сериал **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ГЕРКУЛЕСА"**.

### НТВ

**05.45** Андрей Градов в комедии **"БЕРЕГИТЕ ЖЕНЩИН"**. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня **08.15** Детское утро на НТВ. "Сказки Баженова". **08.45** Их нравы. **09.25** Едим дома. **10.20** "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. **10.50** "Top Gear". Программа про автомобили. **11.25** Дачники. **12.00** "Школа злословия". Ток-шоу **13.20** Военное дело. **14.00** Н. Гундарева в комедии **"ОДИНОКИМ ПРЕДОСТАВЛЯЕТСЯ ОБЩЕЖИТИЕ"**. **16.20** "Женский взгляд". "Просто Мария". **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ - СВО...-2". "СЛИШКОМ ХОРОШИЙ ДЛЯ НЕЕ"**. **19.35** Лев Борисов в детективном сериале **"ЛЕГЕНДА О ТАМПУКЕ"**. **21.45** Кирилл Малов в фильме **"ЗАЙМЕМСЯ ЛЮБОВЬЮ"** **23.40** "Восьмое марта в большом городе". Праздничный концерт. **01.05** Журнал Лиги чемпионов. **01.40** Марлон Брандо в фильме **"ПОСЛЕДНЕЕ ТАНГО В ПАРИЖЕ"** **04.15** Мария Боннови в фильме **"ИСТОРИЯ ДИНЫ"**. Маленькая девочка Дина становится невольным виновником мучительной смерти собственной матери, сварившейся заживо. Случившееся оставляет в душе девочки неизлечимую рану - она постоянно видит образ матери, слышит ее предсмертные крики. Дина растет своенравным, неуправляемым ребенком. Чтобы вернуть девочку в лоно семьи, отец нанимает ей педагога, который игрой на виолончели усмиряет буйный нрав Дины. Через несколько лет Дина вырастает в прекрасную, обворожительную, но по-прежнему никому не подвластную девушку. Друг ее отца богатый коммерсант Якоб, увидев Дину, теряет рассудок и просит ее руки. Пройдя через многие испытания, Дина, наконец, встречает Лео - русского анархиста, в которого влюбляется бесповоротно. Но Лео бросают в тюрьму по подозрению в шпионаже...

# საიდუმლო წვეულება გარიყულ ქალაქში



ასპენში ახლახან გარდაცვლილი ჰანტერ ს. ტომპსონის პატივსაცემად ძალიან ვიწრო წრეში წვეულება გაიმართა. სასტუმრო "ჯერომში" მიწვეულ სტუმრებს შორის გახლდათ ჯონი დეპიც, რომელიც ტომპსონის წიგნის მიხედვით გადაღებულ ფილმში "შიში და ზიზღი ლას ვეგასში" ავტორის როლს ასრულებდა.

სასტუმროს ფასადი ტომპსონის ფოტოებით იყო მორთული. ეს ქალაქი მისი თავშესაფრის ფუნქციას უკვე წლებია, ითავსებდა. ასპენში ტომპსონი თითქმის გარიყულად ცხოვრობდა და საშინლად უფრთხოდა პრესის გამოჩენას.

"ვფიქრობ, ამიტომაც აირჩია მან ასპენი საცხოვრებელ ადგილად. აქ პრესა მას თითქმის ვერ აწუხებდა", - ვარაუდობს თანაქალაქელი ანა ბაგი.

შაბათს გამართულ წვეულებაზეც ჟურნალისტები და ფოტოგრაფები არ შეუშვეს - გარდაცვლილი მწერლის სურვილს სცეს პატივი. თუმცა, პრესამ შენობის შიგნით შეხედვა მაინც მოასწრო. კედლები ტომპსონის ფოტოებით იყო მორთული, ამერიკის დროშასთან კი უზარმაზარი შავ-თეთრი ფოტო ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე ეკიდა. ჯონი დეპთან ერთად წვეულებას მსახიობი ჯონ კიუზეკიც ესწრებოდა. ტომპსონის ქვრივი ანიტა კი კიდევ ერთხელ იხსენებდა, რომ მისმა მეუღლემ თავი მაშინ მოიკლა, როცა ტელეფონზე ესაუბრებოდა. ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოს მან ჩახმახის გამოკვრის ხმაც გაიგო. გარდაცვლილი მამა ვაჟმა ხუანმა იპოვა. ეს 20 თებერვალს მოხდა. ჰანტერ ს. ტომპსონი 67 წლის იყო.

მის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებებს შორისაა ზემოთ ხსენებული "შიში და ზიზღი ლას ვეგასში" (1972 წ.) და "დიდ ვეშაპზე ნადირობა" (1979 წ.).




# ისინი მოვიდნენ თავიდან

"ბექსთრით ბოიზი" ბრუნდება. უფრო სწორად, დაბრუნდა. ოთხეული, რომელიც წლების წინ ჯიუტად ამტკიცებდა, სწორედ ასე გვინდა, ეს მოხდესო (I Want it That Way), ოცნებებზე უარს არც ახლა ამბობს. საგაზაფხულო ტურნეს ისინი 21 მარტს ნიუ იორკიდან დაიწყებენ და კიდევ 13 ქალაქს მოივლიან.

ოღონდ ამჯერად სტარტი არ იქნება ისეთი გრანდიოზული, როგორც მედისონ სქვეარ გარდენზე იმართება ხოლმე. "ბექსთრით ბოიზელები" უფრო მცირე ზომის დარბაზებსა და მყუდრო აუდიტორიას დასჯერდებიან - ასეთები კი ვაშინგტონში კლუბი 9:30-ია, დეტროიტში კი სახელმწიფო თეატრის დარბაზი.

ბიჭების აგენტი ირწმუნება, რომ კონცერტებზე მათი ყველა ძველი ჰიტი შესრულდება, ცხადია, იმ ახალ სიმღერებთან ერთად, რომლებიც მათ ახალ ალბომში შევა.



ასე რომ, ისინი მართლაც ბრუნდებიან. ჯგუფი, რომლის დებიუტიც 1997 წელს შედგა, ჯერ კიდევ უსახელო ალბომზე მუშაობას მალე დაასრულებს. ეს იქნება პირველი კრებული 2000 წელს გამოშვებული დისკის Black and Blue-ს შემდეგ.

ინტერვალის პერიოდი ბიჭებმა პრესის ყურადღების მიღმა გაატარეს. მათ მთელი ამ წლების განმავლობაში არც ერთ კონცერტში არ მიუღიათ მონაწილეობა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე იშვიათ გამონაკლისს. 2002 წელს ჯგუფის წევრმა ნიკ კარტერმა გამოუშვა სოლოალბომი. ეს არის და ეს. ვნახოთ, როგორი იქნება ერთ დროს ძალიან პოპულარული ბოი-ბენდის მეორედ მოსვლა.

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი აცხადებს ტენდერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ბიზნეს გეგმის შემუშავებაზე

დაინტერესებულ პირებს გიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენს მიერ შემოთავაზებული მომსახურების დროის განრიგი და ფასი (აშშ დოლარის კურსით დღგ-ს გარეშე) ცალ-ცალკე, დახურულ კონვერტებში. შესასრულებელ სამუშაოთა ტექნიკური სპეციფიკაცია იხილეთ გაეროს საიტზე: www.undp.org.ge

განაცხადები მიიღება 2005 წლის 10 მარტს 12:00-დან 13:00 საათამდე შემდგე მისამართზე:

ერისთავის ქ. 9 0179 თბილისი
გაეროს განვითარების პროგრამის
ქვეყნის ოფისი საქართველოში
ქ-ნი ნათია ჩერქეზიშვილი
პროგრამ ოფიცერი

# რა აღმოაჩინეს აფრიკულ კანში



აფრიკულ კინოს პოპულარიზაცია სჭირდება - ეს ლოზუნგი ბერლინალეზე ჩაისახა და საუკეთესო ასახვაც სწორედ იქ ჰპოვა - ოქროს დათვის მფლობელი ფილმი ხომ სამხრეთ აფრიკული "კარმენი" გახდა.

ამავე მიზანს ემსახურება ფესპაკოს კინოფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ბურკინა ფასოს დედაქალაქში უგადუგუში იმართება ხოლმე.

წელს აფრიკელების რჩეული ასევე სამხრეთ აფრიკელი რეჟისორის ზოლა მასეკოს ფილმი "დოლი" გახდა; სურათი, რომელიც აპარტეიდის საშინელებების შესახებ 50-იანი წლების იოჰანესბურგის ჯაზ-კლუბის გავლით მოგვითხრობს.

მასეკოს ჯილდოს სახით "იენენგას ოქროს რაში" და 20 ათასი დოლარი გადაეცა.

ისედაც, მასეკო მარტო არ ყოფილა. როგორც ჩანს, სამხრეთ აფრიკა მთელ კონტინენტზე კინოს მხრივაც ერთ-ერთი ლიდერია. ფესტივალზე წარმოდგენილი ოცი სურათიდან ოთხი სწორედ ამ ქვეყნიდან იყო.

"დოლი" ლამაზი ფილმი უნდა იყოს. მისი ნახვა განსაკუთრებით ჯაზის მოყვარულებს ესიამოვნებათ. რეჟისორი ხომ შესანიშნავად ახერხებს აპარტეიდის სიმძიმე ჯაზ-კლუბების ნახევრად ჩაბნელებული სიმყუდროვითა და მელოდიებით გააზავოს.

"ეს სამხრეთ აფრიკელი ხალხისთვის დიდი პატივია, მათი მშვენიერი ბუნების, მათი ძლიერების, მათი გამძლეობისა და პრინციპულობის დაფასება. სწორედ ამ თვისებების წყალობით შევძელით გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი რეჟიმის დამარცხება", - განაცხადა რეჟისორმა.

მისი ქვეყანა კი მართლაც ლიდერია. კინოპროდუქციის ნამდვილი საბადო. შესანიშნავი ხედები, სასიამოვნო კლიმატი და დაბალი საწარმოო ფასები - რეჟისორები სწორედ ამ გარემოებების გამო ეტანებიან იოჰანესბურგსა და სხვა სამხრეთ აფრიკულ ქალაქებს. ბოლო წლებში ის შტატების, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ალტერნატივად იქცა.

მასეკო კი აცხადებს: "პირველად მოხდა ისე, რომ ფესტივალის მთავარი პრიზი საჰარას სამხრეთით წავიღეთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჟიურის წევრებს სამხრეთ აფრიკული კინოს დაფასებისთვის".

ჟიურის თავმჯდომარე მაროკოელი რეჟისორი სუჰეილ ბენბარკაც ფესტივალს დადებითად აფასებს და დასძენს, რომ ფესპაკოს ფესტივალი მტვრიან და გადახრუკულ უაგადუგუს მალე აფრიკული კონტინენტის კანად აქცევს. აღმოჩენები და ვარსკვლავები მერე ნახეთ.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.